აგვისტო 10-12
1996 წ.

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 137 (430)
ფასი 40 თეთრი




## სამშვიდობო ძალებს მანდატის ვადა გაუგრძელდათ

მოსკოვში ოთხმრივ საკონსუ-ლტაციო შეხვედრებზე გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს სამშვიდობო ძალების მანდატთან დაკავშირე-ბით.

რუსეთის ფედერაციაში საქა-რთველოს საგანგებო და სრულუ-ფლებიანი ელჩის ვაჟა ლორთქი-ფანიძის განცხადებით, ძირითა-დად გათვალისწინებული იქნა საქართველოს მხარის მოთხოვნე-ბი სამშვიდობო ოპერაციის ზო-ნის გაფართოების შესახებ გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე ... საზღვრებში, ასევე მოთხო-ვნა იმის თაობაზე, რომ გაფარ-თოვდეს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი სამშვიდობო ძალების ფუნქციები, რაც, პრაქტიკულად, პოლიციურია.

„ეს ცვლილებები საშუალებას მისცემს სამშვიდობო ძალებს, უზრუნველყონ ლტოლვილთა და-ბრუნების უსაფრთხოება, მაგრამ ეს არ ნიშნავს დაბრუნების პრო-ცესის ავტომატურად დაწყებას, რადგან დოკუმენტი არ განსაზ-ღვრავს ამ პროცესის დაწყებას, იგი მხოლოდ უფლებამოსილებას აძლევს სამშვიდობო ძალებს, უზ-რუნველყონ ლტოლვილთა დაბ-რუნების უსაფრთხოება“, — გა-ნაცხადა ვაჟა ლორთქიფანიძემ.

ამ შეთანხმებათა გათვალის-წინებით რუსეთის ფედერაციის საბჭომ ნება დართო სამშვიდობო კონტინგენტს, კიდევ რამდენიმე თვით გააგრძელოს კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადა.

„მე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს არ ნიშნავს, თით-ქოს, რუსეთის ფედერაციის საბ-ჭომ მიიღო გადაწყვეტილება მა-ნდატის გაგრძელების თაობაზე. ეს მისი პრეროგატივა არ გახ-ლავთ. ამ გადაწყვეტილების მი-ღება მხოლოდ თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს შე-უძლია“, — დასძინა ვაჟა ლორ-თქიფანიძემ.

### ...ეზონანსი:

მოსკოვში ოთხმრივ საკონსულტაციო შეხვედრებზე გამოთქმულმა მოსაზრებამ კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის კიდევ რამდენიმე თვით გაგრძელების შესახებ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია:

„რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალები საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთის დამოუკიდებლობის დაცვის ფუნქციას ასრულებენ და არა მათზე დაკისრებულ რეალურ ფუნქციას. სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელებაზე ლაპარაკიც კი არ უნდა იყოს“, — განაცხადა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ.

რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის ვადის შესაძლო გაგრძელებას გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგ მიმართული მორიგი მავნებლობა უწოდა.

პარლამენტის ვიცესპიკერმა ვახტანგ ყოლბაიამ, ჯერჯერობით, კომენტარისგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ თავის პოზიციას ორ-სამ დღეში გამოხატავს, როცა აღნიშნული საკითხი უფრო მეტად გაირკვევა.

„დღეს სამშვიდობო ძალები იცავენ იმას, რაც დაიპყრეს“, — აღნიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა.

„საბოლოოდ რომ დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია აფხაზეთში, რუსეთმა იქ სამშვიდობო ძალები შეიყვანა. რუსეთი ყოველთვის ცდილობს ჩვენთან ტკბილად ილაპარაკოს, მაგრამ საქმით ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენი ტერიტორია, რაც შეიძლება დიდი ხნით, მისი კუთვნილება იყოს“, — შენიშნა ნადარეიშვილმა.

რაც შეეხება ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს, თამაზ ნადარეიშვილის პოზიცია სკეპტიკურია: „ვშიშობ, რომ სამ-ოთხ წელიწადში აფხაზეთში დამბრუნებელი საერთოდ აღა აღარ გვეყოლება“.

ალიონი-ექსპრესი

## „მოულოდნელი“ შტურმი, რომელსაც ყველა ელოდა

6 აგვისტოს ჩეჩენი მებრძო-ლების მიერ ფედერალურ ძალე-ბზე დაწყებულმა ფართომასშტა-ბიანმა იერიშმა საგონებელში ჩააგდო რუსი პოლიტიკოსები — მაშინ, როდესაც მოსკოვის ელი-ტა მხოლოდ პრეზიდენტის 9 აგვისტოს ინაუგურაციის სამზა-დისით იყო გართული, ქვეყნის სამხრეთიდან შემაშფოთებელი ინფორმაციის ნაკადი წამოვიდა, ჩეჩენი მეომრების გროზნოს ცე-ნტრში შეჭრით, ელცინის პრე-ზიდენტად კურთხევის ცერემო-ნიალს, უეჭველია, ხიბლი დაე-კარგა. არადა, მოვლენების ასეთი განვითარება, თითქოს, პროგნო-ზირებადი ჩანდა და მოულოდ-ნელი არ უნდა ყოფილიყო: ჩაშლილი სამშვიდობო მოლაპა-რაკებები, საპრეზიდენტო არჩე-ვნების შემდეგ რუსული მხარის მიერ კურსის გამკაცრების სა-პასუხოდ ტერაქტების სერია მოსკოვში, ვორონეჟში და ვლადიმირში, ჩეჩენთა სა-ველე მეთაურის სალმან რადუევის ასპარეზზე ხე-ლახალი გამოჩენა ის სი-მპტომები იყო, რომელსაც რუსული მხარე პრევენ-ტიული ზომების მიღების აუცილებლობაში უნდა დაერწმუნებინა.




იხილეთ მე-2 გვერდი



## აყალმაყალი კიტოვანის სასამართლოზე

იხილეთ მე 5 გვერდი

## პრეზიდენტის ინაუგურაცია მოსკოვში



გუშინ, რუსეთის დედაქალაქში, კრემლის სახელმწიფო სასახლეში, მოსკოვის დროით 12.00 საათზე, რუსეთის ხელმეორედ არჩეული პრეზიდენტის, ბორის ელცინის ინაუგურაციის ცერემონიალი შედგა.

იხილეთ მე 3 გვერდი

## ობობას ქსელში გაბმული ორი „გუდაური“ ანუ რა ურგები ყოფილა უმაღლესი კლასის სასტუმრო



თავდაპირველად, წერილის სათაურში მოხსენიებული „ორი გუდაური“, ალბათ, განაცვიფრებს მკითხველს — ერთის შესახებ ნამდვილად გვსმენოდა, მეორე საიდანღა მოიტანეთ, ასეთი რამ არც გვინახავს და არც გაგვიგიაო.

მკითხველს იქნებ ისეც ჰგონია, რომ ავსტრიელებმა საკუთარი ფულით აგვიშენეს და დაგვიმშვენეს ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო, შემდეგ — ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთო — გვითხრეს, ქუდი დაიხურეს და წავიდნენ. როგორც გაირკვა, თურმე, არც მთლად ასე ყოფილა საქმე.

დაწვრილებით მე-4 და მე 5 გვერდებზე გაეცანით

## საერთაშორისო სავალუტო ფონდი საგადასახადო შეღავათების წინააღმდეგია

- ☐ საქართველოს კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში დასჭირდება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარება.
- ☐ ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში 4,2 პროცენტი საშემოსავლო მაჩვენებელი ერთ-ერთი უარესი მაჩვენებელია მსოფლიოში.
- ☐ დაირღვა საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმება პურპროდუქტების საწარმოთა პრივატიზაციასთან დაკავშირებით.
- ☐ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საგადასახადო შეღავათების დაწესების წინააღმდეგია.

დაწვრილებით მე 3 გვერდზე

## ამერიკელებმა მარსზე სიცოცხლე აღმოაჩინეს

— სენსაცია —



აშშ ეროვნული კოსმოსური სააგენტოს (НАСА) ცნობით, ამ უწყების სპეციალისტებმა ამერიკის რიგი უნივერსიტეტების მეცნიერებთან ერთად, დადებითი პასუხი გასცეს ერთ-ერთ მარადიულ კითხვაზე: „არის თუ არა სიცოცხლე მარსზე?“

იხილეთ მე-2 გვ.

## სასამართლომ უკანონოდ ცნო „რუსთავი —2“ —ის სარჩელი... მარათონი ჰააგამდე გაგრძელდება

**რუსთაველები ზარალის ასანაზღაურებლად „მილიონს“ ითხოვენ**

7 ივლისს მთაწმინდის რაიონის სასამართლომ საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „გამა +“-ს, რომელიც „რუსთავი 2“-ის სახელით ცნობილი ტელეარხის აღდგენას ითხოვდა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. თუმცა, სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას გამოაცხადებდა, პროცესი ძალიან საინტერესოდ წარიმართა.

გაგრძელება მე 6 გვერდზე

# «მოულოდნელი» შტურმი, რომელსაც ყველა ელოდა

პირველი გვერდიდან

მართლაც, დუდაევის მომხრეთა თავდასხმა გროზნოს ობიექტებზე სპონტანურად არ მომხდარა. ინფორმაცია ამ ოპერაციის მზადების თაობაზე კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი რუსეთის სპეცსამსახურებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო დაბალი ჩინის სამხედრო მოსამსახურეებზე. უფრო მეტიც: ორშაბათ საღამოს, გროზნოს ცენტრალურ ბაზრობაზე უკვე მსჯელობდნენ მეორე დღისთვის დაგეგმილ ქალაქის შტურმზე; გროზნოს მოსახლეობის თითქმის მესამედი გაფრთხილებული იყო მოსალოდნელი აქციის შესახებ და მათ მომარაგებული ჰქონდათ წყალი და სურსათი; და მაინც...

იერიშის წინა დღეებში „ბოევიკებმა" ადვილად შეაღწიეს ქალაქში და, ფაქტობრივად, პირდაპირ მისი ცენტრის „დამუშავება" დაიწყეს (რჩება მხოლოდ ორი ვერსია: ან ძალზე დაბალია რუსი სამხედრო მოსამსახურეების ბრძოლისუნარიანობა, ან მათ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, არ ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან შებრძოლების სურვილი). გროზნოს ადმინისტრაციის ოფიციალურმა ხელმძღვანელმა დოკუ ზავგაევმა კი, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ არწმუნებდა კრემლს, რომ მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას ჩეჩნეთში, ბრძოლების დაწყებისთანავე დატოვა ქალაქის ცენტრში მდებარე თავისი რეზიდენცია და უკვე ხანკალიდან, ფედერალური ძალების დაჯგუფების შტაბიდან აცნობა გარე სამყაროს „ორ-სამ საათში წესრიგისა და სტაბილიზაციის აღდგენის შესახებ", შემდეგ კი მოსკოვში გაქუსლა.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩეჩნებმა მეტოქეს „საინფორმაციო ომშიც" აჯობეს: მოვლენების გაშუქებისას ხშირია შემთხვევები, როდესაც რუსები უარყოფენ რამდენიმე საათის წინ გადაცემულ „უტყუარ" ინფორმაციას, მათ მიერ მიწოდებული მასალები ხშირად ურთიერთგამომრიცხავია (მაგალითად, გროზნოს ცენტრში მდებარე სამთავრობო დაწესებულებები ხან „ბიევიკთა" ხელშია, ხან „დიდი ხანია, რაც ისინი დაიფრინეს" ქალაქის ცენტრალური რაიონებიდან). ეს კი აბნევს, უიმედობაში აგდებს რუს ობივატელს და შემდეგ გამუდმებული მტკიცება იმისა, რომ „ეს არის სეპარატისტული რეჟიმის აგონია", რომ „გროზნოს ქუჩებში სერიოზული არაფერი ხდება", უკვე აღარ მოქმედებს მასზე. სამაგიეროდ, ჩეჩნების საინფორმაციო ხაზი საკმაოდ გამართული და ერთობ „რომანტიკულია". „მეამბოხენი" აქციას „ფედერალური ძალების ნეიტრალიზაციის მიზნით მოწყობილ სპეცოპერაციას" უწოდებენ, რომელსაც ლოკალური ხასიათი აქვს და „არ იმოქმედებს ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესზე".

გარდა ამისა, ჩეჩენთა სამხედრო ხელმძღვანელებს „მოუწოდებიათ" რუსეთის არმიის ქვედანაყოფებისთვის, „არ დაეტოვებინათ დისლოკაციის ადგილები და სამაგიეროდ „შეპირებიან", რომ ამ მითითების შესრულების შემთხვევაში, მათი მიმართულებით ცეცხლი არ გაიხსნებოდა. ანალოგიური თხოვნა (რეზიდენციის არდატოვების თაობაზე) ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებსაც გაეგზავნათ.

ამ დღეებში გროზნოში დატრიალებული მოვლენებს ანალოგი ახლო წარსულშიც მოეძებნება: 6 მარტის შტურმის დროსაც საერთო ხელმძღვანელობას შამილ ბასაევი ახორციელებდა, ხოლო ქალაქში რაზმების მოქმედებას რუსლან გილაევი ხელმძღვანელობდა. ახლაც, ისევე როგორც ხუთი თვის წინ, ადგილობრივი მილიციის თანამშრომლებმა „დაყარეს იარაღი" და „მტრის" — თანამემამულეებს ჩაბარდნენ; ამავდროულად, საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე მწყობრიდან გამოვიდა ქალაქის ელექტრო და წყალმომარაგება. ამ დრამის ფინალიც, ალბათ, ასეთი იქნება — გროზნოს ქუჩებში რამდენიმედღიანი ბრძოლებით რუსეთის პრეზიდენტის ინაუგურაციის „აღნიშვნის" შემდეგ „ამაყი მთის შვილები" კვლავ ძნელად მისადგომ ადგილებს შეაფარებენ თავს და მომდევნო შტურმისთვის მოემზადებიან...

„კავკასიონის" საინფორმაციო სამსახური

# ამერიკელებმა მარსზე სიცოცხლე აღმოაჩინეს

პირველი გვერდიდან

ამგვარ დასკვნამდე მკვლევარები იმ მეტეორიტის შესწავლის შემდეგ მივიდნენ, რომელიც 1984 წელს აღმოაჩინეს ანტარქტიდაში. მეცნიერთა აზრით, წითელი პლანეტის ნაწილი 16 მილიონი წლის წინ ასტეროიდთან შეჯახების შემდეგ მოწყდა „მშობლიურ გარემოს" და დედამიწაზე აღმოჩნდა. მარსზე სიცოცხლის ნიშნად კი მეცნიერებმა მარტივი, ერთუჯრედიანი მოლეკულები მიიჩნიეს, რომლებიც მილიარდი წლის წინ წარმოიშვნენ.

მკვლევარების შეფასებით, თუ ოდესმე მარსზე მართლაც იყვნენ ცოცხალი არსებები, ისინი სულაც არ ჰგავდნენ ფანტასტიკურ ფილმებსა და წიგნებში აღწერილ პერსონაჟებს. „არავითარ პატარა მწვანე კაცუნებზე არ არის საუბარი. საქმე ეხება მარტივ ერთუჯრედიან სტრუქტურებს, რომლებიც დედამიწაზე არსებული ბაქტერიების მსგავსია. იმის დადასტურება, რომ მარსზე არსებობდა სიცოცხლის უფრო გონიერული ·ფორმა, ჯერჯერობით, არ შეგვიძლია", — განაცხადა НАСА-ს ხელმძღვანელმა დენიელ გოლდინმა.

შეგახსენებთ, რომ 1976 წელს მარსზე სიცოცხლის არსებობა-არარსებობის დასადგენად გაგზავნილმა კოსმოსურმა აპარატმა „ვიკინგმა" ვერ შეძლო სენსაციის მოყვარულთა იმედების გამართლება, თუმცა, გაარკვია, რომ ამჟამად მკვდარი პლანეტის ზედაპირი ოდესღაც წყლით იყო დაფარული.

„უკანასკნელი მონაცემები ადასტურებენ, რომ, შესაძლოა, სიცოცხლე იყოს სხვა პლანეტარულ სისტემებშიც. ყოველ შემთხვევაში შეიძლება იმის თქმა, რომ პლანეტაზე სიცოცხლის ჩასახვა შედარებით იოლად ხდება", — აღნიშნა კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერმა, ბიოქიმიკოსმა სტენლი მილერმა.

ამერიკელ მეცნიერთა აღმოჩენით თავად ქვეყნის პრეზიდენტი ბილ კლინტონიც დაინტერესდა. მისი თქმით, ამიერიდან, მომავალი 10 წლის განმავლობაში, კოსმოსური კვლევისთვის გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი პლანეტა მარსის შემდგომ შესწავლას მოხმარდება.

„კავკასიონის" საინფორმაციო სამსახური

იაპონია

# ატომური კოშმარი დღესაც ახსოვთ

ხიროსიმა და ნაგასაკი — როდესაც ამ ორი იაპონური ქალაქის ატომურ დაბომბვაზე ლაპარაკობენ, ჯერ პირველი აფეთქების თარიღს — 1945 წლის 6 აგვისტოს — იხსენებენ, მაგრამ არც ის ავიწყდებათ, რომ სამი დღის შემდეგ ამერიკულმა ბომბდამშენმა კიდევ ერთი ატომური ბომბი ჩამოაგდო.

გუშინ იაპონიის ამ ქალაქებში გაიმართა



სამგლოვიარო ცერემონიალი, რომელიც ატომური დაბომბვის 51-ე წლისთავს მიეძღვნა. მშვიდობის პარკში, უშუალოდ იმ ადგილას, სადაც ატომური ბომბი დაეცა, 25 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. ტრაგედიის მსხვერპლთა ძეგლთან დაიდო იმ ადამიანთა სია, რომლებიც ატომური კოშმარით გამოწვეული გართულებებით გასულ წელს დაიღუპნენ. შემდეგ მთელ ქალაქში გაისმა ტაძრების ზარის ხმა, რასაც საყოველთაო წუთიერი დუმილი მოყვა.

# აურზაური ერთი ვიზიტის გამო

თურქეთის პრემიერმინისტრის რანგში ნეჯმეთინ ერბაქანი დღეს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრება თეირანს, რაც კიდევ უფრო დაძაბავს ურთიერთობებს ანკარასა და ვაშინგტონს შორის. ეს ვიზიტი შედგება იმის მიუხედავად, რომ ერბაქანის პარტნიორი ახალ კოალიციაში თანსუ ჩილერი დაბეჯითებით ამტკიცებდა, თითქოს, ახალი პრემიერის პირველი ვიზიტის მასპინძელი არ იქნებოდა ირანის დღევანდელი ხელისუფლება.

ირანში თურქი პოლიტიკოსის საქმიანი ვოიაჟის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს — ორი მუსლიმანური ქვეყნის ურთიერთობაში ბევრი მოსაგვარებელი საკითხი დაგროვდა. მაგრამ სწორედ ამ დღეებში ვაშინგტონში მიიღეს ანტიტერორისტული კანონი, რომლითაც დასაშვებია (სამხედრო ძალის გამოყენებითაც კი) ტერორისტებთან „შეხმატკბილებული" ქვეყნების დასჯა. ამიტომ თურქეთის დიპლომატიურ წრეებში იმ ვარიანტსაც კი იხილავენ, როდესაც „აშშ „დაარტყამს" ირანს ერბაქანის იქ ყოფნის პერიოდში".



ანკარის ოფიციალური წრეების პოზიცია ამ ვიზიტთან დაკავშირებით ერბაქანის მთავარმა მრჩეველმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრმა აბდულაჰ გიულმა განმარტა: „თურქეთი არ არის ამერიკის შტატი. მას თავისი პრიორიტეტები აქვს. გარედან კარნახის მიხედვით მოქმედება ჩვენი წესი არ არის".

„კავკასიონის" საინფორმაციო სამსახური

# იენგ სარი — მოღალატე თუ მძევალი?



კამბოჯის „წითელი ქხმერების" რადიომ გუშინ მოულოდნელად ამ დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი იენგ სარი გამოაცხადა „მოღალატედ, რომელიც ერის მტრებს მიემხრო". ამასთან დაკავშირებით, პნომპენში მიიჩნევენ, რომ იენგ სარი, რომელიც ერთ დროს პოლ პოტის შემდეგ „ქხმერთა იმპერიაში" ნომერ მეორე ფიგურა იყო, ხელისუფლების მხარეზე გადავიდა.

კამბოჯის მთავრობის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ამ ინფორმაციის დადასტურებაზე, თუმცა, არ გამორიცხეს, რომ იენგ სარი იმ სამი ათასი ქხმერი „ბოევიკის" ხელში იმყოფება, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლებას ჩაბარდნენ.

# როგორ ისჯებიან „ბელადის" შეურაცხყოფისთვის

ტირანები რომ სიკვდილის შემდეგად არიან საშიში, კიდევ ერთხელ დაადასტურა ბურიატიის ქალაქ ხორინსკში მომხდარმა შემთხვევამ: პოსტამენტიდან გადმოვარდნილი ლენინის ძეგლმა 16 წლის მოზარდი გასრისა.

ეს ამბავი კი ასე მოხდა: დისკოთეკიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდების ჯგუფმა გადაწყვიტა, ბელადის ქანდაკებაზე „ასულიყო". ლენინის „გამოსახულებამ" ასეთი თავხედობა მოზარდს „არ აპატია" და რადგან პოსტამენტზე დამაგრებული არ იყო, მიწას მიასწორა რევოლუციის სიმბოლოს შეურაცხმყოფელი...

# სამასი ადამიანის დაღუპვისთვის — ორწლიანი სასჯელი

სააგენტო ფრანს პრესის ცნობით, ორი რუსი მფრინავი დამნაშავედ ცნეს 300 ადამიანის სიკვდილში. მიმდინარე წლის იანვარს АН-32-მა, რომელსაც კაზარინი და რუსკოვი მართავდნენ, საჰაერო ხომალდის ზაირის დედაქალაქ კანშასას აეროპორტში გადატვირთვის გამო ვერ შეძლო სტარტის შემდეგ საჭირო სიმაღლის აღება, გააგრძელა სვლა ასაფრენ ზოლზე და მის ბოლოში მდებარე დიდი ბაზრობის ტერიტორიაზე შეიჭრა. ამ „მანევრის" შედეგად, თაობაზე უკვე ... გახსენეთ — ... ლუპა 300 კაცი ... ზაირის ტ... ბუნალმა რუს ... ლოტებს ... წლით პატიმრ... მიუსაჯა. მან ... ნაჩენი გამოუტ... აგრეთვე, კომპ... „აფრიკენ" ე... რომელსაც თვ... ფრინავი ... შოდა და ფი... რომელმაც ... ფრენის ლიცენ... გასცა.



# საქართველოს სახელმწიფო კომისია შეგახსენებთ სახელმწიფო რეზერვების ფორმირებისთვის ხორბლის (ფქვილის) შემსყიდველის შერჩევის კონკურსის (ტენდერის) მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა.

1. საგანი — სასურსათო ხორბლის ან ფქვილის შესყიდვა.
2. ფასი — სიფ საქართველოს პორტები ან საქართველოს საზღვარი, ან საქართველოში შემოტანილი და დასაწყობებული.
3. გადახდის პირობები:

პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით მიღება — ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ გადახდა და განაღდება.

— კონსიგნაცია არანაკლებ 45 საბანკო დღისა.

— ან საბანკო გარანტია

— ან აკრედიტივი.

4. მოწოდების ვადები და პერიოდულობა
5. კონტრაქტის შესრულების გარანტიები
6. ხარისხობრივი მაჩვენებლები:

ხორბალი რბილი:

ნატურალიური წონა — არანაკლებ 770 გ/ლიტრზე

ტენიანობა — არა უმეტეს 14.0%

წებოვგვარა — არანაკლებ 23%, I ან II ჯგუფი

მინისებურობა — არანაკლებ 50%

მარცვალმინარევები — არა უმეტეს 2.0%

მარცვლის დაავადება მავნებლებით — დაუშვებელია

სუნი — დამახასიათებელი ნორმალური ხორბლის მარცვლისთვის, სხვა უცხო სუნის გარეშე

ფერი — ნორმალური, დამახასიათებელი მოცემული ტიპის ხორბლისთვის.

ფქვილი: სტანდარტული — უმაღლესი, პირველი ან მეორე ხარისხის

7. წინადადებები ხორბლის (ფქვილის) მოწოდებაზე უნდა შეიცავდეს:

— საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის — განცხადებას კომისიის თავმჯდომარის სახელზე, მოცემული ფორმით იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთის ასლს;

მომსახურე ბანკის ცნობას კლიენტის გადამხდელუნარიანობისა და კრედიტუნარიანობის შესახებ; საგადასახადო ინსპექციის ცნობას იმის შესახებ, რომ განმცხადებელს არა აქვს დავალიანება ბიუჯეტის წინაშე, კომერციულ წინადადებას, ან კონტრაქტის პროექტს.

— სხვა ქვეყნების იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის —

— განცხადებას კომისიის თავმჯდომარის სახელზე, მოცემული ფორმით; მომსახურე ბანკის ცნობას (რეკომენდაციას) კლიენტის გადამხდელუნარიანობის და კრედიტუნარიანობის შესახებ.

უცხოელი მომწოდებელი სასურველია იყოს „GAFTA"-ს (ხორბლითა და სურსათით ვაჭრობის ასოციაცია) წევრი.

8. კონკურსის დახურვის დრო 1996 წლის 26 აგვისტო 18.00 საათი.

წინადადებები მიიღება მისამართზე:

თბილისი, კოსტავას 41, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, 10-18 საათამდე თბილისის დროით, შესვენება 13-14 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა.

ტელეფონები: 36-39-35; 99-55-80. ფაქსი 98-57-80.

საკონკურსო კომისია

## მხოლოდ ფაქტები

# პრეზიდენტის ინაუგურაცია მოსკოვში

**გუშინ, რუსეთის დედაქალაქში, კრემლის სახელმწიფო სასახლეში, მოსკოვის დროით 12.00 საათზე, რუსეთის ხელმეორედ არჩეული პრეზიდენტის, ბორის ელცინის ინაუგურაციის ცერემონიალი შედგა.**



...ეს სულ ნახევარ საათს გრძელდა. მისი პირველი ნაწილი მოსამზადებელ ...რიცედურას დაეთმო — ...დარბაზში შემოიტანეს რუ...სეთის ფედერაციის სახელმ...წიფო დროშა და პრეზიდე...ნტის შტანდარტი. ეს უკანას...კნელი წარმოადგენს კვად...რატულ, ზოლებიან ტილოს ...რუსეთის სახელმწიფო ...დროშის ფერებითა და სახე...ლმწიფო ღერბით, რომლის ...შუა ოროთავა არწივია გამოსახული. შემოიტანეს, ...აგრეთვე, რუსეთის კონსტიტუციის ტექსტის სპეცი...ალური ეგზემპლარი და პრეზიდენტის ძალაუფლე...ბის ნიშანი. ეს ნიშანი პრეზიდენტის ინსტიტუტის ...ერთი ატრიბუტია და არა ჯილდო. იგი შედგება ...ოქროს და ჯვრისგან. არსებობს მისი მხოლოდ ერთი ...ეგზემპლარი, რომელიც გადაეცემა ყოველ ახლად ...არჩეულ პრეზიდენტს ძალაუფლების მინიჭების გა...მოსახატავად. ჯაჭვი, რომელიც 17 რგოლისგან შედ...გება, დამზადებულია ოქროსგან და გაფორმებულია ...მინანქრით. ჯვრის წინა მხარეზე გამოსახულია რუსე...თის ღერბი. უკანა მხარეზე კი აწერია დევიზი „სარ...გებლობა, პატივი, დიდება“. იგივე დევიზი და ღერბი ...ჯაჭვის რგოლებზე ჩანს. ნიშნის ნიმუში პეტერბურგში შე...იქმნა და იაროსლავლში დაამზადეს.

...ოფიციალური ატრიბუტების შემოტანის შემ...დეგ პრეზიდენტის ფიცის დადების პროცედურა... მონაწილეობის მისაღებად, სცენაზე მიიწვიეს სა...კონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვლა...დიმერ ტუმანოვი, რუსეთის ფედერაციის მთავრო...ბის თავმჯდომარე ვიქტორ ჩერნომირდინი, რუსე...თის ფედერაციის ფედერალური საბჭოს თავმჯდო...მარე ეგორ სტროევი, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე გენადი სელეზნიოვი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ რიაბოვი და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსეი II.

თავად პრეზიდენტი დარბაზში კრემლის კურანტების რეკვის დაწყებისას შევიდა და ცერემონიალის ძირითადი ნაწილიც სწორედ მისი გამოჩენის შემდგომ დაიწყო.

პრეზიდენტს სიტყვით მიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნიკოლოზ რიაბოვმა. მან ბორის ელცინს მიულოცა ხალხის ნდობის მოპოვება, აღნიშნა, რომ არჩევნები ჭეშმარიტად თავისუფალი და დემოკრატიული იყო და 94 მილიონი ადამიანის ნების გამოხატულების შედეგად, ელცინმა სამართლიანად შეძლო პრეზიდენტობის ვადის კიდევ ოთხი წლით გაგრძელება. რიაბოვმა პრეზიდენტს მუშაობაში წარმატებები უსურვა და დასასრულ, რუსეთის პრეზიდენტად არჩევის დამადასტურებელი მოწმობაც გადასცა.

შემდგომ პრეზიდენტს საზეიმო დღე მიულოცა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ვლადიმერ ტუმანოვმა, რომელმაც, აგრეთვე აღნიშნა, რომ არჩევნები კონსტიტუციის ნორმების შესაბამისად ჩატარდა და სთხოვა პრეზიდენტს, წაეკითხა ფიცის ტექსტი, რომელიც რუსეთის კონსტიტუციის 82-ე მუხლშია მოცემული.

ბორის ელცინმა წარმოთქვა ფიცის სიტყვები: „ვფიცავ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შესრულებისას პატივი ვცე და დავიცვა ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, არ დავარღვიო რუსეთის ფედერაციის კანონები, დავიცვა ქვეყნის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება და ერთიანობა. ვფიცავ, ხალხს ერთგულად ვემსახურო“.

ფიცის დადების შემდგომ კრემლის თავზე შტანდარტი აღიმართა, ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე ეგორ სტროევმა კი პრეზიდენტს საზეიმოდ გადასცა პრეზიდენტის ძალაუფლების სიმბოლო.

ინაუგურაციის ცერემონიალი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსეი მეორის სიტყვით დასრულდა. მან მოუწოდა პრეზიდენტს, მმართველობის პერიოდში დიდი ყურადღება დაეთმოს რუსეთის ისტორიული წარსულს. მან რუსი ხალხისა და რუსული ეკლესიის, სხვადასხვა კონფესიების სახელით გამარჯვება მიულოცა ელცინს და წარმატება უსურვა რუსი ხალხის ნების აღსრულებისთვის მოღვაწეობაში.

ინაუგურაციის დასასრული ქვემეხების 30 გასროლით აღინიშნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფიცის დადების ცერემონიალს ერთდროულად საზეიმო და მშვიდი, თითქოს სამგლოვიარო ელფერიც კი დაკრავდა. პრეზიდენტმა, როგორც თვით რუსეთის საინფორმაციო წყაროები აღნიშნავენ, არ ისურვა ინაუგურაციისთვის ბიუჯეტიდან ზედმეტი თანხების გახარჯვა, ვინაიდან მისი თქმით, თანხების მომჭირნეობით ხარჯვას რუსეთისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ასეთი „პურიტანობის“ მიზეზი, ალბათ, იმაში უფრო უნდა ვეძებოთ, რომ ჩეჩნეთის კრიზისის ფონზე, ძალზე პომპეზური და მდიდრული ცერემონიალის გამართვა, უდავოდ, საყოველთაო გაღიზიანებას გამოიწვევდა და ელცინსაც პატივს ნაკლებად შემატებდა.

საზეიმო კონცერტი კი, გაურკვეველი მოსაზრებით, დღეისთვისაა დანიშნული. მასში მონაწილეობას მიიღებენ პეტერბურგელი მსახიობები.

### კვლავ ვიქტორ ჩერნომირდინის კანდიდატურა

გუშინ, პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალის დასრულების შემდეგ, ბორის ელცინმა რუსეთის პრემიერმინისტრის პოსტზე კვლავ ვიქტორ ჩერნომირდინის კანდიდატურა დაასახელა და სთხოვა მას, დათანხმებოდა მოვალეობის შესრულებაზე. პარლამენტში ამ საკითხის განხილვა დღეისთვის არის დანიშნული.

გარდა ამისა, როგორც ცნობილი გახდა, ზოგიერთმა საპარლამენტო ფრაქციამ რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში გროზნოში შექმნილი სიტუაციის განხილვის შეტანა მოითხოვა.

„კავკასიონის“
საინფორმაციო სამსახური

# საერთაშორისო სავალუტო ფონდი საგადასახადო შეღავათების წინააღმდეგია

...გუშინ საერთაშორისო ...ლუტო ფონდის მეოთხე ...პული დეპარტამენტის ...რეთ რეგიონის ხელმძღ...ვანელმა შადმან ვალავიმ და ...პრეზიდენტის თანაშემწემ ...ეკონომიკის საკითხებში თე...იმურაზ ბასილიამ ვიზიტის ...შემაჯამებელი ერთობლივი ...პრესკონფერენცია გამართეს. ...თეიმურაზ ბასილიამ ჟუ...რნალისტებთან შეხვედრისას ...აღნიშნა, რომ შესრულებუ...ლია სავალუტო ფონდის ყვე...ლა რეკომენდაცია, ყველა ...პუნქტი, გარდა პურპ...როდუქტების სისტემის პრი...ვატიზებისა. სადღეისოდ, მა...გრამ, ვერ მოხერხდა პუ...რპროდუქტების საწარმოთა ...კერძო მფლობელობაში გა...დაცემა და მეწარმეებს სა...წარმოები, მხოლოდ და მხო...ლოდ იჯარა-გამოსყიდვის ...წესით გადაეცათ, მაგ...რამ უახლოეს ხანებში ეს ...საკითხიც დარეგულირდება.

...მოლაპარაკებების დროს ...გამახვილებული ყურადღე...ბა მიექცა გადასახადების ...აკრეფის დაბალ დონეს. რო...გორც ბატონმა თეიმურაზმა ...აღნიშნა, აუცილებელია, აქ...ციზები გაკეთდეს, უპირველეს ...ყოვლისა, საგადასახადო კა...ნონმდებლობის სრულყოფა... ...ის მიიჩნევს, რომ და...წესდა შედარებით ლიბე...რალური საგადასახადო პო...ლიტიკის შემოღება. ეროვ...ნულ პროდუქტთან მიმართე...ბაში 12 პროცენტი საშემო...სავლო მაჩვენებელი ერთ-ერ...თი ყველაზე უარესი მაჩვენებელია ...მსოფლიოში. ეს კი ხელს ...უშლის სოციალური პრობ...ლემების მოგვარებას. თუ გა...დასახადების აკრეფის დონე არ გაიზრდება, სახელმწიფოს არ ექნება პენსიების, ხელფასების მომატების შესაძლებლობა.

შადმან ვალავიმ დადებითად შეაფასა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. მან აღნიშნა, რომ უახლოეს ხანებში მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოზე განიხილება საქართველოსთვის ისააფის პროგრამით გათვალისწინებული მეორე ტრანშის (40 მილიონი დოლარი) გამოყოფის საკითხი.

პრესკონფერენციის ძირითადი ნაწილი პურპროდუქტების დემონოპოლიზაციის საკითხს დაეთმო. ამასთან დაკავშირებით, შადმან ვალავიმ განაცხადა, რომ პურპროდუქტების სისტემაში შექმნილია კონკურენციის პირობები. თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სისტემის რესტრუქტურიზაციის პროცესი, ამას შედეგი გვიჩვენებს. თუმცა, მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, ამ პროცესის განხორციელებისას უფრო რაციონალური წინადადებები გამოეყენებინათ.

ბასილია მიიჩნევს, რომ დღევანდელ ეტაპზე დაწყებულია დეცენტრალიზაციის პროცესი, განხორციელებულია პურზე ფასების ლიბერალიზაცია. პურპროდუქტების სისტემაში ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ დაინერგა საბაზრო ეკონომიკის ელემენტები, რამაც დღეს სისტემის რესტრუქტურიზაციის შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელების შესაძლებლობა მოგვცა.

„მე ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი იდეალურად განხორციელდა, მაგრამ მთლიანობაში პროცესი მაინც წარმატებით წარიმართა. დღეს უფრო რთული ამოცანის — ენერგოსისტემის რესტრუქტურიზაციის პრობლემის წინაშე ვდგავართ“, — თქვა ბასილიამ.

შადმან ვალავიმ ისაუბრა ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმაზეც. მისი თქმით, ჯანდაცვის სექტორს არ ექცევა სათანადო ყურადღება და ამდენად, ამ სფეროში პროცესები არცთუ დადებითად მიმდინარეობს. „რეფორმამდე ჯანდაცვის სექტორში განსაკუთრებით მძიმე ვითარება სუფევდა. რეფორმა რომ საერთოდ არ დაწყებულიყო, გაცილებით მტკივნეული სიტუაცია შეიქმნებოდა. მაგრამ სანამ საგადასახადო შემოსავლები არ გაიზრდება, სახელმწიფოს არ ექნება შესაძლებლობა, დაეხმაროს ჯანდაცვის სექტორს“, — განაცხადა ვალავიმ.

„კავკასიონის“ შეკითხვაზე — შეაფერხებს თუ არა სოფლის მეურნეობის განვითარებას ის ფაქტორი, რომ გლეხს არ ეძლევა ბანკიდან კრედიტის გამოტანის შესაძლებლობა, რასაც ემატება ისიც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, მანქანა-დანადგარების შემოტანაზე დაწესებულია 35-პროცენტიანი საბაჟო გადასახადი, ვალავიმ უპასუხა: ასეთი საბაჟო გადასახადი დაწესებულია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სომხეთში, თურქეთში, რუსეთში. მისი აზრით, სოფლის მეურნეობის სექტორი, სხვა სფეროებთან შედარებით გაცილებით უკეთესად მუშაობს. ვინაიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქტზე ფასები თავისუფალია, ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ, შიდა ბაზარზე ან ექსპორტის მეშვეობით სასურველ ფასში გაყიდონ, ვთქვათ, ხორბალი და ამით აინაზღაურონ პროდუქციის სრული ღირებულება, საბაჟო გადასახადის ჩათვლით. მისი აზრით, ხალხს რომ შემოსავალი არ ჰქონდეს, ქვეყანაში არც ამდენი BMW და სიგარეტი იქნებოდა. 35-პროცენტიანი საბაჟო გადასახადი ვერ შეუქმნის დაბრკოლებას შიდა ბაზრის განვითარებას. ხოლო კრედიტების გამოყოფა სრულყოფილმა საბანკო სისტემამ უნდა უზრუნველყოს, რაც ქვეყანაში ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული.

რაც შეეხება სხვადასხვა სფეროში საგადასახადო შეღავათების დაწესებას, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამის სასტიკი წინააღმდეგია.

პრესკონფერენციის დასასრულს თემურ ბასილიამ მკაცრად შეაფასა ზოგიერთი დაჯგუფების მოღვაწეობა, რომელიც იმთავითვე ებრძოდა ქვეყანაში რეფორმების დაწყებას და დღესაც აქტიურად უწყობს ხელს სახიკეთო პროცესების ჩაშლას. თუმცა, ბატონ ბასილიას კონკრეტულად არ დაუსახელებია, თუ ვის გულისხმობდა რეფორმის მოწინააღმდეგეებში.

დიანა გაბროშვილი

## ჟურნალისტის სვეტი

თემურ ქორიძე



# აზამბური

აქ თურმე ოდესღაც დიდი და ძლიერი სოფელი ჰყვაოდა. მოჰყავდათ ხორბალი და ქერი, იცოდნენ ომი და სიმღერა. აქაურების წკრიალა ხმა და ნამგლის წკრიალი თურმე იორს გაღმაც ესმოდათ.

ამ სოფელს, თურმე, აზამბური ერქვა.

უბედურება აქაც დატრიალებულა. წკრიალახმიანი აზამბურელი ბიჭი ბრძოლაში დაღუპულა, სოფელი ნასოფლარად ქცეულა, ხოდაბუნები გაუდაბურებულა. სოფელიც და მისი კეთილხმოვანი სახელი აზამბურიც ნელ-ნელა დავიწყების ბურუსში ჩაძირულა.

ასეთია ლეგენდა.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ამ მიდამოებში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დევნილი მალაკნები ჩამოსახლეს. რუსებმა თან ჩამოიტანეს ცხოვრებისა და ყოფის საკუთარი წესი, ენა, სარწმუნოება და კულტურა. საგარეჯოელი თავადის მალხაზის საპატივცემულოდ სოფელი მალხაზოვკად მონათლეს. მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა გააჩაღეს. ამ მადლიანი მიწისა და დაუღალავი გარჯის შემწეობით გამდიდრდნენ და გაძლიერდნენ.

მათი ცხოვრების წესი დიდად ვერც კომუნისტური რეჟიმის დამყარებამ შეცვალა. ეს კი იყო, სოფელს, თავადი მალხაზის საპატივცემულოდ დარქმეული სახელი გადაარქვეს და „კრასნოგორსკი“ უწოდეს.

ცხოვრება მდორედ მიედინებოდა. აქაურები თაფლით, ყველით, კვერცხით, მწნილით, ხორცით ამარაგებდნენ თბილისელებს. სოფელი იზრდებოდა და ძლიერდებოდა. შენდებოდა გზები, სკოლა, კლუბი, კანტორა, სპორტული კლუბი, წყალსადენი, წყალსაცავი და მრავალი სხვა სიკეთე.

კომუნისტური რეჟიმის დაცემამ ამ სოფელზე (სხვა სოფლებზეც!) მეხის დაცემასავით იმოქმედა: მშენებლობები შეჩერდა და მერე, თანდათანობით, აშენებულიც დაინგრა; გზები ატალახდა; სოფლისკენ მიმავალი ელექტროსადენები სადღაც, უკვალოდ გაქრა, ფერმები დაინგრა, წყლის მიწოდება შეწყდა, სწავლა შეჩერდა.

მშვიდობიანი მალაკნები ქვეყნიერებას მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ შეწუხდნენ, შეშინდნენ და ნელ-ნელა რუსეთის უსასრულო ტრამალებში გაიკრიფნენ. გულისტკივილით, სინანულით და ცრემლით გამოემშვიდობნენ საუკუნენახევრის ნალოლიავებ ეზო-კარს და უცნობ ისტორიულ „სამშობლოს“ მიაშურეს. „კრასნოგორსკში“ მოხუცები და უძლურები დარჩნენ. ზოგმა სახლ-კარის გაყიდვა შეძლო. ბევრმა ესეც ვერ მოახერხა. სახურავები ჩაინგრა და კიბეებზე ბალახი ამოვიდა. უბადრუკი სანახავია ხახაგამშრალი სარწყავი სისტემები და დაწრეტილი წყალსაცავები.

სართიჭალიდან კრასნოგორსკამდე ათიოდე კილომეტრია. რა ხელმა, რა ძალამ, რა ნამუსმა ჩამოხსნა ბოძებიდან ალუმინის სადენები ამ ათ კილომეტრზე! ვის უნდოდა და ვის სჭირდებოდა სოფლის აოხრება, ნასოფლარად გადაქცევა, მალაკნების გალობის „ორმოცდაათიანელთა“ აგრესიული მოწოდებებით შეცვლა, აშენებულის ნგრევა და გაპარტახება...

ალბათ, ასე ინება ყოვლისშემძლე ისტორიამ.

იგივე ისტორია ოდესმე ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს: დასასჯელსაც დასჯის და გმირსაც გმირობას არ დაუკარგავს. გზებიც გაკეთდება და ელექტროსადენებიც აღდგება, ფერმებიც აშენდება და მკაც გაჩაღდება. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა, ასე მოხდეს. ძალიან მინდა, თითო-ოროლად შემორჩენილი ძველი კრასნოგორსკელები დავამშვიდო, რომ ყველაზე უარესი უკვე ისტორიის კუთვნილებაა და აღარასოდეს განმეორდება; აღალად ვთხოვო, ნუ მიატოვებენ მშობლიურ კერას.

იქნებ დამიჯერონ კიდეც.

მაგრამ რა ვუყოთ იმ ნასოფლარებს, სადაც დღეს ერთი კომლიც კი აღარ ცხოვრობს. ვის ვუთხრა, ვის შევჩივლო, ვის შევევედრო!?

იქნებ ღმერთმა ინებოს და ოდესმე კვლავ აღდგეს ფერფლიდან ის ნასოფლარები, დღეს რომ ისტორიული ბედუკუღმართობისა და ადამიანთა უგუნურების ძეგლებად დგანან.

**თეიმურაზ ქორიძე**

# სიტყვა-ყველას

## რატომ გვერჩიან საგზაო პოლიციელებს? ანუ პასუხი წერილისა „რას გვერჩის საგზაო პოლიცია?“

თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის 1-2 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით „რას გვერჩის საგზაო პოლიცია“?

ავტორი დ.თავდგირიძე მკითხველს მოუთხრობს იმის შესახებ, რომ საგზაო პოლიციის მუშაკები მძღოლებს ღამის 11 საათის შემდეგ დედაქალაქში მოძრაობას უკრძალავენ. კერძოდ, მოყვანილი აქვს ფაქტი, რომ ხშირად, როდესაც იგი სამსახურიდან მოგვიანებით შინ ბრუნდება, №4 სამარშრუტო მიკროავტობუსს, რომლითაც იგი მგზავრობს, თამარაშვილის ქუჩაზე, იპოდრომთან აჩერებენ საგზაო პოლიციელები იმ მოტივით, რომ მიკროავტობუსებს ღამის საათებში ეკრძალებათ მგზავრების გადაყვანა. მძღოლი, მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად, იძულებულია, ინსპექტორს ფული მისცეს.

ავტორი დასძენს, ოდესმე მაინც ხომ უნდა მოეღოს ბოლო ინსპექტორების მიერ მგზავრებისა და მძღოლების მიმართ ზღვარგადასულ თავხედობასო.

ინფორმაციაში აღნიშნული ფაქტები შეისწავლა საგზაო პოლიციის მთავარმა სამმართველომ, შესაბამის ტერიტორიებზე ჩატარდა მძღოლებისა და მგზავრების გამოკითხვა.

მოვიყვანთ ზოგიერთ დამახასიათებელ მაგალითს.

**„№4 სამარშრუტო ტაქსები მეტრო „დელისიდან“ ვაკის გავლით „თავისუფლების მოედნამდე“ ვმუშაობთ ღამის 23.00 საათამდე. ღამის 21.00 საათიდან მგზავრთა ნაკადი კლებულობს, ხშირად ნასვამი ადამიანები გვიჯდებიან, რომლებიც მგზავრობის ფულს არ იხდიან და ძალაუნებურად ჩვენსა და მათ შორის ხდება კონფლიქტები. ყოველივე ამის გამო ვცდილობთ, მუშაობა დავამთავროთ ღამის 23.00 საათზე“. არც ერთ საგზაო პოლიციელს ჩვენთვის ღამით მუშაობა არ აუკრძალავს“**

№4 სამარშრუტო ტაქსების მძღოლები: შიო თოფურია, ზურა დალაქიშვილი, არჩილ ძულიაშვილი, მერაბ სიხარულიძე, შოთა შათირიშვილი, გივი მარშანია, თამაზ მზარეულიშვილი და სხვები.

ვაჟა-ფშაველას გამზირის №42 სახლში მცხოვრები ოთარ ქვარაია: **„რუსეთში მიმდინარე არჩევნების დროს 23.00 საათზე გამაჩერა სამხედრო ფორმიანმა და განმიცხადა, რომ მგზავრები ასე გვიან რატომ გადაგყავსო. საბუთები ჩამომართვა და საგზაო პოლიციას გადასცა. საგზაო პოლიციამ კი ულაპარაკოდ დამიბრუნა საბუთები და მითხრა: გააგრძელე მუშაობა. ამ მომენტში ჩემთან ქალბატონები მგზავრობდნენ. ერთმა მათგანმა მკითხა, თუ რატომ გამაჩერა სამხედრო ფორმიანმა. როდესაც ავუხსენი მიზეზი, მან მიპასუხა: „მე გავარკვევ, სადაც საჭიროა, შენ მშვიდად იმუშავე“.**

**საქართველოს შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო**

## რედაქციისგან:

ყველა უწყებისთვის სამაგალითოდ შეიძლება გამოდგეს ის ოპერატიულობა და ყურადღება, როგორითაც შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო მოეკიდა მკითხველის წერილს და, ცხადია, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ეს საქმით დასტურია იმისა, რომ საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობა რეალურად ცდილობს თავის უწყებებში უწესივრობის აღმოფხვრას. მკითხველთა შენიშვნები მათ მხოლოდ დაეხმარებათ მუშაობაში, მაგრამ კარგი იქნება თუ მომავალში მათ უფრო კონკრეტული შინაარსი ექნებათ, დასახელებული იქნება გვარები, ინციდენტის ადგილი, დრო და ასე შემდეგ. ამით სასურველ შედეგს უფრო სწრაფად მივაღწევთ.

## გთხოვთ, განგვიმარტოთ

წარმოვადგენ სახაზინო საწარმოს — ვარ სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის“ სპეციალიზირებული სამშენებლო ქვესაწარმოს უფროსი. ბიუჯეტში გადასახადს ვიხდი დროულად. გახსნილი მქონდა ანგარიში „ტრანსბანკში“, რომელმაც 1995 წლის ბოლოს გადარიცხვების წარმოება შეწყვიტა. ამის გამო ჩემს მიერ დროულად წარდგენილი გასული წლის ნოემბრისა და დეკემბრის საგადასახადო დავალიანებები არ გადაირიცხა, მაშინ, როცა ჩემს ანგარიშზე საჭირო თანხა იდო („ტრანსბანკში“ ჩემს გაუქმებულ ანგარიშზე დღესაც ირიცხება 4 888 ლარი). ზემოთ თქმულის დამადასტურებული საბუთები ხელთა მაქვს.

საგადასახადო ინსპექციას ყველა საჭირო ინსტანციიდან მივუტანე გასამართლებელი საბუთები, რომელთა საფუძველზედაც ჩემს „დავალიანებას“ დაედო საურავი, გამოიწერა საგადასახადო დავალება.

ყოველივე ამის შემდეგ მიმდინარე წლის ივნისში საგადასახადო ინსპექციამ „ტრანსბანკის“ ბარათზე დადებულ თანხას ახალი საურავი დაარიცხა და მოხსნა ჩემი ანგარიშიდან, რომელიც ახალ ბანკში მაქვს გახსნილი.

გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენად კანონიერია საგადასახადო ინსპექციის მოქმედება.

კიდევ ერთიც — ნაღდ ანგარიშზე შეძენილი მასალები, დღევანდელ პირობებში უფრო იაფია, ვიდრე უნაღდო ანგარისწორებით შეძენილი.

გთხოვთ განგვიმარტოთ, რა შეზღუდვებია ამ მხრივ და მოგვეცით რეკომენდაცია, როგორ მოვიქცეთ.

**ზურაბ მეფარიძე**

## კომპეტენტური პირის განმარტება

სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზას“ სპეციალიზირებული სამშენებლო ქვესაწარმოს უფროსის ზურაბ მეფარიძის კითხვებზე მოგახსენებთ შემდეგს:

1. იმ შემთხვევაში, თუ ზ.მეფარიძის მიერ საბანკო დაწესებულებაში თავისდროულად იქნა წარდგენილი საგადასახადო დავალება, მეფარიძის მიმართ არ შეიძლება გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური სანქციები. ასეთ შემთხვევაში „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადამხდელთა საგადასახადო დავალების შეუსრულებლობისთვის (დაგვიანებით შესრულებისთვის) საბანკო დაწესებულებას ფინანსური სანქციის სახით გადახდება საურავი ჩაურიცხავი (დაგვიანებით ჩარიცხული) თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით, გადახდის ვადის თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2. „საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის გაძღოლის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 24 ივნისის №394 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულების შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, ანგარიშსწორება იურიდიულ პირებს შორის განახორციელოს უნაღდო წესით, საბანკო დაწესებულებათა მეშვეობით. ნაღდი ფულით ანგარიშსწორება დაიშვება მხოლოდ შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

იურიდიულ პირებს შორის ნაღდი ფულით ანგარიშსწორების გამოვლენისას, თითოეული იურიდიული პირი დაჯარიმდება წარმოებული ანგარიშსწორების თანხის 25 პროცენტით, ხოლო წლის განმავლობაში დარღვევის განმეორების დროს — აღნიშნული თანხის 50 პროცენტით.

**ზვიად როგავა**

**თბილისის საგადასახადო სამსახურის საჩივრების, პროტესტებისა და სამართლებრივი საკითხების განყოფილების უფროსი**

# შვიდი მშიერი ძროხის იგავი

რესპუბლიკის პროკურატურა ხელისუფლების ორგანოებში მიღებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მართლზომიერებას იკვლევს. გენერალურმა პროკურორმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 1991-1995 წლებში მინისტრთა კაბინეტში ხელმოწერილია 1500-ზე მეტი უკანონო დოკუმენტი!

ისიც გავიგეთ, რომ ამ გრანდიოზულ გამოძიებაში პროკურატურის გარდა მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა, უშიშროების, ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის სამინისტროები და საგადასახადო ინსპექცია. მოკლედ, როგორც იქნა, დადგინდა, რომ თევზი თავიდან ყარს. ახლა მიმდინარეობს გულმოდგინე კვლევა-ძიება კონკრეტული დამნაშავეების აღმოსაჩენად.

განზრახვა ფრიად კეთილშობილურია: დამნაშავე, რასაკვირველია, უნდა დაისაჯოს და დაისჯება კიდეც. ოღონდ, აღმოცენდება თუ არა დასჯილის ადგილზე ახალი დამნაშავე, ამაზე, ჯერჯერობით, არავინ ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში — არავინ არაფერს ამბობს.



გავიხსენოთ საბჭოთა ისტორია: სამოცდაათი წლის განმავლობაში იმდენი და ისეთი მასშტაბების „წმენდები“ და დაჭერა-დახვრეტების სერიები ჩატარდა, 90-იანი წლების დასაწყისისთვის საზოგადოება, წესით, ბროლივით სუფთა უნდა ყოფილიყო. თაღლითი და ხაზინის ქურდი ხელისუფლებაში სანთლით უნდა გვეძებნა. რახან ასე არ მოხდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ „წმენდები“ დახვრეტები და სხვა საქველმოქმედო აქციები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გამეფებულ კორუფციას ვერ შველის.

ნებისმიერი უმაღლესი თანამდებობის პირს საკუთარი შემოსავლების თაობაზე რომ ვკითხოთ, გვიპასუხებს, რომ ცხოვრობს მშობლების, დედმამიშვილების, ნათესავების ან ძმაკაცების ხარჯზე. ის ძმაკაცები და ნათესავები ვის ხარჯზე ცხოვრობენ, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ფაქტია, რომ მაღალი თანამდებობის პირს საქართველოში ხელფასზე ცხოვრება ობიექტურად არ შეუძლია.

ამის მიუხედავად, ეს პატივცემული საზოგადოება კარგად იკვებება, კარგად იცვამს, საზღვარგარეთაც მოგზაურობს, შვილებსაც კარგ განათლებას აძლევს. მოკლედ, ამქვეყნიურ სიამეთაგან თითქმის არაფერს იკლებს. თანაც, მისი ხელფასი 20-დან 200 ლარამდე მერყეობს. ანუ, რომ არა უანგარო ძმაკაცები და ნათლიმამები, სახელმწიფო მოხელე ვერასდროს შეიძენდა 100 დოლარიან ჰალსტუხს და 300 დოლარიან ფეხსაცმელს.

ადამიანი იბრძვის თუნდაც ძალზე პრესტიჟული, მაგრამ მაინც ოცლარიანი თანამდებობისთვის, როცა ამაზე ათჯერ მეტის მიღება გაცილებით არაპრესტიჟულ თანამდებობითაც შეიძლება. წესით, პირიქით უნდა იყოს — მინისტრობა და გუბერნატორობა სასჯელად უნდა ითვლებოდეს. რაც მთავარია, უნდა დავიჯეროთ, რომ ოცლარიანი ხელფასის შემყურე მაღალი რანგის ჩინოვნიკი სერიოზულად ებრძვის ხელისუფლებაში გამეფებულ კორუფციას და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს.

შექმნილია ტრაგიკომიკური სიტუაცია: ერთი ფორმალურად ჯიბეცარიელი ჩინოვნიკი მეორე ფორმალურად ჯიბეცარიელ ჩინოვნიკს ჯიბეში ფულს უთვლის.

დღევანდელ საქართველოში შექმნილი ვითარება ძალზე ნაცნობია და, ფაქტობრივად, არავითარი გამოძიება საჭირო არ არის — ყველამ ყველაფერი იცის. იმ ყოფილ პრემიერებს და ვიცეპრემიერებს, ახლა რომ ბრალი ედებათ, თავის დროზე ხაზინა რომ არ გაექურდათ, შიმშილით სული გაძვრებოდათ. ისინი, დიახაც, დაკავშირებული იყვნენ (აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ) ადგილობრივ და საერთაშორისო მაფიურ კლანებთან. ისინი, დიახაც, ძარცვავდნენ საკუთარ ქვეყანას და ეს არის ლოგიკური შედეგი თანამედროვე ქართული მოდელის სახელმწიფოს განვითარებისა. როცა აცხადებენ, რომ ყველაფერს გამოიძიებენ და ყველას დამსახურების მიხედვით მიუზღავენ, ეს ქვეყანაში მარ... პოლიციური სისტემის დამკვიდრე... ბას ნიშნავს, მეტიც, ეს ნიშნავ... ტოტალური სახელმწიფო ტერორ... დაწყებას. რადგან დღევანდელ სა... ქართველოში, ფაქტობრივად, თით... ზე ჩამოსათვლელი თუ იქნებ... ისეთი მაღალი რანგის მოხელ... რომელიც, ნებსით თუ უნებლიე... დაკავშირებული არ იყოს უხეირო... ზულებ კანონდარღვევებთან. ბატონო, მავანი მოხელე თავ... დილის ცვარივით უმანკოა, მაგრ... ბნელ საქმეებს მისი ძმაკაცები... ნათლიმამები (ბიძაშვილმამიდაშ... ლებიც!) სჩადიან. ისინი დიახ... ინახავენ დიდმოხელის ოჯახს... რა თქმა უნდა, საყვარელ ძმაკ... დიდი მორიდებით, საკანონმდებლ... სფეროში საკუთარ მოსაზრებებს... შეაპარებენ ხოლმე — ვინც ფულ... იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს!

თანამედროვე საქართველო... სახელმწიფო სამსახურში მყო... მაღალი თანამდებობის პირზე... წეო და უუფლებო კაცი ძნელ... თუ მოიძებნება: იგი იძულებულ... ხელგაშლით იცხოვროს. ამას... ლარად ნამდვილად ვერ შეძლე... იწყებს კანონების უგულებელყოფ... ან კიდევ უარესი — კანონებ... სიტუაციაზე მორგებას. საბოლო... კი იგი მწარედ ისჯება.

კორუმპირებული მოხელე... რკის ლომივით დამჯერი და... ნიერია,თანაც, თუ მისი თავიდ... მოშორება გახდა საჭირო, ნებ... ერ წამს სულ იოლად შეიძლ... ამ პრობლემის გადაჭრა.

თუ ეს სტილი არ შეიცვ... მხოლოდ შედეგებთან ბრძოლა... თეს არ მოგვიტანს. ისტორიამ... უთვალავჯერ დაადასტურა.

ვიდრე კორუფციის წინააღ... მრისხანედ ხმალშემართული... ნიკი ვიღაცას წყლიანი თვალ... შესციცინებს, იქნებ ორიოდე გ... მომცეს ოჯახის გამოსაკვებად... ჯიბის ფულადო, კორუფციის წ... ლმდეგ, საზოგადოდ, კანონიერებ... ვის ბრძოლა სასურველ შედეგ... მოიტანს.

სხვათა შორის, ბრძოლა... არის საჭირო. საჭიროა მმართვ... ბითი აპარატის მკვეთრი შემცი... და დიდპატარა მოხელეთათვის... ფასების გაასმაგება. ისინი ხომ მ... იპარავენ ხელფასზე ასჯერ მეტ... უფრო საზრიანები — გაცილ... მეტსაც.

თუ ასე არ მოხდა, შ... მშიერი ძროხა უთუოდ შეჭამს... მაძღარ ძროხას და კანონიერ... თვის ბრძოლის სერიებიც უსა... ლოდ გაგრძელდება.

# სად იმალება სასტუმრო „გუდაურის“ „ოქროს გასაღები“?

ერთობლივი საწარმო „გუდაურის“ საქმიანობა, რომელსაც სასტუმროს მაღალეფექტურ ფუნქციონირება უნდა უზრუნველეყო, ფაქტობრივად, საქართველოსთვის საზიანოდ წარიმართა. გაურკვეველი მიზნის, საეჭვო გარიგების პარტნიორულმა ურთიერთობებმა სასტუმრო „გუდაურის“ სრული კრახი გამოიწვია. ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი, წლების განმავლობაში, მხოლოდ და მხოლოდ, ზარალის მომტანი იყო. სამაგიეროდ, უდრტვინველად ხელს ითბობდნენ ერთობლივი საწარმოს მესვეურნი, რომელთაც ჯერ ავსტრიული ბანკიდან სოლიდური ოდენობის კრედიტი გამოიტანეს, შემდეგ არამიზნობრივად გახარჯეს და ვალის დაფარვა ისედაც თითქმის უფუნქციოდ დარჩენილ სასტუმროს დააკისრეს.

ისეთ ვითარებაში, როცა ერთობლივ საწარმო „გუდაურში“ ქართული მხარის („საქკურორტის“) აქციების რაოდენობა დროდადრო მცირდებოდა და სოლიდურ მეწილეებად უცხოელი პარტნიორები გვევლინებოდნენ, შეიქმნა საშიშროება, რომ საქართველოს ხელიდან გამოცლოდა სასტუმრო და მას აქამდე მითიურ მეპატრონედ ცნობილი ავსტრიელები დაეპატრონებოდნენ.

**სამწუხაროდ, არც ამ ქაოტურ სიტუაციაზეა პასუხისმგებელი ვინმე და არც იმ ხელშეკრულებებზე, რომლებმაც სასტუმრო „გუდაური“ სასწორზე „შეაგდეს“.**

**ზემოხსენებულ განუკითხაობას ბოლო ხანს სასტუმრო „გუდაურის“ ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟიც დაერთო. დღეს გაცხარებით დაობენ იმაზე, თუ ვინაა სასტუმროს კანონიერი მფლობელი — სააქციო საზოგადოება „გერგეთი“ („გუდაურის“ კომპლექსი) თუ ფირმა „ბემი“, რომელსაც სასტუმრო „გუდაურის“ აქციების 64 პროცენტი... ქმენეთის ვალის (10 მილიონი დოლარი) ჩა... სანაცვლოდ გადაეცა. სხვა საქმეა, რამდენად... ნიერი იყო მინისტრთა კაბინეტის დადგენ... რომლის საფუძველზეც ფირმა „ბემს“ სასტ... „გუდაური“ და კიდევ სხვა ობიექტები გა... ამის გარკვევა, რა თქმა უნდა, სასამარ... პრეროგატივაა.**

**მაგრამ... ვიდრე საარბიტრაჟო სასამ... გადაწყვეტილებას მიიღებს:**

**- არავინაა პასუხისმგებელი იმაზე, თუ რ... ფორმდებოდა უცხოელ პარტნიორებთან ქარ... მხარისთვის წამგებიანი ხელშეკრულებები;**

**ხელისუფლება ერთხელ მაინც რატო... დაინტერესდა წლების განმავლობაში ერთ... საწარმო „გუდაურში“ მიმდინარე პროცესებ...**

**რატომ არავინ აგებს პასუხს დღეს უპატ... მიტოვებულ საბაგირო გზაზე, რომლის გა... „გუდაურის“ კომპლექსი თავისთავად და... ფუნქციებს?**

**რატომ არავის ეჩვენა პარადოქსულად ი... მოიჯარადეები სამი კოტეჯის საიჯარო... „საქკურორტს“ ყოველკვარტალურად 25... უხდიდნენ?**

**დღემდე პასუხგაუცემელი ყველა ეს... ვფიქრობთ, სასტუმრო „გუდაურის“ ვერც... ვლო ფუნქციონირებას წაადგება სასიკეთო...**

**სადღეისოდ აუცილებელია სასტუმროს... ლად გამოუჩნდეს რეალური პატრონი, ერ... მოიძებნოს „გუდაურის“ „ოქროს გასაღებ... სასტუმრომ რეალურად შეასრულოს ის... რომლის გამოც ქართველები ერთ დრ... ძალუმად ვაშენებდით მას.**

„კავკასიონის“ ლიტერატურული გაზეთი

# არილი

10 აგვისტო, 1996 წ.

## ეზრა პაუნდი 1885-1972



ლექსები წიგნიდან
Cathay

VI VII

## ბათუ დანელია
# ჯვალოები

პოეზია

ნუ იხდი კაბას

ნუ იხდი კაბას, არ გინდა! მე ჯერ ბაგიდან
მოგწყვიტო ვარდი, გაგშალო, როგორც მაგიდა,
სადაც იდება სიტყვების ტკბილი აკიდო...
არ გინდა-მეთქი, ნუ იხდი! გახდას მოასწრებ.
ალმოსაჩენი არ გახდეს გული, ტროასებრ...
ჯერ უნდა გული გრძნობების ჭალად დაჰკიდო,
ვით ბალი ჰკიდებს მწიფობას შემოდგომაზე...

ნუ იხდი კაბას, არ გინდა! ჯერ ცა ჩამოვხსნათ
და გავიფინოთ ქვეშ ზეწრად — ბოლო გამოცდად...
ნუ იხდი-მეთქი! ვაცალოთ ჯერ საღამოსაც
შესვლა გვირაბში, რომ შენი ტანის სიშიშვლემ
გაიკაშკაშოს მზესავით, თითქოს ვიშიშვლე
ხმალი... და სიომ სუყველა შენი სამოსი
წაიღოს, როგორც ნივთები მიაქვთ ნიშისკენ...



IV

## რეზო ქეიშვილი

# ღოღო

ლირიული
ინტერმეცო

პროზა



IV



## ვლადიმერ სოლოვიოვი
რუსული ფილოსოფიის
პატრიარქი

II

## ვლადიმერ ვოინა
ლიტერატურული ექსკურსი

საყვარელი რომანის მუზეუმი

VIII

## პოლ ვირილიო
# დაკარგული სივრცის ძიებისას

პოსტმოდერნი

ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, „არილის“ 1 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ჟან ბოდრიიართან საუბრის ლოგიკურ გაგრძელებად შეგვილია მივიჩნიოთ.

პოლ ვირილიო (დაიბადა 1932) პარიზის არქიტექტურის სპეციალიზებული სკოლის დირექტორი, არქიტექტორი, ომის თეორეტიკოსი, თანამედროვე საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინტელექტუალია. მისი დამსახურებაა ანალიზის ახალი სფეროს „დრომოლოგიის“ (მეცნიერება სიჩქარის შესახებ) შემოტანება. სიჩქარე მთავარი „გმირია“ მისი წიგნების: „ბუნკერის არქეოლოგია“ (1975), „გაქრობის ესთეტიკა“ (1980), „კინო და ომი“ (1984), „უდაბნოს ეკრანი“ (1991).

— თქვენ განუწყვეტლივ აანალიზებთ ... , რომლებსაც ძალიან სტრუქტურირებს სიჩქარის ზემოქმედება იწვევს. სამი ... შეიარაღების განვითარებაში, რომელსაც თქვენ გამოყოფთ — მოგერიების ... ნგრევის იარაღი და კომუნიკაციის იარაღი — უშუალო ზემოქმედებას ... გარემოზე, ქალაქურ სივრცეზე, ... დოების სტრუქტურაზე.

— ავიღოთ იარაღის პირველი, ძირითადი სახე — მოგერიების იარაღი: ქალაქის სიმაგრეები, ფარები, ჩაფხუტები, ჯავშნები და სხვა. კედლების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ თავად პოლიტიკურის ჩასახვა. იგი ქალაქის სიმაგრეების, მოგერიების იარაღის ჩრდილქვეშ კონსტიტუირდება. როგორც კი სიმაგრეები, როგორც მოგერიების იარაღი, პირველობას მასობრივი განადგურების იარაღს უთმობს, თავდაპირველად არტილერიას, შემდეგ კი ავიაციას — ეს ხდება XV-დან XX საუკუნემდე — საზოგადოება იცვლება: სახელმწიფო-პოლისი ეროვნულ სახელმწიფოდ იქცევა, ხოლო რეგიონალური პერსპექტივები უფრო გლობალური ხდება. ეროვნულ სახელმწიფოს უკავშირდება საალყო ომის დასასრული, შეტევითი ტიპის ომებზე გადასვლა (მაგ. ნაცისტების ბლიცკრიგი). ზუსტად ასევე, ახალი ინფორმაციული იარაღის დანერგვა შეცვლის ქალაქს, შეცვლის სახელმწიფოს ფუნქციას. მის გამოჩენასთან ერთად ეროვნული სახელმწიფო უფრო ფართო გლობალურ მთლიანობაში ითქვიფება: ამით აიხსნება დღევანდელი კონფლიქტები, რეგრესიები, სამოქალაქო ომები. კითხვის ქვეშ დგება ქალაქის სტატუსი, იგი, როგორც ჩანს, მეტია, ვიდრე მხოლოდ ქალაქი. ევროპის საზღვრების გახსნის შედეგად ერები თავიანთი ძალაუფლების მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავენ მეგაპოლისების (ისეთები, როგორც ბერლინი, პარიზი, ლონდონი), უზარმაზარი ქალაქ-არქიპელაგების სასარგებლოდ. ანუ ორბიტალური, კომუნიკაციური შეიარაღების გამოჩენას მოჰყვება ცივილიზაციის „მონდიალიზაცია“. ჩვენ ქალაქ-სამყაროს ჩასახვის მოწმენი ვხდებით, რომელიც ქალაქთა კონგლომერატისგან შედგება. ყველაფერი ეს მხოლოდ ახლა ალმოცენდება, მაგრამ პოლიტიკური განზომილების დამხობას გვიქადის. ყველაფერი, რაც ომს ეხება, სიჩქარისა და ძალაუფლების შეოხებით, ასევე ეხება პოლისს და, მაშასადამე, პოლიტიკურ განზომილებასაც. ჩვენ მოწმენი ვხდებით საბჭოთა იმპერიის არა უბრალოდ დაშლისა და მარტოხელა ფენომენისა,



რომელიც ზესახელმწიფოს (მხედველობაში მაქვს აშშ) საფრთხის ქვეშ იმყოფება. ჩვენ, ჩემი აზრით, მთლიანად პოლიტიკასთან დამოკიდებულების რადიკალური ცვლილებების მომსწრენი ვხდებით. სახეზეა გეოპოლიტიკის კრიზისი, რომელიც ადგილს უთმობს ქრონოპოლიტიკას — რეალური დროის პოლიტიკა დომინირებას იწყებს რეალური სივრცის პოლიტიკაზე.

— თუ შეიძლება უფრო ვრცლად გვესაუბრეთ ცნებაზე „რეალური დრო“, რომელიც საკვანძო პრობლემას წარმოადგენს თქვენს კონცეფციაში...

— გავიხსენოთ, რომ დედამიწა პატარა პლანეტაა 40 000 კილომეტრის გარშემო-

III

# ვლ. სოლოვიოვი — რუსული ფილოსოფიის პატრიარქი



ვლადიმერ სერგის ძე სოლოვიოვი — ფილოსოფოს-მისტიკოსი, თეოლოგი, რელიგიის ისტორიკოსი, ლიტერატურული კრიტიკოსი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და პოეტი, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ყველაზე დიდი ფიგურაა თავისი აზრთა წყობის სისტემატურობითა და გაქანებით.

ვლ. სოლოვიოვი დაიბადა 1853 წლის 16 იანვარს ქმოსკოვში, ცნობილი რუსი ისტორიკოსის ს.მ.სოლოვიოვის ოჯახში. სოლოვიოვების ოჯახში გამეფებულმა დახვეწილმა სულიერებამ და კულტურის არაჩვეულებრივად მაღალმა დონემ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ვლ.სოლოვიოვის დაინტერესება ფილოსოფიისა და რელიგიის საკვანძო პრობლემებით, ხელი შეუწყო მომავალი ფილოსოფოსის ფართო განსწავლულობას, უცხო ენების ღრმა და საფუძვლიან ცოდნას. საშუალო განათლება ვლ.სოლოვიოვმა მიიღო მოსკოვის მეხუთე გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი თავდაპირველად სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე, შემდეგ სწავლა განაგრძო ამავე უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. პარალელურად ვლ.სოლოვიოვი ირიცხებოდა სასულიერო აკადემიის თავისუფალ მსმენელად. უნივერსიტეტში გატარებული წლები მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ვლ. სოლოვიოვისათვის. აქ მან საფუძვლიანად აითვისა რელიგიისა და ფილოსოფიის ისტორია, აქვე ჩაეყარა საფუძველი ვლ.სოლოვიოვის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ვლ.სოლოვიოვის, როგორც თეოლოგისა და ფილოსოფოსის ფორმირებაში, დიდია მისი მასწავლებლების, ცნობილი პედაგოგების ამ.ივანცოვ-პლატონოვის და პ.დ.იურკევიჩის როლი. უნივერსიტეტში სწავლების წლებს უკავშირდება, აგრეთვე, ვლ.სოლოვიოვის განსაკუთრებული გატაცება ისეთი ბუმბერაზი მოაზროვნეებით, როგორებიც იყვნენ პლატონი, კანტი, შელინგი, შოპენჰაუერი.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ვლ.სოლოვიოვი იწყებს აკადემიურ მოღვაწეობას, რომელიც მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. 1881 წლის 28 მარტს ვლ. სოლოვიოვმა წაიკითხა საჯარო ლექცია, სადაც მან ქრისტიანული ლმობიერების მოტივით სიკვდილით დასჯის გაუქმება და ალექსანდრე მეორის მკვლელობის გამო დაპატიმრებულ ტერორისტთა შეწყალება მოითხოვა. ამ გამოსვლამ სამუდამოდ შელახა ვლ.სოლოვიოვის პოლიტიკური რეპუტაცია ოფიციალური რუსეთის თვალში. იგი აიძულეს შეეწყვიტა აკადემიური მოღვაწეობა.

იწურებოდა მე-19 საუკუნე, კარს იყო მომდგარი ახალი, კაცობრიობის ისტორიაში არნახული სისხლიანი კატასტროფების ეპოქა — მსოფლიო ომებისა და რევოლუციების, მაღალ იდეალებს ამოფარებული ურწმუნოების, ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვის, კულტურულ ღირებულებათა დაკნინებისა და უტილიტარული ტექნიკური ცივილიზაციის ზეობის ხანა. ყოველივე ამის მოახლოებას მწვავედ განიცდიდა ვლ.სოლოვიოვი. სიკვდილის აჩრდილი თავს დასტრიალებდა მას, ამიტომ ჩქარობდა ადამიანებისთვის ეუწყებინა ანტიქრისტეს აღზევების სიმპტომები, მისი უცილობელი დაცემა და ღვთაებრივი ნათელის გაცისკროვნება ისტორიის გოლგოთის ტანჯვით განწმენდილ ადამიანთა სულებში. ნაწილობრივ კიდევაც აღასრულა მან ეს განზრახვა. მისი შემოქმედების დასკვნითი პერიოდი სწორედ ამგვარი ესქატოლოგიურ-კატასტროფული ხილვებით არის აღბეჭდილი. ვლ.სოლოვიოვი გარდაიცვალა 1900 წლის 31 ივლისს, 47 წლის ასაკში, მოსკოვის მახლობელ სოფელ უზკოეში, უახლოესი მეგობრებისა და თანამოაზრეების, ცნობილი ფილოსოფოსების — ძმების სერგეი და ევგენი ტრუბეცკოების საგვარეულო მამულში. სიკვდილის წინ ის ითხოვდა არ მიეცათ მისთვის დაძინების საშუალება, აეძულებინათ ელოცა ებრაელი ხალხისთვის; მე მოვალე ვარ, ამბობდა სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვული ვლ.სოლოვიოვი, ვილოცო მათთვის. სულ რამდენიმე კაცი მიაცილებდა მას უკანასკნელ გზაზე. ვლ.სოლოვიოვი დაკრძალეს მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, თავისი სახელოვანი მამის გვერდით.

ვლ.სოლოვიოვი იყო უაღრესად რთული, იდუმალებით მოცული პიროვნება. ურყევი რელიგიური რწმენა და თავისუფალი აზროვნება, ხალასი იუმორი, ირონიაც კი სიკვდილ-სიცოცხლის ურთულეს რელიგიურ პრობლემებზე მსჯელობისას, ასკეტური ცხოვრების წესით შემოფარგვლა და ამავე დროს, ღვინის, განსაკუთრებით შამპანურის ტრფიალი, ალმასრებლობით მართლმადიდებელი და ამასთანავე, კათოლიციზმის ქომაგი, ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი და ა.შ. — ეს, ერთი შეხედვით, შეუთავსებელი ნიშან-თვისებანი და მისწრაფებები ჰარმონიულად ერთიანდებოდნენ ამ უნივერსალურ პიროვნებაში. მაგრამ, ალბათ, მისი პიროვნების ყველაზე ხელშესახებ თავისებურებას ამა სოფლის უპიროვნო, ობიექტური რეალობისადმი უკომპრომისო დამოკიდებულება გამოხატავდა რეალური სინამდვილის მიმართ იდეალის ძალმოსილებით და ჩვენს ცოდვილ მიწაზე სამართლიანობისა და სიკეთის უცილობელი დამკვიდრების ურყევი რწმენით რომ იყო გამაგრებული. მისი პიროვნების ეს ძირეული თვისება ვლ.სოლოვიოვს საშუალებას არ აძლევდა დაკმაყოფილებულიყო რაიმე შეზღუდულით, პირობითით, ცალმხრივით, წარმავალით. ნ.ბერდიაევის მიერ მოცემული ვლ.სოლოვიოვის პიროვნების დახასიათება სწორედ მისი ამ ძირეული თავისებურებების ხატოვან ილუსტრაციას წარმოადგენს: „მასში იყო რაღაც ჰეროვნება, მოწყვეტილობა ყოველგვარი ყოფისაგან, იგი მიწიდან არ ამოზრდილა, არაფერთან არ იყო ორგანულად დაკავშირებული, არ ქონდა მიწაში გადგმული ფესვები.

## ნაწილი I. ყოვლისერთიანობის მეტაფიზიკის საფუძვლები

არაამქვეყნიური, სხვა სამყაროებიდან მოსული, თითქმის ყველასთვის უცხო, არავისთან და არაფერთან არ იყო სისხლით ახლობელი". ხომ არ ეწინააღმდეგება ვლ.სოლოვიოვის პიროვნების უნივერსალიზმი ნ.ბერდიაევის მიერ მის დახასიათებას, როგორც მარტოსულისა? ხომ არ არის მარტოობის ფენომენი ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის მაჩვენებელი? ხშირ შემთხვევაში ეს მართლაც ასეა. ეგოისტი გაუცხოებულია სამყაროსგან, მას დახშული აქვს მეორე ადამიანთან მისასვლელი გზა და, ამდენად, ის მარტოსულია. მაგრამ მარტოობაც არის და მარტოობაც. მარტოობა შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალისტურ-ეგოისტური, ასევე უნივერსალურიც. უნივერსალური პიროვნების მარტოობა იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანმა მნიშვნელოვნად გაუსწრო მის გარემომცველ პიროვნულ და სოციალურ გარემოს, რომ მისი უნივერსალური შემოქმედებითი მონაპოვარი არ არის გაგებული და აღიარებული სხვების მიერ. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა იგივე ნ.ბერდიაევი „უმაღლესი მარტოობა ღვთაებრივია, თვითონ ღმერთმა იცის დიდი და სატანჯველი მარტოობა, ოდეს სამყარო და ადამიანები ზურგს აქცევენ მას". ასე რომ, არაფერია გაუგებარი იმაში, რომ ვლ.სოლოვიოვი, ეგზომ უნივერსალური მიზანსწრაფვის მოაზროვნე, მარტოსულად გრძნობდა თავს პარტიკულარული ინტერესებით შეპყრობილ საზოგადოებაში. ვლ.სოლოვიოვისთვის სრულიად მიუღებელი იყო ადამიანის სოციალ-პოლიტიკური და ნაციონალური ჩაგვრის, პიროვნების სინდისის თავისუფლების ხელყოფის გამართლება და მისი თანადროული რუსეთის სხვა სოციალური მანკიერებანი. საგულისხმოა ფ.დოსტოევსკისა და ვლ.სოლოვიოვის ურთიერთობა. 1878 წლის ზაფხულში ვლ.სოლოვიოვმა და ფ.დოსტოევსკიმ ერთად იმოგზაურეს ოპტინის სავანეში, სადაც ხანგრძლივი საუბრები ჰქონდათ მონასტრის წინამძღოლთან — მამა ამბროსისთან. აქ ფ.დოსტოევსკიმ გააცნო ვლ.სოლოვიოვს თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრი, რომელიც მან ასე ბრწყინვალედ განახორციელა თავის გენიალურ რომანში „ძმები კარამაზოვები". უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მოაზროვნეს ერთნაირად ესმოდათ ქრისტიანული ეკლესიის მოწოდება, მისი საზოგადოებრივი ფუნქცია და როლი სახელმწიფოს ჰუმანიზაციის პროცესში. აღსანიშნავია, აგრეთვე, ისიც, რომ ბუნებისადმი ფაქიზი, მზრუნველობითი დამოკიდებულების იდეა ერთნაირი სიძლიერით არის განსახიერებული როგორც ფ.დოსტოევსკის მხატვრულ ქმნილებებში, ასევე ვლ.სოლოვიოვის პოეზიასა და ფილოსოფიურ შემოქმედებაში. მსგავსად ფ.დოსტოევსკისა, ვლ.სოლოვიოვსაც ეჭვი არ ეპარებოდა რუსეთის ისტორიული მისიის მასშტაბურობაში, ამავე დროს, ვლ. სოლოვიოვი მკვეთრად უპირისპირდებოდა ფ.დოსტოევსკის შოვინიზმსა და ანტისემიტიზმს; იგი უპირობოდ გმობდა ებრაელების, პოლონელების, ფრანგების, გერმანელების, საზოგადოდ — ევროპული კულტურისა და უცხო აღმსარებლობათა წინააღმდეგ მიმართულ ფ.დოსტოევსკის შოვინისტურ გამოხდომებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვლ.სოლოვიოვი დიდი სიმპათიით იყო გამსჭვალული საქართველოსადმი, მისი უძველესი და თვითმყოფადი კულტურისადმი. როგორც ცნობილი პუბლიცისტი ვ.ველიჩკო მოგვითხრობს, მის ბინაში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე ვლ.სოლოვიოვმა გაიცნო ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორი მ.ბალანჩივაძე, რომელსაც ჩამოეტანა ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშები. ვლ.სოლოვიოვი აღფრთოვანებია სვანურ სიმღერებს, განსაკუთრებით კი, მზის საგალობელს — „ლილეოს". მან მ.ბალანჩივაძეს რამდენიმეჯერ გაამეორებინა ეს სიმღერა, ჩაიწერა სვანური სიტყვები და შემდგომში, იგონებს ვ.ველიჩკო, როდესაც საქართველოზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ვლ.სოლოვიოვი ფეხზე წამოდგებოდა და უდიდესი სიხარულით იმღერებდა ხოლმე „ლილეოს".

როგორც აღინიშნა, ვლ.სოლოვიოვი იყო არა მხოლოდ გამორჩეული ფილოსოფოსი, არამედ ორიგინალური ხელწერის პოეტიც. ვლ.სოლოვიოვის პოეზია მისტიკური ხილვებით იკვებება. თუმცა მის პოეზიაში ასახული მისტიკური განწყობა სრულიად თავისებურია. ეს არის ღვთაებრივი სიბრძნის, წმ.სოფიის, ანუ როგორც დიდი გოეთე იტყოდა „მარადიული ქალურობის" ნათელხილვის მისტიკა, რომელიც ყოფიერების კოსმიური სიხარულის განცდას უკავშირდება. სწორედ ამან უბიძგა ცნობილ მეცნიერს დ.ოვსიანიკო-კულიკოვსკის ვლ.სოლოვიოვის პოეტური შემოქმედების მკვებავი მისტიკა ფრანცისკ ასიზელის მისტიკისთვის შეედარებინა.

იქ დიდი სიხარული და ბევრი გულუბრყვილო მხიარულებაა, ზოგჯერ უზრუნველი სიცილიც გვესმის, იქ უბოროტო ხუმრობას და კეთილ იუმორსაც შევხვდებით. დიდი შეცდომა იქნებოდა ამგვარი მისტიკოსები კუშტ, სულ მუდამ საიქიოზე ფიქრით დამძიმებულ, სიცოცხლით ტკბობას და მიწიერ სიხარულს მოკლებულ ადამიანებად



მარცხნიდან: ვლ. სოლოვიოვი, ს. ტრუბეცკოი, ნ. გროტი, ლ. ლოპატინი

მიგვეჩნია. ფრანცისკი, ისევე, როგორც ვლ.სოლოვიოვი, თუმცა ასკეტები არიან, მაგრამ მათი ასკეტიზმი თავისებურად ზომიერია, სალოსობაში არ გადაიზრდება. მათი რწმენა ისევე ურყევია, როგორც მისტიკური აღტკინება, თუმცა, მათთვის უცხოა ყოველგვარი ფანატიზმი — ძალმოსილი იდეის მიერ პიროვნების დამონება. ისინი შინაგანად თავისუფალნი, ფართო თვალსაწიერის, ჰუმანური, საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი, სხვების მიმართ კი გულმოწყალე ადამიანები არიან.

ვლ.სოლოვიოვის სახელთან არის დაკავშირებული ყოვლისერთიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლის ჩასახვა რუსეთში. ამ ფილოსოფიური სკოლის პრინციპებს ავითარებდნენ ვლ.სოლოვიოვის თანამოაზრენი, ისეთი ცნობილი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ: ს.ტრუბეცკოი, ევ.ტრუბეცკოი, ს.ფრანკი, ს.ბულგაკოვი, პ.ფლორენსკი, ლ.კარსავინი, ვ.ერნი, ალოსევი და სხვები. ვლ.სოლოვიოვის დიდი გავლენა განიცადეს ნ.ბერდიაევმა, ი.ილინმა, ნ.ლოსკიმ, ფ.სტეპუნმა.

ვლ.სოლოვიოვის ფილოსოფიურ ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა ფილოსოფიის ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც ჰეგელის გრანდიოზული ფილოსოფიური სისტემის კრახმა ევროპულ აზროვნებაში პესიმისტური განწყობა გაამეფა. ვლ.სოლოვიოვი ცდილობს ფილოსოფიურად დაძლიოს პესიმიზმი და ადამიანის შემოქმედებით მოღვაწეობას დასაყრდენი მოუნახოს გარკვეული კუთხით გადამუშავებულ ქრისტიანული რელიგიის პრინციპებში. ამ ამოცანის გადასაჭრელად, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, გაირკვეს, თუ რას წარმოადგენს ფილოსოფია, რა როლს ასრულებს ის ადამიანის ცხოვრებაში. ფილოსოფიას, როგორც ადამიანის არა უბრალო ცნობისმოყვარეობის პროდუქტს, არამედ, როგორც კაცობრიობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეს, ვლ.სოლოვიოვი უაღრესად დიდ როლს ანიჭებდა. ფილოსოფიის ეს მაღალი მისია ვლ.სოლოვიოვისთვის არსობრივად უკავშირდება ადამიანის მოწოდებას, მის ადგილს სამყაროში. ადამიანი ის ერთადერთი არსებაა, რომელიც ვერ ეგუება ვერავითარ შეზღუდულობას, ყოფიერების ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ საზღვრებს. მას არ აკმაყოფილებს არაფერი სასრული და წარმავალი, მისი მისწრაფება უსასრულობისკენ არის წარმართული. ადამიანი სულ მუდამ მიილტვის თავისუფლებისკენ და სწორედ ამის გამოხატულებაა ფილოსოფია. ეს ორმხრივი პროცესი, ერთდროულად დამანგრეველი და შემოქმედებითი, ქმნის ფილოსოფიის არსს, ამასთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის საკუთრივ არსსაც, იმას, რითაც განისაზღვრება ადამიანის ღირსება და უპირატესობა დანარჩენ ბუნებასთან შედარებით. ასე რომ, კითხვაზე: რას აკეთებს ფილოსოფია, ვლ.სოლოვიოვის პასუხი ასეთია: ის აქცევს ადამიანს ნამდვილ ადამიანად. დაუკმაყოფილებლობა პირობითი, წარმავალი ყოფიერებით მხოლოდ უპირობო, მარადიულ, აბსოლუტურ ყოფიერებასთან წილნაყარი არსების ხვედრია. და მართლაც, ადამიანის ადამიანურობა ფასდება იმით, თუ თავისი მოღვაწეობით რამდენად უწყობს ის ხელს ისეთი მიზნის განხორციელებას, რაც ღირებულია თავისთავად და ამიტომ ამჟღავნებს თავის ღირებულებას არა მხოლოდ პირადად მის მიმართ, არამედ, საზოგადოდ, ყველას მიმართ. სწორედ ამაში გამოიხატება ისეთი უმაღლესი ღირებულების უპირობო ხასიათი, როგორიც არის სიკეთე, ჭეშმარიტება და მშვენიერება. იმის კითხვა: რაზეა დაფუძნებული სიკეთის, ჭეშმარიტების და მშვენიერების აბსოლუტურობა, რას წარმოადგენს აბსოლუტური, როგორც ასეთი, როგორც სიკეთის, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ერთიანობის საფუძველი. აბსოლუტის ონტოლოგია ყოვლისერთიანობის ფილოსოფიის საფუძველთა საფუძველია. ვლ.სოლოვიოვის ფილოსოფიის სიღრმეში ვერ შევაღწევთ, თუ აბსოლუტის პრობლემა დაგვრჩა გაურკვეველი. დავძაბოთ ჩვენი ყურადღება და მივყვეთ ვლ.სოლოვიოვის მსჯელობას.

თუ რა იგულისხმება აბსოლუტში, ამას, ვლ.სოლოვიოვის აზრით, თვითონ ამ ლათინური სიტყვის (absolutum) მნიშვნელობა გვაუწყებს. ამ სიტყვით გამოიხატება აბსოლუტის ორგვარი დახასიათება, რომელთაგან თითოეული გულისხმობს და ავსებს მეორეს. პირველი დახასიათება უარყოფითია. მასში ნაჩვენებია, რომ აბსოლუტი არც ერთ თავის პოზიტიურ ნიშანს არ შეიძლება გაუტოლდეს. დახასიათების ეს ასპექტი გვეუბნება, რომ აბსოლუტი არის არარა. ამ კონტექსტში არარას კატეგორია შესაძლებელია ორი მნიშვნელობით იქნეს მოაზრებული. არარა შეიძლება გავიგოთ, როგორც ყოველგვარი კონკრეტული ყოფიერებისაგან აბსტრაჰირების შედეგი. ასე ესმოდა არარას კატეგორია ჰეგელს. ასეთ არარას ვლ.სოლოვიოვი უარყოფით არარას უწოდებს. მაგრამ, არარა შეიძლება იქნას გაგებული დადებითი მნიშვნელობითაც, როგორც ყოველგვარ ყოფიერებაზე ამაღლებული, და ამასთანავე, როგორც ყოფიერების მწარმოებელი და მომცველი. არარას ეს მნიშვნელობა ვლ.სოლოვიოვთან „დადებითი არარას" ტერმინით აღინიშნება. აბსოლუტის დახასიათების მეორე ასპექტი გამოხატავს იმ გარემოებას, რომ არაფერი არ შეიძლება აკლდეს აბსოლუტს, არაფერი არ შეიძლება მისგან დამოუკიდებლად იქნას მოაზრებული. მაშასადამე, ამ მიმართებაში აბსოლუტი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ყველაფერი. აქ ფილოსოფიის ენით გამოთქმული მონოთეიზმის ძირეული რელიგიური გამოცდილება — ღმერთი უსასრულოა, უსაზღვროა, გამოუთქმელი, მიუწვდომელი სიღრმეებაა და ამავე დროს, იგივე ღმერთი მრავალმხრივად გაცხადდება, ყველაფერი მისი მეშვეობით არის აღბეჭდილი, ისაა ყოველივეს შემომქმედი და გამაერთიანებელი. აბსოლუტის ზემოაღნიშნული დახასიათების დაკონკრეტების საფუძველზე თავისი რელიგიური ონტოლოგიის ფუძემდებელ პრინციპს ვლ.სოლოვიოვი განსაზღვრავს, როგორც ყოვლისერთიანს, როგორც შემადგენელ ნაწილთა სრულ თავისუფლებას მთლიან სრულყოფილ ერთიანობაში. ამ მაფუძნებელი პრინციპის მომარჯვებით ვლ.სოლოვიოვი ცდილობს ფილოსოფიური სინთეზის ამოცანა გადაჭრას.

მთელი კოსმიური და ისტორიული ყოფიერების საზრისი ვლ.სოლოვიოვის ფილოსოფიაში უკავშირდება თეოზისის პრობლემას, ადამიანისა და სამყაროს გაღმერთებას, ყოვლისერთიანობის საბოლოო დამკვიდრებას ყოფიერებაში. ეს რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. ის მოიცავს კოსმოგონიურ და ისტორიულ ეტაპებს. ყოვლისერთიანობის სამყაროში დამკვიდრების კოსმოგონიური ეტაპი ხასიათდება კოსმიური ყოფიერების თვითაქტივობის ინტენსივობის ზრდით, ბუნებაში ახალი ერთიანობის სულ უფრო სრულყოფილი ფორმების განხორციელებით. ეს ზეაღმავალი პროცესი იწყება კოსმოსის მექანიკური ერთიანობით, გაივლის დინამიური და ორგანული ერთიანობის საფეხურებს და სრულდება სამყაროში ადამიანის დამკვიდრებით. ადამიანის წარმოშობასთან ერთად ყოფიერების შემდგომი ინტეგრაცია რელიგიური გამოცხადების სრულყოფის პროცესს უკავშირდება.

კოსმიური ამოცანა ისტორიულ ამოცანად ცვლა: იწყება ბუნებისა და მისი განვითარების დაგვირგვინებული არსების — ისტორიული ადამიანის ამაღლების პროცესი. სამყაროს მოწესრიგება და ყოვლისერთიანობის განხორციელება სამყაროში გარედან, შიგნიდან, ცნობიერ და თვითცნობიერ განზომილებაში გადადის. წარმოებს ადამიანის და აბსოლუტის შინაგანი ერთიანობის აღდგენა და ამის საფუძველზე ბუნების განსულიერება-პერსონალიზაცია. ესაა ღმერთკაცობრიობის (ღვთაებრივი კაცობრიობის) დამკვიდრება სამყაროში. ეს პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, ვლ.სოლოვიოვის ფილოსოფიაში კაცობრიობის რელიგიურ განვითარებას უკავშირდება.

არჩილ ბაქრაძე

დასასრული შემდეგ ნომერში

10 აგვისტო, 1996 წ.

# დაკარგული სივრცის ძიებისას

პოლ ვირილიო

ნერილობით. ჩვენ პირველი თაობა ვართ, ვინც სინათლის აბსოლუტური სიჩქარე აამუშავა, მაშინ, როცა წინამავალი თაობები კომუნიკაციის საშუალებების, მატარებლების, თვითმფრინავების და ა.შ. ფარდობით სიჩქარეს ეყრდნობოდნენ. გადაადგილების საშუალებათა განვითარება განმსაზღვრელი ელემენტი იყო საწარმოო ძალთა განლაგებისთვის: რკინიგზებს, აეროპორტებს და სხვა დანარჩენს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ რეალური სივრცის მოწყობაში. რევოლუციის პროცესში, რომელმაც შეტყობინების მყისიერ გადაცემას მისცა დასაბამი, ხდება რეალური დროის ურბანიზაცია, ანუ უკვე დროის და არა სივრცის მოწყობის ორგანიზაცია. რაში მდგომარეობს რეალური დრო? მასში, რომ ელექტრომაგნიტური ტალღების აბსოლუტური სიჩქარის ამუშავება ქმნის სიახლოვეს დროში, რომელიც სივრცობრივ მიმდებარეობას არღვევს. ჩვენს დროში დაშორებული დომინირებს ახლომყოფზე, მეზობელზე; ახლომყოფი უფრო შორსაა ჩემგან, ვიდრე ის, ვისაც ვუკავშირდებით ტელეფონით, ფაქსით, ტელექსით... საფრანგეთში მატარებლის მგზავრები ახლა შორს გამგზავრებაში ფულებს იხდიან და უფრო ძვირი ახლოს წასვლა უჯდებათ. ეს კარგად ავსდება ახლანდელი მუტაციის ჩარჩოებში.

ე.ი. მხოლოდ რეალურ დროში აბსოლუტურ გამჭოლობას, და არის დაკავშირებული მისით გა მოკიც? წიგნში „ტერიტორიის ოობა" ვკითხულობთ: „გამჭოლო გან მყოფობა, ტოტალური და შემეცნება — ამის გარეშე ლია გადარჩენა". აქედანვე გამო ათ, ტოტალური შპიონაჟი. თქვენ ოლობას სივრცის ლიკვიდაციას ეთ?

— დიახ, რეალური დროის გამჭოლობა გულისხმობს, რომ სივრცე აღარ ის. ეს დრო, ვიმეორებ, განუყოფელია სინათლის სიჩქარესთან. ნიუტონის ეპოქაში დრო და სივრცე აბსოლუტური ო, აინშტაინის ეპოქაში აბსოლუტურა სიჩქარე, დრო და სივრცე კი ფარდობითია. ჩვენ პირველი თაობა ვართ, რომელმაც სინათლის სიჩქარე აამუშავა, თანაც, არა უბრალოდ იმისთვის, რომ დავინახოთ და გავიგონოთ, არამედ, რათა ვიმოქმედოთ ამ სიჩქარით ტელევიზიის და ა.შ. საშუალებით. დედამიწას არ გააჩნია საკმარისი სივრცე, რათა ამგვარი სიჩქარის პირობებში განფენილობა შეინარჩუნოს. კოსმოსისთვის 300 000 კილომეტრი წამში უმნიშვნელო სიჩქარეა, რადგან იგი უნაპიროა, მაგრამ დედამიწა სხვა საქმეა, უბრალოდ, სივრცე აღარ ბა. პირველი სიახლოვე მეტაბოლური იყო, ფიზიკური, ცოცხალი, ის, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს. მეორე იყო მექანიკური სიახლოვე (მატარებლები, ლიფტები, თვითმფრინავები), ელექტრომაგნიტური ტალღების ავებით ვიღებთ მიმდებარეობის მესამე ტიპს — მიმდებარეობა დისტანციის გარეშე. ეს არის ე.წ. „ტელემიმდებარეობა", რომელიც აბსოლუტურ ევადობას, გამჭოლობას გულისხმობს.

ერთი თვის წინ მე მონაწილეობას ვიღებდი ტელეკონფერენციაში პარიზსა და ტოკიოს შორის: კითხვები, რომელსაც მე ვსვამდი და მასზე პასუხის რეალურ დროში ხდებოდა, ად მე ასეთ რამეს პირველად წარი.

ჩვენ საქმე გვაქვს ორ ოპტიკასთან: ლია რეალური სივრცის ოპტიკა, ის ძალით, გეომეტრიული თანა ობებით; მეორე ეხაა დიადი ელექტრომაგნიტური ოპტიკა, რომელიც ლებას იძლევა, იყო რეალურ სხვა ადგილას და არა მხოლოდ და გესმოდეს მასში, არამედ გძნობდე შეხებითაც. ახლა რეკლამას უკეთებენ გასაბერ ხელთათმანს. იგი სითბურ და სხვა სიგნალებს, ბიც ტელეშეგრძნების საშუალებას იძლევა (მაგალითად, ხელზე მოეფერო ქალს, რომელიც ათასი კილომეტრით ა დაცილებული).

— ეს მე პოლოგრაფიულ ფოტოგრაფიას მაგონებს.

— დიახ, მხოლოდ ტელეტაქტილობისთვის. რეალური დრო გულისხმობს რეალური სივრცის განადგურებას, ულ გამჭოლობას, შეღწევადობას, სივრცე თითქოს რჩება, მაგრამ არ ბს.

— თქვენი წიგნის, „კინო და ომი" ობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში თქვენ ხელოვნებას სრულიად მოულოდნელი თვალსაზრისით განიხილავთ: კერძოდ, უპირატესობას ანიჭებთ ომის კინოქრონიკებს და მტრის ტერიტორიის სტრატეგიულ გადაღებას ორი მსოფლიო ომის მანძილზე ე.წ. მხატვრულ კინემატოგრაფთან შედარებით. მე მგონი, ასეთ მიდგომას დიდი პერსპექტივები აქვს.

— **ასეთ მიდგომას უკავშირდება ჩემი ახალი წიგნიც, რომელიც რეალური დროის პერსპექტივებს შეეხება.**

— როგორია თქვენი ზოგადი ხედვა თანამედროვე ხელოვნებაში შექმნილი სიტუაციისა?

— **თანამედროვე ხელოვნებაში მე, უპირველეს ყოვლისა, ორი რამე მაინტერესებს: ვიდეოინსტალაცია და ცეკვა.**

— ცეკვა? ცეკვის რომელი სახე.

— **მე ვიტყოდი, ექსპერიმენტალური. მგონია, რომ ახლა ადგილი აქვს სხეულთან დაბრუნებას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა ცეკვაში ჩანს, თუმცა, ასევეა ხელოვნების სხვა დარგებშიც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმაჩნია, რომ სხეული, გარკვეული აზრით, კვლავ ხელოვნების ცენტრში ექცევა.**

— რომელი სხეული გაქვთ მხედველობაში

— **ადამიანის. ადამიანის საკუთარი სხეული, რაც დემატერიალიზაციაზე და ინდივიდუალიზმზე პასუხის გაცემას წარმოადგენს. იგრძნობა სოციალური სხეულის დანაკლისი, „ჩვენ" ადგილს უთმობს „მე"-ს, ხოლო დასავლეთის ქვეყნებში — აღმოსავლეთში არ ვიცი — ეს დანაკლისი ისე საგრძნობი გახდა, რომ სხეულის დაბრუნების, მისი კვლავ მოპოვების სურვილი გიჩნდება. ეს შეიძლება ტანვარჯიშის, ბოდიბილდინგის ან ბულიმიის საშუალებით განხორციელდეს.**

— სხეული წინააღმდეგობას უწევს რეალური დროის ექსპანსიას, წარმოადგენს პროტესტის მარგინალურ ფორმას, იმიტომ, რომ რეალურმა დრომ, შესაძლოა სრულიად შთანთქას ნებისმიერი სხეულებრივი არსებობა. ასე არაა?

— **სრული სიმართლეა: იმატერიალიზაციის რისკის გამო, ელექტრომაგნიტური ტალღების ზეწოლით — რომლებიც ახლა დომინირებენ როგორც აბსოლუტური სიჩქარის მატარებლები — ჩნდება წონის მოპოვების ნება და სიმსუქნისადმი მიდრეკილება. ეს უკავშირდება ძალისხმევას, რომელიც ხშირ შემთხვევაში გაუცნობიერებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი წინააღმდეგობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩემი აზრით, სხეული კვლავ ესთეტიკის ცენტრში ექცევა, როგორც ეს პრეისტორიულ ხანაში იყო; თავდაპირველად ხელოვნება ხომ ქალის სხეულთან, ნაკვალევთან და ა.შ. იყო დაკავშირებული.**

— ანუ ადგილი აქვს სათავეებთან დაბრუნებას?

— **სხეულებრიობის სათავეებთან დაბრუნება, არა პრეისტორიული, არამედ უფრო პოსტისტორიული თვალსაზრისით. სხეული, როგორც მატერიალური სიმტკიცე, პირველ პლანზე იწევს.**

— ფუკომ აქცენტი გააკეთა XVIII-XIX საუკუნეების ევროპაში ე.წ. „დისციპლინარული სივრცეების" აგებაზე, რომელშიც მშრომელის სხეულს ათავსებდნენ, სადაც იგი ინვრთნებოდა. ამჟამად ჩვენ, ალბათ, აქცენტების გადაადგილების მოწმენი ვხდებით: გამოსახულებები თავის თავში ითრევენ ათვისებული დისციპლინების მნიშვნელოვან ნაწილს. სხეული ამ შემთხვევაში აუცილებელია როგორც დამაკავშირებელი რგოლი რეალური სივრცის გაქრობასა და რეალური დროის — თქვენი გაგებით — გამარჯვებას შორის.



— **მე ამას პლანეტარული სხეული ვუწოდე. სწორედ რეალური სივრცის ტერიტორიალური განფენილობის დასასრული, საყოველთაო ურთიერთკავშირი რეალურ დროში მოითხოვს, რომ პლანეტა სადღაც იყოს. აქედანაა პლანეტად ქცევის, ადამიანის სხეულის ეკოცენტრულად გადაქცევის სურვილი. ტრადიციულ ეკოცენტრიზმში მე ცენტრირებული ვარ სამყაროს ცენტრთან მიმართებაში, სიმძიმის ძალის გამო ჩემი ტერიტორიალური და ცხოველური სხეული სინქრონიზებულია. ეს გვხვდება ნომადულ, სამიწათმოქმედო საზოგადოებებში, რომლებიც დედამიწასთან ურთიერთობაზე არიან დამოკიდებულნი. მაგრამ დეტერიტორიალიზაციის, დელოკალიზაციის ტექნიკების გაჩენასთან და მასთან დაკავშირებულ საკუთარი სხეულის დაკარგვასთან ერთად, იგი (საკუთარი სხეული), სამყაროს თანაბარი, ახლიდან უნდა გამოვიგონოთ. ხდება საკუთარი სხეულის სამყაროდ ჩამოყალიბება, რასაც, ჩემი აზრით, განმარტავს ბოდიბილდინგის პრაქტიკები, გასუქებისკენ ტენდენცია. ცეკვით დაინტერესების უკან საკუთარი სხეულის შეგრძნებისკენ სწრაფვა იმალება, სწრაფვა, ვიყოთ არა უბრალოდ ძლიერი, მსუქანი, ვიარსებოთ — გომბეშოსავით, რომელმაც მოინდომა ხარისხელა გამხდარიყო — არამედ შევიგრძნოთ სხეული მოძრაობაში, რადგან სხეული მხოლოდ მოძრაობაში არსებობს. მიმდინარეობს ბრძოლა ინერციის წინააღმდეგ: ტელეტექნოლოგიების დიდი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ სხეული აღარ საჭიროებს მოძრაობას, აღარაა ნომადური, ხდება ინერტული. ცეკვაში და ბოდიბილდინგში სხვადასხვანაირად ვლინდება სწრაფვა შეიგრძნო სხეული სამყაროს დაკარგვის შემდეგ.**

— მაგრამ, ბოდიბილდინგში სხეული ისე საკმარისად მამინიზირებულია, მასიურია. მე თქვენს მიმართ კიდევ ერთი კითხვა მაქვს. „ტოტალურ ომში" თქვენ იწინასწარმეტყველეთ, რომ ღერძი აღმოსავლეთი-დასავლეთი ადგილს დაუთმობს უფრო ფუნდამენტურ ღერძს ჩრდილოეთ-სამხრეთს. მე მგონი, ეს წინასწარმეტყველება კომუნისტური რეჟიმების დაცემასთან ერთად ახდა.

— **მთლიანად ახდა. ქალაქებშიც კი დომინირებს ღერძი ჩრდილოეთი-სამხრეთი, აქ, ჩვენთან, საკუთარი „მესამე სამყარო" გაჩნდა. ოდესღაც „მესამე სამყარო" შორს იყო, სადღაც აფრიკაში, ახლა იგი ქალაქშია, ამით აიხსნება რასიზმი, შეხლა-შემოხლა ქალაქსა და გარეუბნებს შორის პარიზში, მარსელში და სხვა დიდ ქალაქებში. წინასწარმეტყველება დადასტურდა: ომი სპარსეთის ყურეში იყო პირველი ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.**

**საბჭოთა იმპერიის გათქვეფა გარკვეული დროის შემდეგ — ზუსტად ვერ გეტყვით, 10-20 წელი — გამოიწვევს ანალოგიურ გათქვეფას დასავლეთში. მისი ბუნება, მართალია, სხვა იქნება, მაგრამ საბჭოთა კავშირის იმპლოზიას აუცილებლად მოჰყვება იმპლოზია დასავლეთში. ჩვენ ვიმყოფებით ასეთი გათქვეფის, პოლიტიკური ცხოვრების წინამორბედ ეტაპებთან დაბრუნების საშიშროების ქვეშ. ცენტრში, შესაძლოა, კვლავ პოლისი აღმოჩნდეს. ახლა დასავლეთში ყველა გზას ქალაქ-სახელმწიფოსკენ მივყავართ, ურბანისტულ ფეოდალიზმთან. ჩვენ ევროპელთა პირველი თაობა ვართ, რომელიც ოპოზიცია ქალაქი-სოფლის გაუქმების მომსწრე ხდება. იწყება სოფლიდან გამოსვლა, დრამატული ფენომენი, რომელიც უკვე დიდი ხანია არსებობს მესამე სამყაროს ქვეყნებში, მაგრამ ახალია ჩვენში. ცარიელდება ფრანგული სოფელი, მიწას აღარავინ ამუშავებს. გარკვეულწილად ეს ბირთვული შეკავების ეპოქის პროდუქტია, რომელმაც ორმოცი წლის მანძილზე სისხლისგან დაცალა ევროპა. ამაში მე დასავლეთში რღვევის პირველ ნიშნებს ვხედავ, ანალოგიურს იმისა, რაც აღმოსავლეთ ევროპაში მოხდა.**

— ჯერჯერობით არ ჩანს იდეები, ამ ახალი ეპოქის ღირსი რომ იყოს. აღმოსავლეთში ექსპორტირებული ლიბერალიზმი სუსტ ღირებულებას წარმოადგენს, რომლისაც თავად ექსპორტიორებსაც არ სწამთ...

— **ხვალინდელი სამყარო, მსოფლიო ქალაქი, ცივილიზაცია — ყველაფერი ამის დაფუძნება არ შეიძლება ბაზარზე. ბაზარში არანაირი მსოფლმხედველობა არაა, ბაზარი ბაზარია და მეტი არაფერი.**

— მაგრამ ამჟამად მას ქადაგებენ, როგორც მსოფლმხედველობას.

— **ეს სარეკლამო აურზაურია, საქონლის კომერციალიზაცია... პოლიტიკური ფილოსოფიის დაისი მხოლოდ ირეკლავს ზოგადად ფილოსოფიის დაისს. ტექნოლოგიების განვითარებამ, ტოტალურმა ომმა ხელი შეუწყო ინტელექტის ისეთ სისტემებზე გადატანას, რომელნიც, ბოლოს და ბოლოს, ავტონომიზდნენ და დაუსხლტნენ პოლიტიკურ და სამეცნიერო ძალაუფლებას. აქედან, ფილოსოფიური აზროვნების გადასვლა მეცნიერულში, რომელიც, თავის მხრივ წმინდა სისტემად ... ავტომატად იქცა. მოხდა აზრის ავტომატიზაცია, რომლის სიმბოლოდაც კომპიუტერი წარმოგვიდგება. კომპიუტერის მკვდარი და ცოცხალი მეხსიერება — ფილოსოფიის აღსასრულის ძეგლია. ცნობილია, რომ ამჟამად გადაწყვეტილებების ძირითად ნაწილს სტატისტიკურად იღებენ, მანქანური ხერხით, მაშინ, როცა წარსულის სახელმწიფო მოღვაწეები ინტუიციით ხელმძღვანელობდნენ, რომელთა შედარებაც მხოლოდ ფილოსოფოსებისა და მუსიკოსების შთაგონებასთან შეიძლება. ჩვენს დროში პოლიტიკურ პრაქტიკაში ადამიანურ გენიას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მე მინდა მოვიყვანო ჩერჩილის ფრაზა, განსაცვიფრებელი, თავისი სიღრმით: „ადრე ომში ეპიზოდები მეტს ნიშნავდა, ვიდრე ტენდენციები, ბრძოლის მოგებით ომს იგებდნენ. ახლა ეპიზოდები არაფერს ნიშნავს, მნიშვნელობა ტენდენციებს აქვს: შეიძლება მოიგო მრავალი ბრძოლა, მაგრამ წააგო ომი". დომინირებენ მასობრივი, სტატისტიკური ფენომენები. ანდრე მალრომ მშვენიერად თქვა: „არის ფილოსოფია, რომელიც ძალით მარქსიზმს აღემატება: ესაა სტატისტიკური ფილოსოფია".**

— უკვე ნაპოლეონის ომები ჩაიხრჩო ორგან, რუსეთში და ესპანეთში. ნაპოლეონი ომს კლასიკურად იაზრებდა, იგი თვლიდა, რომ ყველაფერს ბრძოლები წყვეტდნენ...

— **... და მან გაიმარჯვა ყველა ბრძოლაში, მაგრამ წააგო ომი. ახლა კი ჩვენ მთელ მსოფლიოს ვაგებთ: ტექნიკა იგებს ყველა ბატალიას, მაგრამ აგებს სამყაროს... და ჩვენც მათ შორის. აქედან კოშმარული სოციალური და პოლიტიკური გახრწნა, რომელიც ყოველგვარ ძალაუფლებას ემუქრება როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთშიც.**

პუბლიკაცია მოამზადა
მალხაზ ხარბედიამ

# ბათუ დანელია

## ივლისი

ვიცი, ყელს მალე მივიტან შენს ყულფ მკლავებთან,
მაგრამ არ ვიცი, აქამდე რა მაკავებდა... —
უნდა ავდიდდე წყალივით, უნდა რამეფრად
ავწყვიტო ჯაჭვი, რომელიც მბორგავ სხეულში
ძარღვივითაა გაბმული და ჩემ რჩეულ ჟინს
რკინის პალოზე ამაგრებს, — მე ეს წამება
ღმერთს დამავიწყებს, თუკი შენ ხელს არ შეუშლი.

ივლისი არის ვარვარა ლტოლვის სამიზნე...
ვარვარებს სულიც სხეულში, როგორც უვავილზე
ნამის კოკონი. და ჩემკენ მოდის ნავისებრ
ნატვრა და ალებს გზადაგზა თავის ფართე პირს,
ამიტომ უნდა ავსწიო ლტოლვის ფარდები
ივლისის ცეცხლის თეატრში და გადავიქცე
სცენად, რომელზეც უთუოდ შეგიყვარდები...



## სიყვარულის თებერვალი

მზემ თებერვალი ყულზემოთ — კი დაამგვანა
გაზაფხულს, მაგრამ ცარიელ, უხმარ ლანგარად
უჭირავს ბალი... — ცა არის ისე ანკარა,
რომ ახლა, ალბათ, იზომებ კაბას ძალიან
გულამოღებულს, რომელიც გიშრის ხალიან
მხარს გამოგიჩენს. და ელავ, როგორც ლამპარი.
არ შეგაცდინოს ამინდმა!.. — თებერვალია!..

სულწასულ მიწას მზე მარტის წერილს უშლურავს.
და როს მინდვრები მაისის წითელ ტუშისგან
დაიწინწკლება — წამოვალ შენკენ უშიშრად...
ხოლო მანამდე პირველი კვირა აპრილის —
გადამიწვება მკლავებზე, ფეთქვით დაღლილი...
და ანთებული კვირტებით ტოტი ნუშისა —
გზას გამინათებს შენამდე კანდელაბრივით...

## სამოთხის მაძიებელი ჩონჩხი

გაიპო მიწა და ჩონჩხმა თავი ამოყო,
მიმოიხედა გარშემო (ამის გამო ხომ
არ ვიყვირებდი), მიცქერდა თითქოს გამოღმა.
ისე შევშინდი, რომ შიში ჩვავდა პანშვიდს.
მას ხმა უგავდა განმცხრომელს ნალდი ანაშით:
თუ ეს არისო ედემის ბაღი, სამოთხე,
მაშინ რაღა კრთიო, სად ხარო, რა ქვეყანაში?!

რა უნდა მეთქვა ჩონჩხისთვის! — არა. ედემის
ბაღი არ არის ეს-მეთქი, ყოფნის ღვედებით
ვართ აქ დაბმული და უკვე ველარ ვეტევით...
წადი შენიო, თქვა ჩონჩხმა. მან იდიოტად
ჩამთვალა, ალბათ, და ტუსაღ ქართა, სიოთა
ხმას გამოსცემდა ოხვრისგან, თავგამეტებით
ორად გაპობილ მიწაში რომ ჩადიოდა...



## შიშველი ქალები პლაჟზე

არვინ გიკრძალავთ, გაკლიათ ნება ზევხისლა...
შიშვლები ისე დადიხართ, თითქოს ფრთებს იხხამთ.
წყალში ნუ შეხვალთ შიშვლები, მამრი თევზისგან
არ დაორსულდეთ (ახლაა სწორედ ტოფობა)!..
თორემ რა მოხდა! — ოფოფი ჩანდეს ოფოფად...
და ზურგის ქვემოთ ატარებთ ორი კვერცხის გარსს,
მუცლის ქვემოთ კი — სუყველას გაზით ობობა...

გიხდებათ შიშვლებს, რომ მზისგან ხართ შებრაწული.
კარგია, რომ არ გრცხვენიათ! მე თქვენ გარწმუნებთ,
რომ შიშვლებს უფრო გეცვიათ, ვიდრე ჩაცმულებს... —
კისკისა მინი კაბაში ჩვავხართ ტიკინებს...
ის თუ გიფარავთ რამეს, მხოლოდ ბიკინებს...
რა საშინელი რამ იყო ქალთა წარსული:
თავსაფარების, კაბების ტყე მობიბინე!..

## დავქორწინდები ვარსკვლავთან

დაქორწინებას ვაპირებ ერთ შორ ვარსკვლავთან!
უნდა გავშორდე ცბიერი ხალხის მასკარადს,
რომ არ გადვიქცე მაგათი ცირკის მასხარად...
ვარსკვლავი იგი მარტოკა ჩემთვის ციალებს... —
ჩამოვიშორებ უთვალავ მის მოტრფიალებს...
მან სიყვარული სრულიად ბავშვს შემასწავლა
და დღემდე ფიქრში მასთან ვარ მოხეტიალე.

მისი შემყურე, წყალში ვყრი ლალებს, ტოპაზებს.
მის წელს მკლავები ბეჭედში როდის მოვაქცევ?!
უკვე ვპატიჟებ ქორწილში სულით მოყვასებს...
ჩამოცვენამდე ვპატიჟებ ფოთლებს მაყრებად, —
არ მინდა ქარებს დასცალდეთ მათი აკრეფა...
დავქორწინდები ვარსკვლავთან შემოდგომაზე,
იქამდი ჩემი სიცოცხლე თუ არ ჩაქრება!

## გოგო, რომელსაც მალე აკოცებენ

ყოველდღე უფრო ყვავილობ და იფურჩქნები
და უფრო ხვდები, რომ შენი მწიფე ტუჩები
წარმოადგენენ რაღაცის გამაყუჩებელ
წამალს და სწორედ ამიტომ პირველ კოცნისთვის
უკვე რამდენი ხანია, რაც ხარ მოცლილი...
და ელი იმას, ვინც შენთან ცის სილურჯემდე
იფრენს კოცნაში, ალერსის ანგელოზივით...

სხვებიც გივლიან გარშემო, რომ შენს მაგნიტურ
ველში შევიდნენ, და მზერით ლამის დაკვნიტონ
შენი სხეული, შენ წვალობ სწორედ მაგიტომ...
უკვე გაურთულებს სიშიშვლეც მაღალ ბოძების
და სიზმრად ხედავ სანუკვარ კოცნის მბოძებელს
და ყოველ დილით მოდიხარ სიზმრის ბაღიდან,
დარწმუნებული, რომ მალე შენც გაკოცებენ...



## მომღერალ ქალს

თუ რამე არჩენს სამყაროს სულიერ ტკივილს,
უპრეცედენტოდ სიმღერა, რაც ხმათა მძივის
აცმაა მხოლოდ თითქოსდა, არადა ღვთის
გულიდან ყელის თონემდე. და შლეგს და სალოსს
სულ აპოვნინებს სიმღერა სიმშვიდის კალოს...
და გაყინული გულების გალღობაც სხივით
მხოლოდ და მხოლოდ სიმღერის სინათლეს ძალუძს.

შენი სიმღერა შენსავე გრძელ მკლავებს მახვევს
გრძნობებზე, სულზე, მხრებზედაც, ვითარცა ბალებს
ეხვევა ჟამი მწიფობისა... და შენი სახე
მზეა ტკბილ სიზმრის მნახველი. და შენი ყელი
არის საამო ბგერების საბადო მთელი...
და მეჩვენება, რომ, როგორც მზის ჩასვლას ჭალი,
ტელევიზორის ეკრანში ჩემ შესვლას ელი...

## სიკვდილის რეპეტიცია

შეხედე ფოთლებს, ჭაერში უხვად გაჰენტილს! —
ო, როგორ ჰგვანან სიკვდილის მსტოვრებს, აგენტებს!
როგორ ჩამოჰკენენ ბეჩავნი, როგორ დაბერდნენ!
მაინც ვიხსენებ შენს თითებს და ყელს მძივიანს,
თითქოს ისინი ყინულზე უფრო ცივი არ
დამიკოცნია!.. და ხსოვნა იმ სიმძაფრემდე
ადის, რომ თითქოს ფოთლებიც მისგან ცვივიან...

აქ აზრი არ აქვს სილაღეს, არცა მოწყენას,
რადგან ორთავე ისეთი რამის მოწმეა,
რაც მოწყენილებს და ლაღებს აქცევს ბორცვებად
და რაც მარადი სიმწვანით ჭაბნის წიწვიან
ტყეებს, სიყვითლე რა არი, რომ არ იციან...
ჩვენ სიკვდილს ვხვდებით ყოველდღე. ეს ფოთოლცვენაც
არის სულდგმულთა სიკვდილის რეპეტიცია...

## არარსებულ სიტყვებისადმი

გურამ დოჩანაშვილს

სიტყვა „მიფრენენ" ვერ ავლენს ჩვენგან ჩიტების
წასვლას... ის სიტყვა ვერ ვპოვე ვერასდიდებით.
სადა ხარ, სიტყვავ, სიკვდილის წინ რომ მჭირდები!
სადაა სიტყვა მაღალი, სიტყვა, რომლითაც
გამოვავლენდი მწვერვალთა გასვლას თოვლიდან!
სადაა სიტყვა, რომელიც მთად აზვირთებულ
დღეთა გაუვალ ულრანშიც გზას იპოვიდა?!

არარსებულო სიტყვებო, მე თქვენს ქანდარად
გამოვდგებოდი!.. უთქვენოდ ავად გავმხდარვარ
და თქვენი თეთრი ლანდები თავზე მადგანან...
და როცა გეძებთ მე, როგორც ჩიტი საბუდარს,
მაშინ არ ვგავარ არავის, მაშინ საკუთარ
თავსაც არ ვგავარ! და ვტირი, ვტირი, რადგანაც
აქ არ არსებობთ! — მე ღმერთმა აქ დამაყუდა...



## როცა მიდიან

კვდებოდა კაცი. ხსნას უკვე აღარ ელოდა,
აღარ ხედავდა არავის, თუმც სარეცელთან
იდგა ცოლ-შვილი. შინ — ჭერზე, გარეთ ხეზედაც
ჩანდა სიკვდილის აჩრდილი! და ცაშიც სხვა ცის
იკვეთებოდა ბილიკი... და ნაწილ-ნაწილ
ძირს ეშვებოდა... ვერ შეძლო შვლდა ვერცერთმა
ქირისუფალმა! და ცისკენ წავიდა კაცი.

და მისი წასვლა დაიტყვეს მისმა ნივთებმა:
კაცი რომ კვდება, ნივთებიც მისი — ცივდება...
და რამდენადაც ფასობდა კაცი, იმდენად
ბნელდება ქვეყნად, ვინ იცის, გოჯი რამდენი! —
ჩვენი ხელები, თვალები, სახე, ნაკვთები
როცა მიდიან, ადგილი მათი ბინდებმა
უნდა შეცვალონ — ჩვენ ყოფნას შუქად ვაკლდებით.

## ომი

არაფერია საზარი იმაზე უფრო,
რომ მიდის ერთი ქვეყნიდან მდულარე კუპრი
მეორისაკენ... და ყველგან ყოველი სუფრა
ჭირის სუფრაა... და ცვდება გვამების მარხვით
ბარი, ნიჩაბი... და ჩნდება ცრემლების არხი...
რა არის ომი? — სისხლი ქვეყნის ჭუპრად
და ყოფნის ზღვაში თამაში არყოფნის ვარხვის...

იმ რომაელებს რა დარჩათ, ანდა იმ ბერძნებს,
ანდა მონღოლებს? — არარა! და მაინც ვერ ვძლებთ
უომრად! კაცის გონება ყოფილა ბერწი,
რადგანაც დღემდე ვერ ხვდება, რა ხდება ირგვლივ,
მოკვდავის მოკვლით მოელის მოკვდავი გვირგვინს,
როცა სიმშვიდე სწადია კედლებსაც, ცერცვსაც
და გახარებას ოცნებობს უბრალო ჩირგვიც...

## თვითმკვლელის სული...

მე გულმოსულმა გავიძრე სამოსი ხორცი
და მას ნიჩბებმა დაადგეს გვირგვინი ბორცვის.
ახლა მივფრინავ, მიველტვი ზეციურ ქორწილს...
ზემოდან მოჩანს ქვეყანა, ქალაქი, სადაც
მეცვა სხეული და მქონდა სიამის მადა,
ვიდრე ცხოვრება ტანჯვისგან გადიქცა ლორწოდ,
ვიდრე სხეული არ განდა მატლების ქადა...

და, აი, ცაში მივფრინავ სრულიად მარტო!..
ხომ უნდა იყოს ცა უფრო მწარე და ფართო!
სადღა არიან სულები?! — არავინ მართობს... —
რატომ არ შემხვდნენ ისინი ნუგეშის გუნდად!
ღმერთისკენ ობლად როდემდე ვიფრინო უნდა!..
ვაი, თუ უკან მაბრუნებს... და ხორცის კვართის
კვლავ მელის ჩაცმა, კვლავ მიცდის ცხოვრება ხუნდი...



## რეზო ქეიშვილი

...ოთა რუსთაველს დედა არ ჰყავსო ნახ-
...ხენები „ვეფხისტყაოსანში"; ნახსენე-
...ო. შეიძლება თავი გამოიდოს მავანმა
...მართალიც აღმოჩნდება. ერთი იტყვის
...არაო, მეორე — კიო და საჭოჭმანო
...ლევის მოგებაც შეიძლება, წაგებაცა.
„...ქალმან დედასა შესტირნა, აჰა,
რა ქქმნა, დედაო,
წითელ-ყვითლითა დაგაგდე, აწ
...ოსანსა გხედავო..."

...ყოფილა, როგორც ხედავთ!

...თავისა და სტროფის ნომრის მითითე-
...გარეშე გეტყვით, რომ ციტატა მოტა-
...ო. ეგრეთ წოდებული, ინდო-ხატაე-
...ა ეპიზოდიდან, რომელიც „ვეფხისტ-
...ანის" ბეჭდურად პირველგამომცე-
...მა ვახტანგ მეექვსემ ჩანართად, დამა-
...დ მიიჩნია. კარგა ხნის შემდეგ კონს-
...ტინე ჭიჭინაძემ თავის 1934 წლის გა-
...ცემაში აღადგინა ზემოთნახსენები „ამ-
..." და ციტირებული სტროფი, რო-
...ც კანონიკური. წარმოგიდგენთ
...როფს მთლიანად:

„ქალმან დედასა შესტირნა: „აჰა,
რა ქქმნა, დედაო!
წითელ-ყვითლითა დაგაგდე, აწ
...ოსანსა გხედავო,
...მამან ტახტი დასცალა, ვაი,
...რ ზის ზედაო!.."
დედამან ცრემლნი მოსწურნა: „ნუ
...რ, დადუმდი, ბედ-ავო!"

კონსტანტინე ჭიჭინაძემ ინდო-ხატაე-
... ეპიზოდის, თავისთავად ცხადია, ამ
...როფის ავტორისეულობაც დაამტკიცა
...ხებურად (დამაჯერებლადო — ვერ
...ვით) და იგი უცვლელად შევიდა შე-
...მდროინდელ (1937-57 წ.) პირველ
...ბილეო გამოცემებში, ამოღებული
...მეორე საიუბილეო (1966 წ.) გამო-
...დან და აღადგინეს 1988 წელს.

„ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექს-
...ამდგენმა კომისიამ, როგორც ჩანს, აღ-
...ელ ვარაუდს დაუჭირა მხარი, ინდო-ხა-
...თა ამბავი მიიჩნია ჩანართად, გვარიანი
...ცვლებით: კომპილატორის ხელწერაა
...ლი ავტორისეულშიო და სტროფი,
...ხელნაწერთა შეჯერებით, ამნაირად
...ირა:

„ქალმან დედასა შესტირნა: „ჰაჲ,
...ალა ქქმნა, დედაო!
...მესამოსლითა დაგაგდე, აწ შაოსან-
...ედაო,
...მამან ტახტი დასცალა, აღარ ზის
...ა ზედაო!"
...დედამან ცრემლნი მოჰხოცნა, ეტყ-
...დადუმდი, ბედაო!"

...ვაქციოთ ჯერ პირველ ორ სტრიქონს
...აც და ქვევითაც) ყურადღება: წი-
...ყვითლით შემოსილი დაგტოვე და „აწ
...სა გხედავო", წერია პირველში. სიხა-
... მწუხარებით არის შებრუნებული,
...ყვითელი შეუცვლია შავს! მზისა და
... ფერები დაუბურავს სიბნელეს. ბევ-
...ვა და იტყვიან კიდევ რუსთაველის
...მეტყველების სიღიადეზე; ადამიანე-
...ერებში ალიქვამს პოეტი, გმირთა პო-
...ებსაც ფერებით წარმოაჩენს ხოლმე.

**...მესამოსლითა** (ჩასწორებუ-
...რიანტი) დაგაგდე, აწ შაოსანსა
...ო."

**...მესამოსელი**, ხაბას თუ დავუჯე-
... „**სამღვდელო სამოსე-**
... სამკაულსაც ნიშნავს ძველქართუ-
...გრამ თავი, რომელიც „ინდო-ხატა-
... ეპიზოდადაა ცნობილი, გვიანდელია
...ამოსელი", ამ შემთხვევაში დავანე-
...ამღვდელოს" თავი, ნიშნავს სამო-
... მოსასხამს. ესე იგი, რა გამოვიდა
...ვარიანტით): სამოსით, ტანსაცმლით
... და ახლა შავებში გხედავ. ფერთა
... ხომ დაიკარგა, აზრიც წახდა და
... არაფერს ვამბობ სხვა ნიუანსე-
ბზე: („ცრემლნი მოსწურნა" „ცრემლნი მოჰხოცნა"-თია შეცვლილი) სათქმელის გაბუნდოვანებაზე, შინაარსის გაღარიბებაზე.

ვთქვათ, კომისიას ხელნაწერთა შეჯერება აძლევს ამ ჩასწორების უფლებას, მაგრამ ლექსი ხომ რუსთაველს არ ეკუთვნის, კომისია „ინტერპოლატორის" არსებობას (ეს ჭეშმარიტება მათი მოპოვებული არაა) თავადვე აღიარებს თუ ადასტურებს. თუ ეს ასეა, ნუთუ არ შეიძლებოდა, ჩამატებულ ეპიზოდში, დავუშვათ, რუსთაველის სტრიქონებში ხელნაფათურებიდან უკეთესის არჩევა?! „ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუ-



# დედა
## (ლირიული ინტერმეცო)

სთველისა დამისა", „მე რუსთველისად ამისა". ეგ მაინც გაგვხსენებოდა. ვინც რუსთველურად თქვა, იმისას ხომ უნდა ეჯობნა? იქნებ ვცდები, მაგრამ თუ კომპეტენტურ კომისიას თავისი სტროფი ხელიხელ საგოგმანები ჰგონია, მაშინ მე მთელ მათ კვლევა-ძიებაში და გემოვნებაში მეპარება ეჭვი.

* * *

საოპერო თეატრის სამეფო ლოჟაში ერთ წარმოდგენაზე. ოპერის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, მდაბიური შესახედაობის ქალი და კაცი შემოიყვანეს და დასხეს. არისტოკრატიამ შიაქცია ამ სცენას ყურადღება და გაოცება ვერ დამალა. სტუმრები არც ჩაცმულობით, არც იერსახით იმ ლოჟაში, არა მარტო იქ ყოფნის პატივს არ იმსახურებდნენ. რა უნდოდათ დიასახლისს და „მეჯლანეს" ლოჟაში? შეიქმნა ჩურჩული, შრიალი, ბოლოს — ხმაური. ოპერის ადმინისტრაციამ სპექტაკლი შეაჩერა. ავანსცენაზე დირექტორატის წარმომადგენელი გამოვიდა და განაცხადა: ლოჟაში ბენიამინო ჯილის მშობლები სხედანო. წამოიშალნენ ფეხზე დგომით და ტაშით მიაგეს პატივი დაბნეულ და შეცბუნებულ მშობლებს — მამას, ბატონ ჯილის — მეწაღეს და დედას — გენიალური მომღერლის მშობელს.

* * *

რომელ საკონცერტო დარბაზში მოხდა, არ ვიცი, ვერც დირიჟორის სახელსა და გვარს დაგისახელებთ, ახალსაც ვერაფერს მოგითხრობთ:

სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე ერთ-ერთი სიმფონიის აპოფეოზზე ბავშვი შეშინდა და ატირდა. მსმენელი შეიშმუშნა, დედა შეწუხდა, ბავშვი აიტატა და გარეთ გაყვანა დაუპირა.

ატატებული ბავშვით მიიკვლევდა გზას მაყურებელთა მუხლებწინ, გასასვლელისაკენ მიიწევდა დედა ცრემლად დაღვრილი ბიჭუნათი. დირიჟორმა ორკესტრი გააჩერა:

„**ბავშვი ტირის, შეჩერდეს მუსიკა!**

რომელი მუსიკა გადაფარავს ბავშვის ტირილს!"

დედა შედგა. ბიჭუნამაც შეწყვიტა ტირილი.

დგას დედა სკამებში, გაოცებული თვალებით, ატატებული ბავშვით. ჩადუმებულია ორკესტრი. უპეებზე და ლოყებზე ცრემლშემშრალი, დედის მკერდს აწეპებული ბიჭუნა ცისფერი თვალებით, წითელი ლოყებით ჩანს ხორბლისფერი მკერდისა და ჩალისფერი თმის ფონზე.

* * *

რომელიღაც მუსიკალური სკოლის თუ სასახლის წრის ცხრა-ათი წლის მოსწავლეებს, გოგონებსა და ბიჭუნებს, „მთვარის სონატა" მოასმენინეს. აღმზრდელმა — პედაგოგმა ქალმა მომავალი მელომანების მუსიკალური გემოვნების შემოწმება, უფრო სწორი იქნება, გადამოწმება დაიწყო.

— ბავშვებო, რას გრძნობდით, რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა ბეთჰოვენის „მთვარის სონატას" უსმენდით, აბა მიპასუხეთ!

ერთმა თქვა, მთვარით განათებული ვერსალ-სასახლის ბაღი მომეჩვენაო, მეორემაც იგივე გაიმეორა. მესამემაც ბაღი და მთვარე ახსენა. მდინარის თუ ტბის კრიალა ზედაპირზე დაცემული ტირიფების ჩრდილებიც დაინახა... დასწავლილი ფრაზებით ლაპარაკობდნენ, ერთიდაიგივეს იმეორებდნენ.



ბილი, „მთვარის სონატას" რომ უსმენდი? — მიუბრუნდა პედაგოგი მოწყენილ გოგონას, საერთო აჟიოტაჟში მონაწილეობას რომ არ ღებულობდა.

— მეგონა, დედა მეფერებოდა!..

* * *

დედას ერთ დღეს წვეთი დაეცა. წნევას კი უჩიოდა, მაგრამ საიმქვეყნიო არაფერი ჰქონდა. ინსულტი თქვეს. გაუონვა თავის სისხლძარღვებში. ხანგრძლივი მკურნალობა დაუწყეს და ზაფხულმაც გაგვიარა, დედის ავადმყოფობას შევეგუეთ. მოიხედა კიდეც, მაგრამ ჯერ ვერაფერს გეტყვი, ჰამლეტია, მაინც გადაწყვეტითო, საშა ექიმი მეუბნება. არ იცის ამან არაფერი, გუნებაში ვამბობ და თავს ვუქნევ. ცოტა ხანში ავურიე ადრინდელივით: ხან შუაღამისას, ხან გამთენიისხანს შევაღებ ფეხაკრეფით თუ ფეხარევით სახლის კარს. ვერც გასვლას გამოაპარებდი, ვერც შესვლას რა დროც არ უნდა ყოფილიყო, რანაირ გულისყურ ძილში არ უნდა ყოფილიყო წასული. სადაა ჰამლეტიო, მკითხულობს წარა-მარა. წუხს და ნერვიულობსო, მისაყვედურეს ჩემიანებმა.

— დედის მკვლელი გინდა გახდე?!

— ეს რა მითხარით, აწი სულ არ მოვალ აქანე-თქვა, — მოვიყვანე გული, დავკარი ფეხი და გადავბარგდი. დედა მოკეთდა და ცნობიერება დაკარგა ერთ დღეს, მკურნალი ექიმისთვისაც კი მოულოდნელად. თბილისში წაყვანა ავიხირე. არ იქნება, კი იქნება და დამეთანხმნენ.

საერთაშორისო ვაგონით ვმგზავრობთ. თვალდახუჭული წევს ძილღვიძილად მიგდებული. გაახელს თვალს, მიყურებს, ვერ მცნობს. მიყურებს, ვუყურებ. რამდენი ღამე გათევინე, შე საცოდავო, ვფიქრობ. ჩემიანები გასასვლელში დგანან. ფეხზე ვუთევთ ღამეს. უცებ კუპის კარი მიიკეტა რბილად, თავისთავად. ყრუ ხმაურზეც შეკრთა დედა, თავი შინ ეგონა და დაიძახა შეშფოთებულმა:

— კარი გაალეთ, ჰამლეტი მოვიდა!

* * *

განზრახ მკვლელობაში ედებოდა ბრალი. სასჯელის უმაღლეს ზომასაც ელოდნენ. თორმეტი წელი მიუსაჯეს. სანამ კოლონიაში გაამწესებდნენ, სპეც-საკნიდან ჩვენთან შემოიყვანეს. არც არავინ მიგებებია, არც არავის აუბზუებია ტუჩი მის დანახვაზე. ხმას არ იღებდა; იწვა, იდგა თუ ბოლთას სცემდა, გაბმულად ეწეოდა სიგარეტს. წამოგვადგებოდა ხოლმე უხმოდ თავს მეშაშეებს და თუთუნის ბოლში გაკვამლისფერებული დააჩერდებოდა მუყაოს დაფას; მცდარ სვლაზე იჭმუხნიდა სახეს, წარბებს ზლარბავდა; ერთი-ორჯერ გაეღიმა შეუმჩნევლად.

ერთ დღეს, ყველა რომ ჩვენ-ჩვენთვის ვფიქრობდით, მოულოდნელად ამოღერღა: პირველ კლასში რომ მიმიყვანეს, დედას ვერ ამაღლიტესო. ღრმად შეისუნთქა ბოლი და განაგრძო: კლასში მარტო არ ვრჩებოდი, დედა გვერდით მერხზე მეჯდაო. ითმინა მასწავლებელმა და თქვა: ქალბატონო, აქ დედათა და ბავშვთა სანატორიუმი კი არაა, სკოლააო, ან დატოვეთ, ანდა წაიყვანეთ სახლშიო. რას შვრები!

არ იტიროო, დედა მეხვეწება შესვენებაზე, აქ ვიქნები და არ იტირო თუ გიყვარდეო. ღია კარ[illegible]დექი მაშინ, მე ვეუბნები. არ გამ[illegible]პენ და აჰიტომ თითს შემოვყოფ ამ ჭუჭრუტანაში, შემხედავ და მიხვდები, აქა ვარო. გასალები გადაეადგილებინათ და ნახვრეტი იყო მართლა დარჩენილი საკლიტურთან. დავთანხმდი დიდი ყოყმანით. მერხზე კი გოგონა მომისვეს კიკინებიანი. იყოს, არ ვჩივი, მაგის დარდი სულ არა მაქვს, გულისყური კარისკენა მაქვს. გავხედავ, თითი ჩანს. დგას საგუშაგოზე კარში თითშემოყოფილი დედა გაკვეთილების გასრულებამდე. ერთ დღეს სხვა მშობლებთან (ისინიც ელოდნენ თავიანთ ბარტყებს) დაეჩივლა: მაღაზიაში მინდა გადასვლა და თითი ვერ გამომილია ნახვრეტიდანო. ერთი მდიდარი ქმრის ლამაზ ცოლს ეთქვა, მე შევყოფ თქვენს მაგივრად თითსო. როგორ შეგაწუხოთ ქალბატონოო. რა შეწუხებაა, რაზეა ლაპარაკი, წაბრძანდით თქვენ და არც იჩქაროთ, გაკვეთილის გამოსვლამდე გავჩერდებიო.

შუა გაკვეთილზე ავტირდი. დაიღლაბნა ახალმელნიანი რვეული ცრემლებით. რას მოთქვამ, რას აღვარღვარებ ცრემლებსო, გადაირია მასწავლებელი, დედაშენი იქა დგას, თითს ხომ ხედავო.

— ის არ არის დედაჩემის თითი!

* * *

მომაკვდავმა დედამ სასთუმალთან თავდახრილ ოთარ მამფორიას უთხრა:

— ოთარა, შვილო, ჩემს პანაშვიდებზე და გასვენებაზე წვერი არ მოუშვა, ორმოცამდე არ დაიტოვო...

— რატომ, დედა? — ფრთხილად ჩაეკითხა სულთმობრძავს.

— ახალგაზრდა ცოლი გყავს და ხნიერი გამოჩნდები.

დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
ამიტომ წუთისოფელი
სულ მუდამ გვაცოდვილებსა...

# ეზრა პაუნდის «სუვერენული სიტყვების» თეორია და ვარიაციები ჩინური კლასიკური პოეზიის მოტივებზე

**ეზრა პაუნდი** (უესტონ ლუმისი) დაიბადა 1885 წელს ჰეილიში, აიდაჰოს შტატში. განათლება –რომაული ფილოლოგიის განხრით – მიიღო პენსილვანიის უნივერსიტეტში. 1908 წელს დატოვა ამერიკა და საცხოვრებლად ევროპაში, ლონდონში გადავიდა. სწორედ ლონდონში დაიწყო აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა: გამოსცა რამდენიმე პოეტური კრებული, აქვეყნებდა ლიტერატურულ წერილებს, ეწეოდა რედაქტორულ საქმიანობას. 1924 წელს გაემგზავრა და დამკვიდრდა იტალიაში,ქალაქ რაპოლოში. 30-იანი წლების მიწურულიდან აქტიურად თანამშრომლობდა მუსოლინის ხელისუფლებასთან, რადიოგამოსვლებში ეწეოდა ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდას, რის გამოც, ომის დამთავრების შემდეგ 1945 წელს, იგი დააპატიმრეს და მოათავსეს პიზასთან მდებარე ბანაკში. მალე, როგორც ამერიკის მოქალაქე, პაუნდი აშშ-ში დააბრუნეს, ხადაც, სამედიცინო ექსპერტიზის მიერ შეურაცხადად ცნობილი, სულით ავადმყოფთა კლინიკაში მოათავსეს. 1958 წელს ეზრა პაუნდი კვლავ იტალიაში დაბრუნდა და სიკვდილამდე (1972) ცხოვრობდა ვენეციაში.

პარადოქსია: რამდენადაც საკამათოა ეზრა პაუნდის ლიტერატურული, ესთეტიკური, პოლიტიკური შეხედულებები, იმდენად ეჭემიუტანელია მისი ღვაწლი XX საუკუნის ინგლისურენოვანი პოეზიის განვითარებაში. ამ უცნაური ბედის პოეტმა, ფაქტიურად, ლიტერატურულ ავანსცენაზე გამოჩენისთანავე დაიმკვიდრა მოდერნისტთა მეტრის სახელი, ხოლო მისი თეორიული მოძღვრებები დღესაც ასრულებენ გზის მაჩვენებლის ფუნქციას პოეტთა ახალი თაობებისთვის.

საუკუნის დასაწყისის ინგლისურენოვან პოეზიაში მომხდარმა ძვრებმა, აქტიურმა ფორმალურმა ძიებებმა, ახალი პოეტური მეტყველებისაკენ სწრაფვამ, რაც, მეტწილად, იმაჟისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფის საქმიანობას უკავშირდება, ლოგიკურად მოითხოვა ლიდერი, რომელიც იქნებოდა არა გარკვეული თეორიული თეზისების შემქმნელი,როგორიც იყო თომას ერნესტ ჰიუმი, არა ამ თეზისების ბეჯითი და ნიჭიერი მიმდევარი, როგორც, მაგალითად, რიჩარდ ოლდინგტონი, არამედ ახალი, ინდივიდუალური პოეტური ესთეტიკის დამამკვიდრებელი და რეალიზატორი. არც თომას ჰიუმს, არც რ..ჩარდ ოლდინგტონს, არც ჰერბერტ ლოურენსს ... არც სხვა რომელიმე პოეტს ... მოდერნისტთაგან, რ..მლებიც ილტვოდნენ ახალი პოეტური ფორმების დასამკვიდრებლად, არ გააჩნდათ ლიდერისათვის საკმარი ნოვატორული გამბედაობა. ეზრა პაუნდის გამოჩენამ ყველა დაარწმუნა, რომ სწორედ ამ პოეტს შესწევდა ძალა, ლაბორატორიული ექსპერიმენტების დონეზე არსებული ნოვაციები ახალ პოეტურ მიმდინარეობებად(!) ექცია. პაუნდის ნიჭს ისინიც კი აღიარებდნენ, ვისთვისაც პრინციპულად მიუღებელი იყო ტრადიციული ლექსის ადგილას ურითმო და ძველ მუსიკალობას მოკლებული ლექსის დამკვიდრება.პირველ ხანებში პაუნდს დიდი დახმარება გაუწიეს უილიამ ბათლერ იეიტსმა, უილფრედ ბლანტმა, ფორდ მედოქს ფორდმა, ჰილდა დულითლმა. 1913 წელს იეიტსი წერდა: „მე ბევრი რამ არ მესმის, კიდევ უფრო მეტი არ მომწონს, მაგრამ ეზრა ის კაცია, ვისაც, უბრალოდ,უნდა ვაცადოთ. ეჭვგარეშეა, ეს ბიჭი რაღაც სერიოზულს გვიმზადებს" .

უმთავრესი ნიშანი, რაც პაუნდს დანარჩენი პოეტებისაგან გამოარჩევს, სიტყვისადმი წრეგადასული მომთხოვნელობაა. ერთ-ერთ ადრეულ ესსეში პაუნდი წერდა: „თანამედროვე პოეტები მეტად რთული ამოცანის წინაშე ვდგებით: სახეზეა აშკარა კონფლიქტი პოეზიასა და სიტყვებს შორის, რომელიც, ჩემი აზრით, ავადმყოფურ მასშტაბებს იძენს.საბედნიეროდ, ახალგაზრდა პოეტების უმრავლესობამ შეიგნო, რომ საჭიროა დამკვიდრდეს ახალი პოეზია, მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელია, თუ არ გამოვიმუშავებთ სიტყვასთან ურთიერთობის ახალ კულტურას. (...) თითოეული სალექსო სიტყვა, პირველ რიგში, საკუთარი თავისკენ უნდა მიგვიძღვებოდეს,თითქმის ვიზუალურ ეფექტს უნდა ახდენდეს. ხშირად კი ისე ხდება, რომ სალექსო სიტყვების უმრავლესობა მომდევნო სიტყვის შესავალს (ან წინა სიტყვის დასასრულს) წარმოადგენს და თითქმის არაფერს ამბობს საკუთარ



მარცხნიდან: მედოქს ფორდი, ჯეიმს ჯოისი, ეზრა პაუნდი, ჯონ ქუინი. პარიზი, 1923 წელი.

თავზე. ასეთი „უსაქმური" სიტყვები ანაგვიანებენ პოეტურ ნაწარმოებს. ჩვენ ვქადაგებთ სუვერენული სიტყვებისაგან შემდგარ ლექსს, სადაც თითოეული სიტყვა საკუთარი თავისთვის იღვწის, და ვთვლით, რომ მხოლოდ ამგვარად მიიღწევა ჰარმონია პოეტურ ენაში". გარდა ამისა, პაუნდი მიიჩნევდა, რომ ენამ უნდა დააფიქსიროს რეალობა — ისეთი, როგორიც არის, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოახდინოს მისი კომენტირება. ცნობილია პაუნდის, ჰიუმისა და ოლდინგტონის მიერ შემუშავებული სამი ძირითადი თეზისი, რომელიც 1912 წლითაა დათარიღებული.

1. ლექსში უშუალოდ იქნას დასახელებული ყოველი საგანი, რომელიც მკითხველს მიეწოდება განმარტებისა და რეფლექსიის გარეშე;
2. არ იქნას გამოყენებული ისეთი სიტყვები, რომლებიც არ ქმნიან ხილვად სახეს.
3. ლექსის თხზვა უნდა წარიმართოს მუსიკალური ფრაზის მიხედვით, მეტრონომის გაუთვალისწინებლად; ვერიდოთ ზედმეტ სიტყვებს, თუნდაც მათ ხმარებას რიტმული ყლერადობა მოითხოვდეს.

პაუნდის პოეზიაშიც და, განსაკუთრებით, ესსეებ... თვალშისაცემია პოეტის ნეგატიური დამოკიდებულე... თანამედროვე მსოფლიოს ყოფისადმი, რომელშიც, მ... აზრით, „ძველი, მყარი ორიენტირების მოშლა ცი... ლიზაციის განვითარების ძირითად პირობადაა აღ... რებული". თუ ამგვარ განწყობას იმ ზე-მომთხოვნ... ლობასაც დავუმატებთ, რომელსაც პაუნდი სიტყვის... დმი იჩენდა, შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლ... მოსალოდნელი, კანონზომიერიც კი იყო მისი „გატ... ცება" აღმოსავლური კულტურით, კერძოდ — ჩინუ... და იაპონური კლასიკური პოეზიით და კონფუციან... ზმით.

1913 წელს ცნობილი ამერიკელი ჩინოლოგ... ერნესტ ფენელოზას მეუღლემ პაუნდს გადასცა თავი... ქმრის არქივი, რომელსაც პოეტი „ფენელოზას სა... ნძურს" უწოდებდა. ეს იყო ჩანაწერები ჩინური ენი... და დამწერლობის თავისებურებების შესახებ, ჩინ... კლასიკოსთა ლექსების პწკარედები და ლიტერატ... რულ-ესთეტიკური ტრაქტატები აღმოსავლური კუ... ტურის შესახებ. სწორედ ფენელოზას ხელნაწერ... უდევს საფუძვლად 1915 წელს პაუნდის მიერ გამ... ცემულ წიგნს Cathay („კატაი" — ამ სახელწოდებ... მოიხსენიებდნენ შუა საუკუნეების ევროპაში ... მიწებს, სადაც ამჟამად ჩინეთია განთავსებულ... რომელსაც, მიუხედავად პაუნდის დიდი სურვილ... ძნელად თუ ვუწოდებთ თარგმანებს. წიგნში შეტან... ცხრამეტივე ლექსს, მართალია, გააჩნია პირველწყა... ჩინურ კლასიკურ პოეზიაში, მაგრამ მათში იმდენ... სჭარბობს პაუნდის ინდივიდუალური ხელწერა, რ... ჭირს, ამ ლექსებს თარგმანები ვუწოდოთ. უფ... ზუსტნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ეს არის ჩინუ... კლასიკური პოეზიის მოტივებზე შექმნილი პაუნ... ორიგინალური ლექსები.

„კატაი" —ს შესახებ ელიოტი წერდა:"ყოვე... თაობამ თავად უნდა შექმნას სათავისო თარგმანი, ... კი იმას ნიშნავს, რომ ჩინური პოეზია, რომელ... ვეცნობით, არის რაღაც, რაც გამოიგონა ეზ... პაუნდმა. არ არსებობს თავის თავში ჩაკეტილი ჩინ... პოეზია, მომლოდინე რომელიღაც იდეალური მთა... მნელისა, რომელიც იქნება ერთადერთი მთარგმნელ...

მართლაც, „კატაი" წარმოადგენს რაღაც შუა... დურს თარგმანსა და ორიგინალურ პოეზიას შორ... ეზრა პაუნდი თავად განმარტავს პრინციპს, რომელ... ჩინურ მასალაზე მუშაობისას გამოიყენა: „გადავწყ... ტე გამეგო, თუ რა არის ის, რასაც ყველგან რაცხ... პოეზიად, რათა გამოწვლილვით შემესწავლა ... დინამიური შინაარსი; პოეზიის რომელი მხა... „გაუნადგურებელი", რა არის ის, რაც თარგმნისას ... იკარგება და — რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ... რომელი ეფექტები მიიღწევა მხოლოდ ერთ ენაში ... აბსოლუტურად არ ემორჩილება თარგმნას". ამრიგ... პაუნდი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ზუს... გადმოიცეს ლექსის" დინამიური შინაარსი" და ... ფორმა. მისი აზრით, მხოლოდ ამგვარად იყო შე... ლებელი ჩინურ და ინგლისურ ენებსა და, ... მთავარია, მხატვრულ ესთეტიკებს შორის არსებ... სხვაობის დაძლევა. „ჩვენი და ჩინური გემოვნ... ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ჩინელებს უყვ... პოეზია, რომელიც მათ დააფიქრებს; უფრო მე... მათ უყვართ პოეზია, რომელსაც საგონებელში ჩაგ... ძალუძს".

პაუნდი, რომელიც პოეზიის არსს „ობიექ... პრეზენტაციაში" ხედავდა, სადაც პოეტური ... „გრძნობათა გაწონასწორებისთვისაა" მონოდებ... აღფრთოვანებული იყო ჩინური პოეზიისათვის და... ხასიათებელი ორი ძირითადი თვისებით: საგნ... უშუალო დასახელებით და იმ აუჩქარებლობით, ... მელსაც ჩინელი პოეტები პირადი გრძნობების გ... ღავნებისას იჩენდნენ. სტატიაში „ჩინური ... ზია"(1918) პაუნდი წერდა: „ჩინური პოეზიის თარ... ღირს თუნდაც იმიტომ, რომ მას ახასიათებს ცოც... გამოსახულების ზოგიერთი თვისება, ჩინელ პოე... უმრავლესობა კი კმაყოფილდება იმით, რომ მორ... ზებისა და განმარტებების გარეშე გადმოსცემს ... სათქმელს".

მთარგმნელისაგ...

## ლექსები წიგნიდან Cathay (1915)

### ტაო იუან-მინის<br>უძრავი ღრუბელი

ნოტიოა გაზაფხული, ამბობს ტაო
იუან-მინი, ნოტიოა გაზაფხული ბაღში.

I

ღრუბლები ჩამუქდნენ, დაბლა დაიწიეს
და წვიმა ელვრება, ელვრება მიწას,
ზეცის რვა ჰორიზონტს თანაბრად რგებია
საერთო წყვდიადის კუპრი.
ფართო, გატკეპნილი ბილიკი მიცოცავს...
მე ვდგავარ ოთახში, მე ვდგავარ უძრავად, მე
აღმოსავლეთით
ვიბრუნე პირი,
მე ღვინის ჰურჭელზე ჩამოვდე ხელი.
მე უკვე დავკარგე ყველა მეგობარი,
თავს ვხრი და უძრავად ვდგავარ.

II

წვიმა კი ილვრება, ჩამუქდნენ ღრუბლები,
ზეცის რვა ჰორიზონტს ინელებს წყვდიადი,
მდინარედ ქცეულა ნაცნობი ბილიკი,
,,ღვინო ხომ აქ არის?
აქ არის ღვინო!"
და აღმოსავლეთის სარკმელთან ვთვრები,
და ვფიქრობ, რისი თქმაც ხმამაღლა მსურდა,
არსაით არ მოჩანს ნავი ან ეტლი.

III

აღმოსავლეთის ბაღში, ჩემს ბაღში
უახლეს ყლორტებს აჩენენ ხენი,
ასე ცდილობენ აათრთოლონ გრძნობა ახალი.
მარად ბრუნავსო მზე და მთვარე, კაცნი ამბობენ,
რადგან ვერსაით იპოვნესო განსახვენები.

აღმოსავლეთის ბაღში, ჩემს ბაღში,
დაფრთხიალებენ ტოტებს ჩიტები,
თითქოს ცდილობენ, ხმა მომაწვდინონ:
,,მუდამ მოგვწონდი, გვირჩევნიხარ ყველა კაცთაგანს,
და არა მხოლოდ იმის გამო, რომ სხვას ვერ ვხედავ...
და მაინც, რამდენიც არ უნდა ვიუბნოთ,
მაინც ვერ შეგასმენთ ჩვენს უთქმელ სევდას".

ტაო იუან-მ...
365-427 წწ., ჩვ.წ.აღ...

### დევნილის წერილი

რაკუოს სარდალს, ძველ მეგობ...
გენის მბრძანებ...

სულ უფრო ხშირად ვიხსენებ ფარდულს, შენ რომ...
და მიხახსოვრე,
ფარდულს, ტენ-სინის ხიდის სამხრეთით.
ოქროს სიყვითლეს და ძვირფასი ქვების სითეთრე...
მუდამ გვერჩივნა...
სიმღერა და ლალი ხი...
და ვსვამდით, ვსვამდით, სიხარულით ვსვამდით
ყველასთან,



ნუ იქნებოდა თუნდაც იგი მეფე-მთავარი.
ლებული ბატონები მოჰყვებოდნენ ზღვის
დინებას დასავლეთიდან
თან ერთად გვქონდა ლხინი დიდად-საქები,
მ ყველაზე უფრო ხშირად — ორნი ვთვრებოდით,
არ მახსოვს, ერთმანეთი მოგვბეზრებოდა.
რებს არასდროს ვანსხვავებდით ჩინ-წარჩინებით,
გინდ ყოფილიყვნენ
ზღვით მოსულნი, გინდა მთიელნი,
დაც ჩვენი მეგობრობის გემო გაეგოთ.
საუბრობდით, ჩვენ ერთმანეთს გულებს
ვუხსნიდით, მუდამ ვამხელდით
ჩვენს განზრახვებს, არცა ვნანობდით.
სამხრეთით გამაგზავნეს,
რგე დაფნის გაშლილ პლანტაციებში,
რაკუოს ჩრდილოეთით მოგიხდა წასვლა.
ვრჩენოდა, გარდა ფიქრის და გახსენების...
ცა სევდამ მონატრების ზღვარს მიაღწია,
ევ შევხვდით, სენ-იოსთან ერთურთს წავაწყდით,
ო იქ. სადაც უერთდება ერთიმეორეს
ოცდათექვსმეტი შენაკადი
დიდი მდინარის,
იშლება ვრცელი ველი, ველი, რომელზეც
სამდე ყვავილი ჰყვავის.
პირველი ველი იყო, ჯერ სად ვიყავით!
სი გავიარეთ კიდევ მინდორი, ფიჭვთა მოთქმით
და ქარ-ნიავით
გაჯერებული,
კი, კანის მბრძანებელი შეგვხვდა ამალით,
ით აღკაზმულს, ხელში ეპყრა ოქროს ალვირი;
წმინდანს შევასწარი მის გვერდით თვალი,
მის ნიშნად ააღერა ძვირფასი სტვირი.
ნის მერე, სასახლეშიც ქუხდა მუსიკა,
ბმიანი, ვით გალობა მქროლავ ფენიქსის,
ან-სიუს მბრძანებელი, მთვრალი, აცეკვდა,
მისმა ქიტონმა უძრაობას ველარ გაუძლო,
მუსიკა არ აძლევდა ნებას სიმშვიდის,
ვარჩაში გახვეული, ძილმა წამილო, მბრძანებლის
კალთას მივაბარე
დაღლილი თავი,
ულმა კი იწყო ფრენა, ისე ამაღლდა, რომ
ზე-ზეციურ
თალთა შორის იწყო ნავარდი.
მავ დღეს, ჯერ არც იყო დაღამებული, მე და
შენ ისევ გავიფანტეთ
ვარსკვლავებივით.
სოში; ხო, შენც იცი, თუ რა შორს არის,
სამშობლოს და რაკუოს ხიდს დაუბრუნდი.

ენმან, ვინც ჯიქივით არის უშიში,
ოუს მბრძანებელმა, რომელმაც რომ
ბარბაროსებს გაავლო მუსრი,
ად სიშორისა, ჩემს საძებრად გამოგგზავნა
მაისის თვეში.
ის მერე, ისევ ერთად მივაბიჯებდით,
ცხვრის ნაწლავივით მიმოკლაკნულ გზებს
მივუყვებოდით,
ლო იყო, ჩრდილოეთის დაქროდა ქარი;
ეტლი ჩაგვეჩხა ვიწრო ხრამებში, რასაც,
ჩემდა გასაკვირად,
არცა ნანობდი,
სხვა არაფერი გაფიქრებდა, — მხოლოდ მიზანი!
და აი, უკვე გვმასპინძლობენ დიდ სასახლეში,
— ნეფრიტის თასებს თვლა არა აქვთ ძვირფას
ტაბლაზე, ტაბლაზე
ტევა აღარ არის ხორაგ-საკვების,
ხოლო მე ვთვრები და სრულიად დამვიწყებია,
რომ უკვე დროა, სამშობლოსკენ ავილო გეზი.
მერე სასახლის დასავლეთით გავისეირნეთ,
საგვარეულო კოშკის ირგვლივ ლივლივებს წყალი,
მისრიალებენ ნავები და სტვენენ სტვირები,
დრაკონის ზურგი, მწვანე, როგორც დილის ბალახი,
მიიზლაზნება ნავებს შორის
ანკარა წყალში,
და კურტიზანთა ვნებიანი გალობა ისმის,
მათი ხმა მსუბუქ ფიფქებივით ფარფატებს ცაში.
მზე ჩადის, ბანგი ეკიდება მწითურ ახულ...
წყ... ში ირეკლება
მწვანე წარბები,
— წარბები, მწვანედ შეფერილნი, რომ დაჰფენიათ,
ჩვილი სხივები ახალი მთვარის,
გრაციოზული შუქ-ჩრდილების დღესასწაული...
და ასულები კვლავ გალობენ ხმაშეწყობილნი,
გამჭვირვალე ფარჩა მოსავთ მროკავ სხეულებს,
მიერეკება მათ სიმღერას მსუბუქი ქარი,
რომ გადასტყორცნოს შორეული ღრუბლების რკალში.
მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული.
და არა არის დაუსრულები.
და მეც ვეახლე უმაღლეს მსაჯულს,
რათა მეცადა ჩემი იღბალი,
ძლვნად შევასმინე სიმღერები სოუ-იოსი,
მაგრამ არ მერგო არცა ჯილდო, არცა სახელი,
გაწბილებული ჩრდილოეთის მთებს დავუბრუნდი.
ტენ-სინის ხიდთან, წლების მერე, ჩვენ ისევ შევხვდით,
იქვე დასრულდა მეგობრობა ჩვენი ურყევი,
შენ კვლავ დაბრუნდი ჩრდილოეთით
და რომ იკითხავ,
თუ რაა ჩემთვის განშორება, პასუხად გეტყვი:
მე მტანჯავს იგი, ვით ყვავილებს გვალვა და ხვატი!
და ანკი რაღა საჭიროა, ნეტავ, სიტყვები, მაგრამ
საუბრის დასრულებაც
ვერ შევიძელი,
გული ვერაფრით შეელია ტანჯულ სტრიქონებს.
აი, მსახურსაც დავუძახე,
მორჩილად იცდის,
რადგან ვაყოვნებ, რომ დავუხვა წერილს ბეჭედი
და მივაბარო იგი შენთან გადმოსაგზავნად
ათასი მილის დაშორებით,
მაგრამ ეს ფიქრი...

რიჰაკუ (იგივე ლი მუ),
მხედართმთავარი, ჰანნის ეპოქა

## ᲓᲘᲚᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲢᲣᲐᲚᲔᲢᲘ

ლურჯია, ლურჯია ბალახი ღელესთან,
შემოსაზღვრულა ტირიფებით პატარა ბაღი,
ბაღში — ჯერ სულ ახალგაზრდა დიასახლისი
წამით შეუოვნდა ჭიშკრის გვერდით, თეთრი, ნატიფი,
გულზე დაიწყო სიფრიფანა, ნაზი ხელები.

ის კურტიზანი იყო ადრე,
ლოთს გაჰყვა ცოლად,
რომელიც, მთვრალი, მუდამ გარეთ დახეტიალობს,
ქალი კი მარტო ატარებს დღეებს.

მიაკუთვნებენ მეი სენგს,
140 წ.,ჩვ.წ.აღ-მდე

## ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ჩვენ აქ ვართ, გვიმრის ყლორტებს ვაგროვებთ,
ვკითხულობთ, როდის გველირსება შინ დაბრუნება?
ჩვენ აქ ვართ, რადგან კენ-სინნი გვმტრობენ,
სანამ მონღოლნი არსებობენ, რა მოგვასვენებს?

ჩვენ ვაგროვებთ გვიმრის ნედლ ყლორტებს,
მაცნე კი არ ჩანს, რომ გვიბრძანოს: „უკან დაბრუნდით!“
სევდამ წალეკა ჩვენი გულები.
სევდამ დატბორა ჩვენი გონება, მტანჯველმა სევდამ, და
შიმშილმაც
დაგვრია ხელი.
მცველებსაც, ვატყობთ, დაუკარგავთ ყველა იმედი,
არსად ჩანს
მაცნე, რომ გვიბრძანოს: „უკან დაბრუნდით!“
ჩვენ ვაგროვებთ გვიმრის ხმელ ტოტებს,
ვკითხულობთ, ნუთუ ოქტომბერშიც არ
დავბრუნდებით?
რა დააწყნარებს ამა სამეფოს, ვინ მოგვაშავოს ნება
სიმშვიდის?
მძიმეა ხვედრი, ჩვენ რომ გვერგო, ისე მძიმეა, რომ
დაბრუნების აღარ რჩება მცირე იმედიც.
გვაცოდინა, თუ რომელი ყვავილები ყვავიან ჩვენში...

ვინ მოდის ეტლით? რა თქმა უნდა, მხედართმთავრები,
მაგრამ, შეხედე, გადაღლილან მათი ცხენებიც,
ყოველთვიურად — სამი ბრძოლა, რა დაასვენებთ?
ო, ღმერთო, როგორ გადაღლილან მათი ცხენები!
მხედართმთავრები, ამ ცხენებზე ამხედრებულნი,
სპილოს ძვლის ისრებს
აშიშვლებენ, გაჩაღდა ომი,
კარგად გაწვრთნილი ცხენები ჰყავთ,
წინ — მხედრიონი,
ჩვენ კი, ქვეითნი, ფეხით მივსდევთ, გზადაგზა ვკვდებით.
სიფრთხილე გვმართებს, ღირსეული გამოდგა მტერი.

მწყობრად ვიდექით ამწვანებულ ტირიფებს შორის,
თოვლში ნაკვალი ბილიკებით უკან ვბრუნდებით,
ძლივს მოვლასლასებთ და გზადაგზა შიმშილით
ვკვდებით,
სევდამ წაგვლეკა, ვინ გაიგოს ტკივილი ჩვენი?..

ბუნო, გმირად შერაცხული
1100 წელს ჩვ.წ.აღ-მდე

## ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ:

როგორც აღინიშნა, „კატაიში“ ჩინური კლასიკური პოეზიის ნიმუშების სტილიზირებული თარგმანებია წარმოდგენილი

„ტაო იუან-მინის უძრავი ღრუბელი“ ეფუძნება გო პუს (III-IY სს.) და ტაო იუან-მინის (IY-Y სს.) ნაწარმოებებს:

„დევნილის წერილის“ პირველწყაროს ლი ბოს (YIIIს.) რამდენიმე ლექსი წარმოადგენს;

„დილის მშვენიერი ტუალეტი“ ეყრდნობა ერთ-ერთ ლექსს ანონიმური პოეტური კრებულიდან „ცხრამეტი ძველი ლექსი“ (I-II სს.);

„მშვილდოსანთა სიმღერის“ პირველწყაროს წარმოადგენს ლექსი „შუელი მშვილდოსნები“ ძველთაძველი ჩინური პოეტური ნაწარმოებების კრებულიდან „შიძინ“.

ინგლისურიდან თარგმნა
ზვიად რატიანმა









# საყვარელი რომანის მუზეუმი

ატლანტა-96
ლიტერატურული ექსკურსი

ამერიკაში, ქალაქ ატლანტაში, დაიწვა მარგარიტ მიჩელის სახლი, სადაც მწერალმა საქვეყნოდ ცნობილი „ქარწაღებულნი“ დაწერა. ზუსტად საუკუნის



წინ აგებული ხის პატარა შენობისაგან დანახშირებული ფიცრები და ნაგავილა დარჩა.

მარგარიტ მიჩელს არ უნდოდა, რომ მისთვის ძეგლი დაედგათ. ჩრდილოეთ კაროლინაში არსებობს მუზეუმი, რომელიც რომანის მიხედვით გადაღებულ ამავე სახელწოდების ფილმს ეძღვნება — სურათი მართლაც რომ უბერებელია, მასთან დაკავშირებულ ყოველ დეტალს სიწმინდესავით უფრთხილდებიან, მაგრამ მუზეუმი ფილმს ეძღვნება და არა რომანსა და მის ავტორს.

მწერლის სახლში ერთხანს სურდათ ისტორიულ-ლიტერატურული მუზეუმი გაეხსნათ, სადაც ამერიკის სამოქალაქო ომის ამსახველ ექსპონატებს გამოფენდნენ, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. თანამედროვე ბანკების, სასტუმროების, მაღაზიებისა და რესტორნების გარემოცვაში ჩაკარგული, მივიწყებული, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლი თითქოს გამვლელებს სთხოვდა დახმარებას, იქნებ ვინმეს სარესტავრაციო თანხა გაეღო, ატლანტისთვის მასზე მეტად ხომ არავის გაუთქვამს სახელი.

ამასობაში უპატრონოდ მიტოვებულ შენობაში საეჭვო ხალხი იყრიდა თავს. შარშანწინ კი აქ ხანძარი გაჩნდა. სრული განადგურებისაგან სახლი მოახლოებულმა ოლიმპიადამ იხსნა. ოლიმპიადის ორგანიზატორებისთვის აშკარა იყო, რომ ეს სახლი მაგნიტივით მიიზიდავდა ქალაქის სტუმრებს. შეუძლებელია, ვინმეს რომანი არ ჰქონდეს წაკითხული ან ფილმი მაინც არ ენახოს. მათ აუცილებლად მოუნდებათ წიგნში აღწერილი ატლანტის ხილვა. მწერლის სახლში გახსნილი მუზეუმი კი მათ ინტერესს დააკმაყოფილებდა.

ატლანტა ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთის ყველაზე დიდი ქალაქია. მაგრამ რომანისდროინდელი ატლანტისგან დღეს აღარაფერი შემორჩა. ახლა ყველა აღიარებს, რომ ძველი ატლანტა მონათმფლობელური სამხრეთისადმი მტრულ დამოკიდებულებას ემსხვერპლა.



ოლიმპიადის წინ შეიქმნა აქტივისტთა ჯგუფი, რომელმაც მწერლის სახლის გადარჩენა დაისახა მიზნად. სარესტავრაციო თანხა საავტომობილო ფირმამ „დაიმლერ ბენცმა“ გაიღო. ენთუზიასტებს სურდათ მუზეუმი 30 ივნისს, რომანის გამოქვეყნებიდან 60 წლისთავზე გახსნილიყო, აღდგენითი სამუშაოებისთვის ოთხნახევარი მილიონი დოლარიც დაიხარჯა და... კვლავ ხანძარი!

გაუგებარია, ვის დასჭირდა ისტორიული მნიშვნელობის სახლის განადგურება, მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა — სახლი დაზიანებული იყო და რესტავრატორები მის აღსადგენ თანხას ალბათ ძნელად მიიღებენ.

„საყვარელი რომანის მუზეუმი“ ადრე თუ გვიან უეჭველად გაიხსნება.

ვლადიმერ ვო...

# თარიღები



## 9 აგვისტო

1966 — 30 წლის წინ თბილისში გარდაიცვალა გიორგი (გოგლა) ლეონიძე, ქართველი პოეტი. დაიბადა 1899 წელს სოფელ პატარძეულში, სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ — სემინარიაში. იბეჭდებოდა 1911 წლიდან. 1918 წლიდან იყო „ცისფერყანწელებთან“. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944 წლიდან), საქართველოს სახალხო პოეტი



(1959 წლიდან), ავტორი ლირიკული შედევრების: „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“, „ოლე“.

## 14 აგვისტო

1866 — 130 წლის წინ პეტერბურგში დაიბადა დიმიტრი მერეჟკოვსკი, რუსი მწერალი, ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილება. ავტორია ტრილოგიის: „ქრისტე და ანტიქრისტე“ — 1896-1905. მის კალამს ეკუთვნის ლიტერატურული გამოკვლევები ტოლსტოის, დოსტოევსკის, გოგოლის, პუშკინის შემოქმედების შესახებ. 1920 წელს თა-



ვის მეუღლესთან, პოეტ ზინაიდა გიპიუსთან ერთად გაემგზავრა ემიგრაციაში, ცხოვრობდა პარიზში, გარდაიცვალა 1941 წელს.

1956 — 40 წლის წინ ბერლინში გარდაიცვალა ბერტოლდ ბრეხტი, გერმანელი მწერალი და დრამატურგი, თეატრის თეორეტიკოსი. დაიბადა 1898 წელს აუგსბურგში, მიუნჰენის უნივერსიტეტში სწავლობდა მედიცინას, პირველი მსოფლიო ომის დროს მუშაობდა სანიტრად სამხედრო ჰოსპიტალში. ამ პერიოდში დაიბეჭდა მისი პირველი ნაწარმოებები. სახელმწიფოს სათავეში ფაშისტების მოსვლის



შემდეგ გაემგზავრა ემიგრაციაში (შვეიცარიაში, დანიაში, შვედეთში, აშშ-ში). 1948 წლიდან ცხოვრობდა გდრ-ში. ავტორია პიესების: „სამგროშიანი ოპერა“ — 1928, „გალილეის ცხოვრება“ — 1938-39, „სეჩუანელი კეთილი კაცი“ — 1938-40, „კავკასიური ცარცის წრე“ — 1944-45. ე.წ. „ეპიკური თეატრის“ შემქმნელი. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე თეატრის განვითარებაზე.

## 15 აგვისტო

1771 — 225 წლის წინ ედინბურგში დაიბა-



და ვალტერ სკოტი, ინგლისელი მწერალი. მუშაობდა ადვოკატად, სასამართლოს მდივნად. აგროვებდა შოტლანდიურ ბალადებს. ავტორია რომანების: „პურიტანები“ — 1816, „რობ როი“ — 1818, „აივენჰო“ — 1820, „კვენტინ დორვარდი“ — 1823. მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, ისტორიული თხზულებები, პოემები, მოთხრობები, ნოველები. გარდაიცვალა 1832 წელს.

## 18 აგვისტო

1961 — 36 წლის წინ მიუნჰენში გარდაიცვალა ლეონჰარდ ფრანკი, გერმანელი მწერალი. დაიბადა 1882 წელს, მუშაობდა მღებავად, სანიტრად, ეუფლებოდა ფერწერას. სახელმწიფოს სათავეში ფაშისტების მოსვლის შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში, ინგლისში, აშშ-ში. 1950 წელს დაბრუნდა სამშობლოში.



ავტორია რომანების: „ყაჩაღები“ — 1914, „ბიურგერი“ — 1924, „სამი მილიონიდან სამი“ — 1932, „იესოს მოწაფენი“ — 1949, ავტობიოგრაფიული წიგნის: „მარცხნივ, სადაც გულია“ — 1952.

## 19 აგვისტო

1936 — 60 წლის წინ გრანადასთან ფაშისტებმა დახვრიტეს ფედერიკო გარსია ლორკა, ესპანელი პოეტი და დრამატურგი. დაიბადა 1898 წელს. სწავლობდა გრანადის უნივერსიტეტში.



1919 წლიდან ცხოვრობდა მადრიდში. ავტორია პოეტური კრებულებისა („ბოშური რომანსერო“ — 1928, „კანტე ხონდო“ — 1931) და პიესებისა — „სისხლიანი ქორწილი“ — 1933, „ბერნარდა ალბას სახლი“ — 1935.

## 21 აგვისტო

1871 — 125 წლის წინ დაიბადა ლეონიდ



ანდრეევი, რუსი მწერალი და დრამატურგი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდ... ფაკულტეტი. იბეჭდ... 1898 წლიდან. ავ... მოთხრობების, პიეს... („სავა“ — 1906, „ცხოვ... რება ადამიანისა“ ... 1907, „შავი ნიღ...“ — 1908, „ძაღლების ვა...ლსი“ — 1916) ავ... გარდაიცვალა ... წელს.

## 24 აგვისტო

1921 — 75 ... წინ დახვრიტეს ...



ლაი გუმილიოვი, ... პოეტი. ე. ხოდას... მოგონებებიდან: „В ... ле сентября мы у... что Гумилев убит... начале 1922 года ... театр, о котором ... арестом много ... Гумилев, поставил ... су „Гондла“. На ... ной репетиции ... на первом предста... публика стала ...

## სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)
თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,
ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედი...
თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურე...)
გოგა დავითაშვილი (მხატვარი)

# ოზოზას ქსელში გაბმული ორი „გუდაური“



## ანუ რა ურგები მოუტანა უმაღლესი კლასის სასტუმრო

...თავდაპირველად, წერილის ...მოხსენიებული „ორი ...ალბათ, განაცვიფ- ...მკითხველს — ერთის ...ნამდვილად გვსმენოდა, ...საიდანღა მოიტანეთ, ასე- ...არც გვინახავს და არც ...

...მკითხველს იქნებ ისეც ჰგო- ...რომ ავსტრიელებმა საკუ- ...ფულით აგვიშენეს და ...ოთხვარსკვლავიანი ...სასტუმრო, შემდეგ — ღმერთმა ...მოგახმაროთო — გვი- ...ქუდი დაიხურეს და ...როგორც გაირკვა, ...არც მთლად ასე ყო- ...საქმე.

1988 წელს ყაზბეგის რაიო- ...ექსპლუატაციაში შევიდა ...სასტუმრო „გუდაური“. სასტუმ- ...საბალანსო ღირებულებამ ...მილიონ 303 ათასი მანეთი ...სასტუმროს მშენებ- ...ძირითადად, რესპუბლი- ...ბიუჯეტის სახსრებით (ჩაის ...უცხოეთში რეალი- ...შედეგად მიღებული თა- ...და ნაწილობრივ, სახელ- ...კრედიტის ხარჯზე გან- ...სამშენებლო (და ...საფინანსო) სამუშაოები ...ავსტრიულმა ფირმა ...

...სასტუმრო, რომელიც გამი- ...იყო სპორტსმენებისა და ...თვის, როგორც სა- ...დასასვენებელი კომპლექ- ...იმავე წელს სახელმწიფო ...ორგანიზაცია „საქკურორტს“ გა- ...იმავდროულად, „საქკუ- ...რორტის“ მფლობელობაში გადა- ...სასტუმროს მიმდებარე ...ტერიტორიაზე განლაგებული სა- ...კოტეჯი და მომსახურე ...პერსონალის საცხოვრებელი შე- ...ბები.

...იმ პერიოდში სა- ...მაღალი კლასის ...სასტუმრო კომპლექსების მომსა- ...გამოცდილება ჯერ კი- ...არ არსებობდა, აუცილებე- ...გახდა, შექმნილიყო ისეთი ...სტრუქტურა, რო- ...უზრუნველყოფდა საზღ- ...საზღვარგარეთიდან ტურისტების მო- ...მარკეტინგის შესწავლას, ...ორგანიზებას. ერთი ...„გუდაურის“ რაც შე- ...მოკლე ვადაში, მაღალე- ...ამოქმედებას.

...ამ მიზნით, „საწა- ...შესახებ“ იმდროინდელი ...თანახმად, საკავშირო ...სამინისტრომ რეგისტ- ...გაატარა ერთობლივი ...„გუდაური“. ასე გაჩნდა ...ორი „გუდაური“, რომელ- ...ზემოთ მოგახსენეთ.

...ერთობლივი საწარმო „გუ- ...დაურის“ საწესდებო კაპიტალმა ...ათასი მანეთი შეადგინა. ...დამფუძნებელთა შორის აღ- ...„საქკურორტი“ (60 ...პროცენტი), „უნგარ-ჰოტელი“ (20 ...პროცენტი), „ATC“-ავსტრია (20 ...პროცენტი). აღნიშნულმა ერთო- ...საწარმომ იჯარით აიღო ...სასტუმრო „გუდაური“ და დაიწყო ...ექსპლუატაცია, მაგრამ, რო- ...მოვლენები ცხადყოფს, ...წარმატებით...

...აღსანიშნავია, რომ დღემდე ...ერთობლივი საწარმო „გუდაუ- ...საწესდებო კაპიტალი და ...დამფუძნებელთა წილობრივი მო- ...ნაწილეობა ცვლილებებს განიც- ... ეს კი, ძირითადად, ...„საქკურორტის“ წილის შემცი- ...და უცხოელი პარტნიო- ...წილის შესაბამისად გაზ- ...ხარჯზე ხორციელდებოდა. ...1989 წელს ერთობლი- ...საწარმო „გუდაურის“ და- ...მფუძნებელთა შორის ჩნდება ...დარეგისტრირებული ავსტრიული ფი- ...ABV, რომელმაც საწესდებო ფონდის 35 პროცენტი შეიძინა.

შემდგომ „საქკურორტმა“ საკუთარი წილის 10 პროცენტი გადასცა ერთობლივ საწარმო „მეტეხს“ და ამდენად, ერთობლივი საწარმო „მეტეხიც“, მართალია, მცირე კაპიტალით, მაგრამ ერთობლივ საწარმო „გუდაურის“ დამფუძნებელთა შორის მოგვევლინა.

1993 წელს ისევ „საქკურორტის“ წილიდან 15 პროცენტი შპს „არაგვს“ გადაეცა, რის შედეგადაც საწესდებო კაპიტალი საბოლოო სახით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ABV - 45 პროცენტი, ე/ს „მეტეხი“ — 20,7 პროცენტი, „საქკურორტი“ — 20,3 პროცენტი, „არაგვი“ — 15 პროცენტი.

ზემოთ მიცემული წილობრივი მაჩვენებლები გვაფიქრებინებს, რომ ერთობლივი საწარმო „გუდაურის“ ძირითადი დამფუძნებელი „საქკურორტი“, საკუთარი კაპიტალის „გაჩუქების“ წყალობით, ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ერთობლივ საწარმოს მიღმაც დარჩენილიყო და გავლენის სფერო, უკვე ე/ს „გუდაურის“ მიერ მონოპოლიზებულ სასტუმრო „გუდაურზეც“ დაეკარგა. და თუ რატომ მონოპოლიზებულ, ამას ქვემოთ განვმარტავ.

### ხელშეკრულებები, რომელთა გამოც საქართველოს ბიუჯეტმა ვერ მიიღო შემოსავლები

ერთობლივი საწარმოს საქმიანობის ერთადერთ და ძირითად სფეროს წარმოადგენდა სასტუმრო „გუდაურის“ ექსპლუატაცია, რომელიც „საქკურორტთან“ (როგორც სასტუმროს მფლობელთან) შესაბამისი ხელშეკრულებით ხორციელდებოდა. ბოლო ასეთი ხელშეკრულება დადებულია 1992 წელს, რომლის მოქმედების ვადაც 1997 წლის 31 მაისამდეა განსაზღვრული. ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ქირა შეადგენს ერთობლივი საწარმო „გუდაურის“ წლიური ბრუნვის 6 პროცენტს. თუ მხედველობაში მივიღებთ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროცენტს და ერთობლივი საწარმოს მიერ ამ წლებში მიღებულ შემოსავლებს, ცხადი გახდება, რომ სასტუმრო „გუდაურიდან“ რესპუბლიკის ბიუჯეტი დიდი ხნით ვერ მიიღებდა რეალურ შემოსავლებს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ერთობლივმა საწარმომ „საქკურორტს“, ფაქტობრივად, სულ 32 ათასი დოლარი გადაუხადა.

საგულისხმოა, რომ მოვლენების უარყოფითად განვითარებას ხელი შეუწყო იმ ქაოტურმა პირობებმა, რომელშიც ერთობლივი საწარმო „გუდაურის“ მიერ სასტუმროს იჯარით ექსპლუატაცია ხორციელდებოდა: ერთობლივი საწარმო „გუდაურის“ გენერალური დირექტორი ვ.მიქელაძე იმავდროულად სასტუმროს ხელმძღვანელიც გახლდათ. თავად სასტუმრო აღარ წარმოადგენდა ცალკე იურიდიულ პირს. მისი სამეურნეო სტრუქტურა დღემდე ერთობლივი საწარმოს სტრუქტურასთანაა შერწყმული.

ცხადია, ამგვარი „გარიგება“ თავიდანვე გამორიცხავდა კონტროლისა და პასუხისმგებლობის მექანიზმს. უფრო მეტიც, ერთობლივმა საწარმომ სასტუმრო „გუდაურის“ ინტერესები საკუთარს დაუქვემდებარა და ისეთ კაბალაში მოაქცია, რომ წლების განმავლობაში სასტუმრო მოგებაზე არა და, ზარალზე ნამდვილად მუშაობდა.

1994 წლის 12 ივლისს ერთობლივმა საწარმომ მსგავსი ხელშეკრულება გააფორმა შპს „არაგვთან“, რომლისგანაც იჯარით აიღო საბაგირო გზა, თოვლის სატკეპნი მანქანები და სათხილამურო ტრასების მოწყობილობა. აღსანიშნავია, რომ საიჯარო თანხების ხარჯზე ხდებოდა შპს „არაგვის“ წარმომადგენლების სასტუმრო „გუდაურში“ ცხოვრების საფასურის გადახდა.

როგორც ჩანს, ერთობლივი საწარმოს დაბალეფექტური საქმიანობა, მნიშვნელოვანწილად, განპირობებულია უცხოელ პარტნიორებთან არაგეგმაზომიერი ურთიერთობით. წლების განმავლობაში ერთობლივი საწარმო „გუდაური“ ასეთ პარტნიორობას ეწეოდა ავსტრიულ ფირმა „მარკო-პოლოსთან“, ხოლო ამჟამად — შვეიცარიულ ფირმა „ალპინტრაველთან“. აღნიშნულ ფირმებთან ხელშეკრულების პირობები ხშირ შემთხვევაში, წამგებიანი იყო ქართული მხარისთვის.

ასევე, იჯარის შესახებ კანონის უხეში დარღვევით გადასცა „საქკურორტმა“ ათი წლის ვადით კერძო პირებს სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული სამი კოტეჯი, სადაც დღეს მინისასტუმროები ფუნქციონირებს. ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარადეები „საქკურორტს“ ყოველკვარტალურად 25 ლარს უხდიან (?!).

სასტუმროს მძიმე ფინანსური მდგომარეობა ერთმა საიდუმლოებით მოცულმა ფაქტორმაც გამოიწვია. 1989 წელს ერთობლივმა საწარმო „გუდაურმა“ ავსტრიის ბანკში „ცენტრალ შპარკასეში“ აიღო კრედიტი 14 მილიონი შილინგი (1 მილიონ 400 ათასი აშშ დოლარი). კრედიტის დიდი ნაწილი — 900 ათასი დოლარი დღემდე დაუფარავია. უფრო მეტიც, კრედიტის არცთუ მცირე ნაწილი არამიზნობრივადაა გახარჯული.

ვალის დაფარვის მეტად ორიგინალური მოდელი შეიმუშავა ავსტრიულმა მხარემ: ტურისტული საგზურებიდან რეალიზაციის დიდი ნაწილი თავს იყრის ერთობლივი საწარმოს ანგარიშზე უცხოეთში (რომელსაც, ფაქტობრივად, გირაოს ფორმა აქვს) და იქიდან ხდება აღებული სესხის ნაწილ-ნაწილ დაფარვა.

აქედან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასტუმროს საქმიანობა მხოლოდ სესხის დაფარვას ემსახურება და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მოუწევს „გუდაურს“ „სხვათა მოჯამაგირეობა“!

### „გარედან მტერს უბრმავებს თვალს, შიგნიდან — მოყვარესო“

როგორც უკვე მოგახსენეთ, სასტუმროს პირველადი საბალანსო ღირებულება 18 მილიონ 303 ათას მანეთს შეადგენდა. შემდგომ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აფასებული ქონების ღირებულება 1.825.543 დოლარით განისაზღვრა. ამდენად, ბიუჯეტს მხოლოდ ქონების გადასახადისგან ყოველწლიურად 19.619 ათასი დოლარის ექვივალენტური გადასახადი უნდა მიეღო. ბოლო სამი წლის განმავლობაში კი ეს გადასახადი 700 დოლარის ექვივალენტ თანხას არ აღემატება. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ ერთობლივ საწარმოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 624 ათასი ლარი დაარიცხა.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას განსაკუთრებით აფერხებს ისიც, რომ ნაცვლად მაღალეფექტური საქმიანობისა, წლების განმავლობაში, ერთობლივი საწარმო მხოლოდ ზარალის მომტანია. ექსპლუატაციის დაწყების დღიდან დღემდე ზარალმა, დაახლოებით, 1.068.750 ლარი შეადგინა. სწორედ ამიტომაც, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აღნიშნულმა ორგანიზაციამ ბიუჯეტში სულ 294 ათასი ლარი გადარიცხა. ამასთანავე, 20 პროცენტს არ აღემატება სასტუმროს დატვირთვის კოეფიციენტი, რაც, კიდევ ერთხელ, ერთობლივი საწარმოს არაეფექტურ საქმიანობაზე მიგვანიშნებს.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: „გარედან მტერს უბრმავებს თვალს, შიგნიდან — მოყვარესო“, თორემ თავიდანვე რომ გვცოდნოდა, რა ურგებიც ექნებოდა სახელმწიფოსთვის უმაღლესი კლასის სასტუმრო, უბრალოდ აღარც ამდენ თანხას გავხარჯავდით, აღარც ავსტრიელებს შევაწუხებდით და ამდენი დავიდარაბის ნაცვლად ერთ პატარა „ქართულ ხალხურ“ სასტუმროს დავჯერდებოდით.

**დიანა ბაბროშვილი**

**P.S. მასალების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით სახელმწიფო საგადასახადო სამსახურს.**

სასამართლო

# აყალმაყალი კიტოვანის სასამართლოზე

8 აგვისტოს გამართული კიტოვანის სასამართლო უჩვეულოდ დაიწყო. მოსამართლის შემოსვლამდე შსს-ს ერთერთმა თანამშრომელმა კიტოვანის მეუღლეს პირველ რიგში დაჯდომის უფლება არ მისცა,რაც ყოფილმა სარდალმა ვერ მოითმინა და „თანამშრომელს“ უყვირა: „ვინ ხარ საერთოდ... ფორმა რატომ არ გაცვია... რა უფლებით არ სვამ ჩვენს ნათესავებს. სადაც უნდათ იქ დაჯდებიან... გაგაქრობ... დედას გიტირებ, შე ახვარო!“ პასუხად „თანამშრომელი“ წამოხტა, რატომ მაგინებსო, მაგრამ იგი შემდეგი სიტყვებით დააშოშმინეს: ორი წელი შენ რომ ჩაგსვან, ქვების სროლას დაიწყებო. ბოლოს კიტოვანმა თქვა: სანამ მაგას დარბაზიდან არ გაიყვანენ, სხდომაზე არ შემოვალო და დანარჩენ განსასჯელებთან ერთად დარბაზი დატოვა. ინციდენტის მეორე მონაწილე კი ნერვების დასაწყნარებლად სიგარეტის მოსაწევად გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ სასამართლო მუშაობას შეუდგა. განსასჯელებმა მოსამართლე იოსებ ხურციძეს „უფორმო და იარაღიანი პირების თვითნებობის აღკვეთა“ მოთხოვეს. ბატონმა იოსებმა მათ თანხმობა განუცხადა და განმარტა, რომ ბადრაგის გარდა არავის აქვს უფლება სხდომის დარბაზში წესრიგი დაამყაროს.

ვალერი ფესიუნმა სასამართლოზე განსასჯელების საზოგადოებრივ დამცველად რუსეთის მონარქისტული პარტიის თავმჯდომარის ლევ უბოშკოს დაშვების შუამდგომლობა დააყენა. პროკურორმა ეს შეუძლებლად მიიჩნია, რადგან უბოშკო ამ საქმეზე დაკითხული ყოფილა და ამის გამო საპროცესო კანონმდებლობა მის საზოგადოებრივ დამცველად დანიშვნას ეწინააღმდეგება. ბრალდებულები აღაშფოთა პროკურორის გამოსვლამ. ფესიუნმა თქვა: „ეს პოლიტიკური თამაშია. დაჭერისთანავე განვაცხადე, რომ ჩემი ადვოკატი უბოშკო იქნებოდა, მაგრამ გენერალურმა პროკურატურამ იგი ჩემი პიროვნების დასადგენად დაკითხა და, ამდენად, უბოშკო უკანონოდ გახადა მოწმედ. მისი მოწმედ ცნობაც არ შეიძლება, რადგანაც არც ბრალდების და არც დაცვის მხრიდან იგი მოწმეთა სიაში არ არის შეყვანილი.“ იგივე აზრი გაიზიარეს ადვოკატებმაც, მაგრამ მცირე თათბირის შემდეგ სასამართლო კოლეგიამ უარი განაცხადა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

კოლეგიის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო განსასჯელებმა პროკურორის აცილებაზე შუამდგომლობა დააყენეს, სასამართლოზე დასწრებაზე უარი განაცხადეს და პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს.

სანამ დარბაზს დატოვებდა თენგიზ კიტოვანთან გასაუბრება მოვასწარით. მან თქვა: „სასამართლოზე არ გამოვალთ, თუ პროკურორს არ შეცვლიან. თანაც ზნეობრივად სწორად არ მიმაჩნია, რომ კაცი, რომელმაც დოკვაძე გელბახიანს დახვრეტა მიუსაჯა, ჩვენ გაგვასამართლებდეს. ეს ცუდი სიმპტომია. ჩვენ მოსამართლის აცილების შუამდგომლობასაც დავაყენებთ, რადგანაც ორივეს ერთი დავალება აქვს მიღებული „ზემოდან“ — კანონის თავისუფალი ინტერპრეტაციითა და დარღვევით გაგვასამართლონ. ხურციძე მითითებების მისაღებად წარამარა გარბის სხდომიდან. თუ ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, პროცესზე საერთოდ არ გამოვცხადდებით და დაუსწრებლად გამოგვიტანონ განაჩენი.“

**სოსო ბარნაბიშვილი**

# სასამართლომ უკანონოდ ცნო „რუსთავი — 2“ —ის სარჩელი... მარათონი ჰააგამდე გაგრძელდება

პირველი გვერდიდან

„გამა +“-ის ადვოკატმა ლია მუხაშავიძემ ძირითადი სარჩელის — „მასობრივი ინფორმაციის საშუალების უკანონო შეწყვეტის“ გარდა სააგენტოსთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით დამატებითი სარჩელიც შეიტანა. ძირითად სარჩელში მოსარჩელე საქართველოს მასობრივი ინფორმაციების შესახებ კანონის მეთორმეტე მუხლს ეყრდნობოდა, რომლის თანახმადაც საინფორმაციო საშუალების ფუნქციონირების სრული შეწყვეტა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. რაც შეეხება დამატებით სარჩელს, „გამა+“-ის მიერ დადებული კონტრაქტების და ხელშეკრულებების გაუქმების შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ადვოკატმა 87600 დოლარი და 9570 ლარი მოითხოვა, მორალური ზარალის ასანაზღაურებლად კი — ერთი მილიონი ლარი.

„მე გაოგნებული ვარ. ამდენი ხნის მოსამართლე ვარ და ჯერ ასეთი არაფერი გამიგია. საიდან მოიტანეთ მორალური ზარალი ანაზღაურება?“ — გაიოცა მოსამართლე ვახტანგ თალაკვაძემ, ხოლო „სტუდიო №PL“-ის ადვოკატმა მედეა ჭაფოძემ მოსარჩელე მხარეს ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა მოსთხოვა. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს მოთხოვნილი თანხის 15 პროცენტი წინასწარ უნდა გადაეხადა და შესაბამისი ქვითარი სასამართლოსთვის წარედგინა. ბუნებრივია, მათ ეს თანხა არ ჰქონდათ გადახდილი და სარჩელიც „უმოძრაოდ დაიდო“ სასამართლოს კანცელარიაში.

## საქართველოს კონსტიტუცია და კავშირგაბმულობის სამინისტროს „ოფიციალური პოზიცია“

ამის შემდეგ მსჯელობა ძირითადი სარჩელის შესახებ წარიმართა. ლია მუხაშავიძემ თავისი ახალი განცხადებით საკითხი კიდევ უფრო გაამწვავა. „მასობრივი ინფორმაციის საშუალება არ არის უბრალო იურიდიული პირი, რომელიც იუსტიციის და კავშირგაბმულობის სამინისტროებს შორის მიგზავნილ-მოგზავნილი წერილების საფუძველზე შეიძლება გაუქმდეს. ამ ფაქტით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლების შესახებ“, — განაცხადა ადვოკატმა.

მოპასუხე მხარემ — კავშირგაბმულობის სამინისტროს წარმომადგენელმა მერაბ ჭელიძემ, სანამ განსახილველ საკითხზე მსჯელობას შეუდგებოდა, კავშირგაბმულობის სამინისტროს „ორი ოფიციალური პოზიცია“ ჩამოაყალიბა. პირველი „პოზიციის“ თანახმად, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულა და დღესაც ჩამოყალიბებისა და დახვეწის პროცესშია. ამდენად, ლიცენზირება მათთვის ახალი საქმეა და იგი უნდა ხდებოდეს არა ოცდაათ ლარიანი განცხადების, არამედ ტენდერის საფუძველზე. „სამინისტრომ რომ გაიგო, ოცდაათ ლარად მილიონებს აკეთებენო, მათაც ინტერესი გაუჩნდათ“, — დაასკვნა მოსამართლემ.

მეორე „ოფიციალური პოზიციის“ მიხედვით, კავშირგაბმულობის სამინისტროს საინფორმაციო საქმიანობის არც მიცემის და არც შეწყვეტის უფლება არ ჰქონია. ისინი, უბრალოდ, ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ საშუალებაზე გასცემენ ლიცენზიას.

## „ისტორიის გარეშე არაფერი გამოვა“

განაცხადა მერაბ ჭელიძემ მოსამართლის კითხვის — „რატომ მიეცით თავიდან ლიცენზია, ან რა შეიცვალა მას შემდეგ, რომ თქვენი გაცემული ლიცენზია თქვენვე გააუქმეთ, ვინმეს მხრიდან ჩარევას ან რაიმე ზეწოლას ხომ არ ჰქონდა ადგილი“-ს — პასუხად. მისი თქმით, თავდაპირველად

— „გთხოვთ „გამა +“-ს გაუუქმოთ რეგისტრაცია და ჩვენ გადმოგვცეთ“, — საკითხი „გაღრმავდა“ და უფრო „ღრმა იურისპრუდენციას“ შეეხოო. პრობლემაში გასარკვევად კავშირგაბმულობის სამინისტროს კითხვით მიუმართავს იუსტიციისთვის, ამ უკანასკნელის პასუხის საფუძველზე კი ლიცენზია გაუუქმებიათ და მეთერთმეტე მეტრული სიხშირე „კლდეკარისთვის“ გადაუციათ.

ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, „გამა +“-ს დაუბრუნეს ლიცენზია, რასაც მერაბ ჭელიძე უკანონო გადაწყვეტილებად მიიჩნევს. მომდევნო წლის თებერვალში, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, კავშირგაბმულობის სამინისტრომ „კონსენსუსის საფუძველზე“ „გამა +“-ს ახალი ლიცენზია გადასცა, ამჟამად უკვე ახალ სიმძლავრეზე — თბილისის მეთორმეტე მეტრულ სიხშირეზე. 20 ივნისს „სტუდიო №PL“-ის მიერ შეტანილი წერილის შემდეგ სამინისტრო ისევ დაეჭვებულა — ჰქონდა თუ არა „გამა +“-ს მაუწყებლობის უფლება და ისევ იუსტიციის სამინისტროს წერილის საფუძველზე გააუქმა ლიცენზია.

## ვის ხელშია ლიცენზიის გაცემის უფლება?

სასამართლოზე კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გამოიკვეთა. აღმოჩნდა, პირველად ლიცენზიის გაცემისთვის საკმარისი საფუძველი ყოფილა „გამა +“-ის მიერ იუსტიციის სამინისტროდან წარმოდგენილი რეგისტრაციის მოწმობა, რომლის თანახმადაც იგი საინფორმაციო საშუალებას წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც რუსთავის მერიის საინფორმაციო სამსახურმა და მის მიერ დაარსებულმა ფირმა „კლდეკარმა“ შეიტანეს სარჩელი რომ კავშირგაბმულობის სამინისტროს ს[...] ლიცენზიო კომისიის სხდომაზე მსჯელო[...] მხოლოდ თბილისის მეთორმეტე მეტრუ[...] სიხშირეზე გაცემულ ნომერ 88 ლიცენზი[...]ას შეეხებოდა და გაუქმებითაც ეს უკან[...]ასკნელი გააუქმეს, მინისტრის მოადგი[...]ნოდარ ხარატიშვილის წერილში კი მა[...]თან ერთად რუსთავში გაცემული ნომ[...] 44 ლიცენზიის გაუქმებაზეც არის ლაპ[...]რაკი. ბატონ მერაბ ჭელიძის თქმი[...] ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უ[...]ლება სალიცენზიო კომისიის ან მინის[...]რის გარდა არავის აქვს. თუ ვი[...] გადაწყვეტილებით გაუქმდა ნომერ 4[...] ლიცენზია, სასამართლოს არ გაურკვევ[...]

ადვოკატმა ლია მუხაშავიძემ პრეს[...] კანონის თანახმად მოითხოვა სისხლ[...] სამართლის საქმის აღძვრა იმ „სახელ[...]ნიფო ორგანოების მიმართ, რომლებ[...] არღვევენ პრესის და ინფორმაციის სა[...] საშუალებების თავისუფლებას“. ამ მ[...] თხოვნამ მოსამართლის და იუსტიცი[...] სამინისტროს წარმომადგენლის ირონ[...] გამოიწვია. „იდეალური შანსი მოგეცა[...] რომ დააპატიმროთ იუსტიციის სამინ[...] ტრო და მთელი შენობა რკინის ლობ[...] შემოალობინოთ“, — მიმართა იუსტიცი[...] სამინისტროს რეგისტრაციის სამმართ[...] ლოს უფროსმა ხოსო მუმლაძემ მოსა[...]რთლეს.

საბოლოოდ, მოსამართლემ „გამა +“[...] სარჩელი უკანონოდ მიიჩნია. რუსთაველე[...]ბი, თავის მხრივ, ასე ადვილად [...] აპირებენ ბედთან შერიგებას და აპირებ[...] ბრძოლა უფრო მაღალ ინსტანციებ[...] გადაიტანონ. „თუ საჭირო გახდა, ჰააგა[...]მდე, საერთაშორისო სასამართლომდე [...]ვლით“, — ამბობენ ისინი. მარათონ[...] გრძელდება. ვნახოთ, როგორ დამთავრდ[...] მომდევნო ეტაპები.

ჯერ-ჯერობით რაიონულმა სასამარ[...]ლომ კანონიერად ცნო „რუსთავი 2“-[...] გაუქმება, თუმცა პროცესზე არ დამდგა[...] იმ პირის თუ პირთა პასუხისმგებლო[...] საკითხი, რომელთა უკანონო გადაწყვე[...]ლების საფუძველზეც აღნიშნული ტელე[...]ვიზია ეთერში გადიოდა, არც ის გაირკ[...] რა მოტივი ამოძრავებდათ უკანონო[...] ჩამდენთ.

სოზარ სუბელიანი

# დუბაის იბნ სადაკა

11 აგვისტოს დიდგორის ბრძოლის 875 წლისთავია. 875 წელი გვაშორებს იმ დღეს, როცა მოხდა „ძლევაჲ საკვირველი“ და დიდმა დავითმა შემუსრა მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი, „სიმრავლით, ვითარცა ქვიშა ზღვისა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა „კაცი დაჰმანი და მრავალღონე“, ჯვაროსნებთან ბრძოლებში სახელგანთქმული ართუკიანი ამირა ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი. ამ ბრძოლაზე, ქართველთა შემართებაზე ბევრი დაიწერა და კიდევ დაიწერება. ბევრი ითქვა იმათ შესახებაც, რომლებიც ჩვენს დასაპყრობად მოვიდნენ. ეს განსაკუთრებით ილ-ღაზიზე ითქმის. ნაკლებად ცნობილია მისი მოკავშირე „არაბთა მეფე“, დუბაის იბნ სადაკა, რომლის შესახებ მოგვითხრობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **გოჩა ჯაფარიძე**.

დიდგორის ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა.

თავში დაჭრილი ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი ლომივით იბრძოდა და გასაქცევ გზას ეძებდა. თავის სიძეს, საყვარელი ასულის გოჰარხათუნის ქმარს დუბაისს გვერდიდან არ იცილებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ წამით თვალიდან დაკარგა. დუბაისს მხლებლები აუჩქეს. მერე ვეება ცხენზე ამხედრებული ახოვანი ქართველი გადაეყარა და ზემოდან ლახტი გადაუქირა. დუბაისმა ფარი იფარა, მაგრამ ძლიერ დარტყმას ვერ გაუძლო და გონდაკარგული უნაგირს გადაეკიდა. ქართველმა ლახტი „წელთ გაირჭო“, მახვილი იშიშვლა და ის-ის იყო ქედზე უნდა დაეკრა, რომ მეტოქის კისრიდან ჩამოშლილი ოქროს ყელსაბამი დალანდა — ურჩულოს თავს ესეც არ გადავაყოლოო — იფიქრა. მახვილი ქარქაშში ჩააგო და ყელსაბამი შეხსნა. თვალი მოსჭრა უძვირფასესი ქვებით მოჭედილმა ბაჯაღლო ოქროს მანიაკის ბრწყინვალებამ. ამასობაში ცხენმა დუბაისი საფრთხეს განარიდა და სიკვდილს თუ ტყვეობას გადაარჩინა. მერე ღულამები ამოუდგნენ მხარში, ისევ ილ-ღაზის შეუერთდნენ და რის ვაი-ვაგლახით დააღწიეს თავი ხიფათს. ათი ფარსახი (60 კმ) მისდევდნენ ქართველები ლტოლვილ მტერს. ილ-ღაზისა და დუბაისის ერთგულმა თურქმენებმა და არაბებმა პატრონების გადასარჩენად მდევარს შეაკლეს თავი და როცა სიძე-სიმამრი ყარსში შევიდნენ, მათ მხოლოდ 20 მხედარიღა ახლდათ.

მიუხედავად სასტიკი მარცხისა, „სარწმუნოების ვარსკვლავი“ (ნაჯმ ად-დინი) ილ-ღაზი და „სახელმწიფოს შუქი“ (ნურ ად-დავლა) აბუ ლ-ააზ დუბაის II იბნ სადაკა, მაინც ბედნიერები იყვნენ. თავები მხრებზე შერჩათ და ახლა რევანშზე შეეძლოთ ეოცნებათ.

დუბაის იბნ სადაკა, ანუ დუბაისი ძე სადაკასი, ქართული წყაროებით დურბეზ სადაყას ძე, ცენტრალური ერაყიდან იყო. ის მაზიადელთა არაბულ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მაზიადელთა გვარი — ასადის (არაბ. ლომი) ბედუინთა ტომის ნაშარის განშტოებიდან — ბაღდადის სამხრეთით, ქუფასა და ჰიტს შორის ბინადრობდა. მაზიადელები, რომლებიც ერაყის სხვა ბედუინთა მსგავსად შიიტები იყვნენ, X ს. შუა ხანებში დაწინაურდნენ ერაყის პოლიტიკურ ასპარეზზე. კოლორიტული ფიგურა იყო დუბაისის მამა — საიფ ად-დავლა („სახელმწიფოს მახვილი“) სადაკა იბნ მანსური, არაბთა (იგულისხმება ერაყის არაბი ბედუინები) მეფედ სახელდებული, არაბული გულუხვობისა და სტუმართმოყვარეობის განსახიერება. მან ისარგებლა დიდ სელჩუკთა სულტან მალიქ-შაჰის გარდაცვალების (1092 წ.) შემდეგ სელჩუკთა იმპერიაში დაწყებული შინა ომებით და თავისი ძალაუფლება ერაყის დიდ ნაწილზე გაავრცელა. 1108 წ. 40 წლის სადაკა სულტან მუჰამადთან ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა. მისი თავი ბაღდადში გამოფინეს, ხოლო ოჯახის წევრები, ვაჟიშვილ დუბაისთან ერთად, სულტანმა ტყვედ წაიყვანა.

დუბაისმა ტყვეობაში 10 წელი დაჰყო



და მხოლოდ 1118 წ. გაათავისუფლა ახალმა სულტანმა მაჰმუდმა. ამ დროს უკვე ძალებს იკრებდა აბასიანი ხალიფა ალ-მუსთარშიდი, რომელიც სელჩუკთაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას და 945 წ. დაკარგულ ხალიფების საერო ხელისუფლების აღდგენაზე ოცნებობდა. მაჰმუდი არცთუ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ შიიტი დუბაისი სუნიტ მუსლიმთა ხალიფას პატივმოყვარეობას დაარკებდა. დუბაისი, მართლაც, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ალ-მუსთარშიდს. ამავე დროს, მას არც სელჩუკებთან მეგობრობა სურდა და ომი გამოუცხადა მათ.

მამის მსგავსად დუბაისიც არაბთა მეფის ტიტულს ატარებდა. ასე იცნობდნენ მას მაჰმადიანებიცა და ქრისტიანებიც. მათ შორის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. სამხედრო საქმესთან ერთად კარგად იცოდა ლიტერატურა და პოეზია, მფარველობდა ლიტერატორებსა და პოეტებს, თვითონაც კარგ ლექსებს წერდა, რომელთა ფრაგმენტები დღეს, შეიძლება, სხვადასხვა არაბი ავტორის შრომებში მოვიძიოთ. მამასავით კეთილშობილი და გულუხვი იყოო — წერდნენ მის შესახებ თანამედროვენი და ამისთვის დიდად აფასებდნენ მას.

მაგრამ დუბაის იბნ სადაკა, პირველ ყოვლისა, პოლიტიკოსი იყო. XII საუკუნის ისლამურ აღმოსავლეთში ძნელად თუ მოიძიება მასზე უფრო მეამბოხე სულის ადამიანი. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ მახვილი ქარქაშში არ ჩაუგია. შეურიგებლად ებრძოდა ხალიფა ალ-მუსთარშიდს და სელჩუკ სულტან მაჰმუდს. კავშირი ჰქონდა სულტანის ძმებთან, ტუღრილთან და მასუდთან, აქეზებდა, აჯანყებულიყვნენ მაჰმუდის წინააღმდეგ და აქტიურად მონაწილეობდა ამ აჯანყებებში. მარცხდებოდა და ისევ იკრებდა ძალებს. უაღრესად ვრცელი იყო მისი მოქმედების არეალი: ერაყი, სირია, საქართველო, არანი და ირანი. თავისი მიზნების შესასრულებლად არც ჯვაროსნებთან კავშირს ერიდებოდა. არეულობა იწყებოდა ყველგან, სადაც გამოჩნდებოდა. მაჰმუდის დაუძინებელ მტერს თითქოსდა რა უნდა ჰქონოდა დავით IV-ის საწინააღმდეგო. ქართველთა მეფეც ხომ თურქ-სელჩუკებს ებრძოდა. მაშ რამ განაპირობა მისი კავშირი ილ-ღაზისთან და რამ მოიყვანა საქართველოში?

შეიძლება ვთქვათ, რომ შემთხვევამ და ბედისწერამ. 1120 წ. ივნისში სულტან მაჰმუდთან დამარცხებული დუბაისი იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი სატახტო ქალაქი ჰილა. მან დროულად გახიზნა ოჯახი და მთელი ქონებით სირიაში გაიქცა. მდ. ევფრატზე ჯაბარის ციხეში მისულმა ართუკიან ამირას, ჰალაბისა (ჩრდილოეთი სირია) და მარდინის (ჩრდილოეთი მესოპოტამია) გამგებელს ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზის სთხოვა თავშესაფარი. ილ-ღაზიმ მარდინში მიიღო დუბაისი და ცოლად თავისი ასული მისცა (ზოგი ცნობით ეს მანამდე მოხდა, ვიდრე დუბაისი ერაყში იყო). ილ-ღაზი, რომელიც სულტან მაჰმუდს უპირისპირდებოდა, დაინტერესებული იყო მეამბოხე მაზიადელთან კავშირით. ამასთან, ილ-ღაზი თბილისელ მუსლიმთა თხოვნით, საქართველოში სალაშქროდ ემზადებოდა. დუბაისს, რომელსაც ბევრი ფული ჰქონდა და ბრძოლებში ნაცადი მეომრები ჰყავდა, მისთვის მძლავრი დახმარების აღმოჩენა შეეძლო. ართუკანმა ადვილად დაიყოლია დუბაისი, დაარწმუნა წარმატებაში და დიდი ნადავლი აღუთქვა. არჩევანი დუბაისს არ ჰქონდა და დათანხმდა. მით უმეტეს, რომ „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ სალვთო ომი — ჯიჰადი იმ დროს მუსლიმთა საპატიო და აუცილებელ მოვალეობას წარმოადგენდა.

— ძლევაჲ საკვირველ[...]

მარდინიდან თბილისამდე შორი[...] იყო. გამარჯვებაში დარწმუნებული სიძე-[...] მრი გზად გავლენის სფეროების გადანაწ[...]ბაზე საუბრობდნენ. დუბაისმა სთხოვა ჰ[...] დამითმე, სამაგიეროდ 100 ათას დინარს [...]ცემ, თურქმენები დაიქირავე და ანტი[...]აიღეო. ანტიოქიის ჯვაროსანთა სამთა[...]ლოს დაპყრობა ილ-ღაზის ოცნება იყო[...] თანხმდა და ერთმანეთს ხელი ჩამორ[...] მაგრამ დიდგორმა მათი გეგმები არაფ[...] დიდი მსხვერპლის გარდა, დუბაისმა [...] მატერიალური ზარალიც ნახა და 300 [...] დინარის (ოქროს მონეტა, წონით 4,2 გ) [...]ბულების ქონება დაკარგა ის მანიაკი რ[...]ლიც ჩამოხსნეს, გელათის მონასტერში [...]ლის ღვთისმშობელს შესწირეს.

დიდგორში მარცხის შემდეგ დუ[...] საქართველოსკენ აღარ გამოუხედავ[...] უმეტეს, რომ მისი წამქეზებელი ილ-ღა[...]ლე გარდაიცვალა). მაგრამ დავით IV-ის [...]ვობა მან კარგად გამოიყენა თავის სასა[...]ლოდ. 1122 წ. სულტანმა მაჰმუდმა ქარ[...]ლთა წინააღმდეგ სომარი ხამზადისი და[...] და 1123 წ. შარვანში შეიჭრა. არაბი მემა[...] იბნ ალ-იმრანი წერს, რომ დუბაისმა ამი[...]რგებლა, ერაყში დაბრუნდა და ისევ და[...] კიდებლობისთვის დაიწყო ბრძოლა.

არაბთა მეფის მოღვაწეობა 1135 [...] სრულდა. ამ დროს სელჩუკთა ახალმა [...]ტანმა მასუდმა (რომელმაც მოგვიანებით[...] მეტრე I-ის ასული რუსუდანი ითხოვა[...]ლად) ბრძოლაში დაამარცხა და დატ[...]ურჩი ხალიფა ალ-მუსთარშიდი. 28 აგ[...] ტყვე ხალიფა მარაღასთან თავის კარავ[...]კლეს ასასინებმა. მასუდი შეშინდა, მკვლ[...]ბა მე არ დამბრალდესო და გადაწყვ[...] ლიფას დაუძინებელი მტრისთვის დუბა[...]ვის შეეხოცა ხელი. გული ცუდს უგრძნ[...] დუბაისს, მაგრამ ალ-მუსთარშიდის ხა[...]ლიდან ერთი თვის თავზე მაინც ეახლა მ[...] (რომელთანაც მას ახლო კავშირი ჰ[...] 1120 წლიდან). აზერბაიჯანში, თავრიზის [...]ბთან კარავში მიიღო ის სულტანმა [...] ჩამოსხდნენ, მასუდმა ნიშანი მისცა თავ[...]მეხ მამლუქს, რომელმაც მახვილი იშ[...] და ერთი დარტყმით წარკვეთა თავი დუ[...] მეამბოხის სული სამუდამოდ გაშორდ[...]ულს, რომელიც მარდინში გადაასვენ[...] ილ-ღაზის აკლდამის მახლობლად და[...]ლეს. 15 წლის შემდეგ არსებობა დაასრ[...] მაზიადელთა დინასტიამაც.

# მოდი, «ცალკარა» ვითამაშოთ

...ბუშვობაში ამ ფრაზას ხშირად ვიყენე... როცა სათამაშო მოედნის სიმცირე ...ებდა. მაგრამ, მაშინ „ცალკარა" პირო... ...ხებუა იყო, თორემ თამაში ყოველთ... ...ჩბრივი შეტევებით, უაღრესად დაძა... ...ბრძოლაში მიმდინარეობდა. მით უმე... ...რომ ნიძლავის თანახმად, გამარჯვებულ ...გამოელი ნაყინის პერსპექტივა უჩნ... ...და.

...ბათუმის „დინამოსა" და ფარერის კუნ... ...ის „ჰაუნარის" ხუთშაბათის მატჩი კი ამ ...ის სრული მნიშვნელობით ცალ კარში ...რთა. მასპის სასტვენს „დინამოს" განუ... ...ელი შეტევები მოჰყვა. ბათუმელებ... ...ბ აბეზრდებოდათ სტუმართა კარის მი... ...ებით ფეხის მოლერება და თუ შეხ... ...ასტრონომიული ანგარიშით არ და... ...და, ეს მხოლოდ მასპინძელთა დამსა... ...ა, რომლებმაც თავისთვის მოულოდ... ...მდგომარეობაში — წინააღმდეგობის ...ე ვერ მოახერხეს უამრავი საგოლე ...ის რეალიზება. ექვსი ხომ გაიტანეს, ...რე ერთი ამდენის გატანა კიდევ ...თ. ბურთი ხან ძელს მოხვდა, ხან ...მოეგერია, ხან კარს ასცდა. ერთი ...თამაშმა ბათუმელთა სრული შეგე... ...ეთარებაში ჩაიარა. სტუმრებმა კარის ...ულებით მხოლოდ ორჯერ დაარტ... ...შემთხვევაში ბურთი ასცდა მიზანს, ...შეხვედრის 88-ე წუთზე გოლიც გა... ...ონდე, დავიდსენმა საკუთარი კარი ...ჩა და წერტილი დაუსვა თამაშს.

...მართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ...ლ ტურნირებზე კიდევ იქნებოდა ...ბეტიძე, მაგრამ თქვენ წარმოიდგი... ...რეზე არსებობს გუნდი, რომელიც ...ების მსგავსად სხვადასხვა ქვეყნებ... ...ბზურით უფრო ჩადის, ვიდრე სა... ...სპორტული პრესტიჟის დასაცავად. ...ს" ფარერის კუნძულების სამოყვა... ...გუნდია. იგი ორმოც წელიწადზე მე... ...ც არსებობს. გუნდის შემადგენლობა... ...ე ერთი შემდუღაბებელი, ორი მეზ... ...ორი მალაზიის გამყიდველი და ...ჩვენი კოლეგა, ჟურნალისტი თამა... ...გუნდს არც რაიმე პრეტენზია გააჩნია ...მალავს, რომ ევროპული თასების ...ებში ძველი ოლიმპიური ლოზუნგის ...(მთავარია მონაწილეობა), სიმბო... ...მონაწილეობს.

...ათუმელებმა ამ მატჩში ასეთი შემად... ...ით ითამაშეს: ტოგონიძე, სიჭინავა, მი... ...ბნიძე (მაჭუტაძე), შეყილაძე, თორ... ...(ჯიჭველიშვილი), მალხაზ მახარაძე, ...ტულუში, უჩმაჭურიძე, მუჭირი.

...როცა გუნდი 6:0 მოიგებს, იქ ძნელია ...მომენტების რეალიზაციაზე საუბა... ...ამ ეს ისეთი საფეხბურთო კომპონე... ...რომელსაც ქართული კლუბებისთვის ...ვის საბედისწერო შედეგი მოჰქონ... ...„დინამო" „ჰაფნართან" შეხვედრაში ...არ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ ...ეტაპზე ამის იმედი არ უნდა ...შეიძლება თამაში ისე წარიმარ... ...ამ კარის მიმართულებით მხოლოდ ...დაარტყა და თუ საგოლე მომენტე... ...იზაციას ვერ მოახერხებ, გათამაშე... ...ლებლად დაემშვიდობები. მეორე ...რაც თვალში გხვდება, არის დაცვის სუსტი, ზოგჯერ შეუთანხმებელი თამაში, როცა მცველები ერთმანეთს უთმობენ ბურთს და საბოლოოდ ბურთისკენ არც ერთი მათგანი არ მიდის. დაცვის სისუსტე საჰაერო ბრძოლებშიც ვლინდება, როცა ქართველი მცველები განწირულები ჩანან და არ იციან რა მოიმოქმედონ. რამდენი შეიძლება ვისაუბროთ გამოუყენებელ კუთხურებზე. არადა თანამედროვე ფეხბურთში გატანილი გოლების 60% სწორედ სტანდარტული მდგომარეობის გამოყენებაზე მოდის. საბედნიეროდ, ბათუმელებმა ბრწყინვალედ გაითამაშეს საჯარიმო, რომელიც უჩმაჭურიძემ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელიც ამ თამაშში მოხდა, ეს იყო ერთი წლის შესვენების შემდეგ ბათუმელთა რიგებში პაატა მაჭუტაძის გამოსვლა. ბათუმელ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ შარშან თასების თასის გათამაშებაში მაჭუტაძის მიერ გატანილი გოლები „ობილიჩისა" და „სელტიკის" კარში და არ კარგავენ იმედს, რომ მაჭუტაძე სულ მოკლე დროში აღიდგენს საუკეთესო ფორმას და მრავალჯერ გაახარებს ბათუმის „დინამოს" გულშემატკივრებს. თავად მაჭუტაძე მხოლოდ ახლახან შეუდგა ვარჯიშს და სასურველი ფორმისგან ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ვფიქრობ, რომ დაუოკებელი ხასიათის ფეხბურთელისთვის სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს ჩვეულ ფორმაში ჩადგომა.

გთავაზობთ თასების მფლობელთა თასის გათამაშების შესარჩევი ციკლის დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს:

ჰემლონი (სლოვაკეთი) — ფლამურტარი (ალბანეთი) 1:0

სიონი (შვეიცარია) — კარედა (ლიტვა) 4:2

ოლიმპია (სლოვენია) — ლევსკი (ბულგარეთი) 1:0

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ჰართსი (შოტლანდია) 0:0

ყარაბახი (აზერბაიჯანი) — მიუპა (ფინეთი) 0:1

კოტაიკი (სომხეთი) — აეკ (კვიპროსი) 1:0

კონსტრუქტორული (მოლდოვა) — ჰაპოელ იროხი (ისრაელი) 1:0

ლა ვალეტა (მალტა) — გლორია (რუმინეთი) 1:2

მრკს (ბელარუსი) — რეიკიავიკი (ისლანდია) 2:2

შელბურნი (ირლანდია) — ფრანი (ნორვეგია) 1:3

ჰონვედი (უნგრეთი) — იუგომაგნატი (მაკედონია) 1:0

ვარტექსი (ხორვატია) — უნიონი (ლუქსემბურგი) 2:1

უნივერსიტატე (ლატვია) — ვადუცი (ლიხტენშტეინი) 1:1

გლენტორანი (ჩრდ.ირლანდია) — სპარტა (ჩეხეთი) 1:2

სადამი (ესტონეთი) — ნივა (უკრაინა) 2:1

ლანსენტფრაიდი(უელსი) — რუხი (პოლონეთი) 1:1.

**კახა ფაჩუაშვილი**




1997 წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში გათამაშდება ამერიკაში ოჯახთან ერთად კანონიერი ცხოვრების უფლების ანკეტების ლატარია. გათამაშებაში გამარჯვებულებს მიეცემათ შესაძლებლობა, გაემგზავრონ შეერთებულ ...ტებში და მიიღონ სახელმწიფო დახმარება. მათ, ვინც 1 სექტემბრამდე წარადგენს მოთხოვნას, შესავსებად გაეგზავნებათ ანკეტები და გარანტირებული ექნებათ ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობა.

ლატარიის ფასია 18 აშშ დოლარი.
...ენი მისამართია: P.O.BOX 4309. PANORAMA CITY CA 91412, USA. ფაქსი: 1-818-505-9291.


# საფრანგეთი იწყებს ——— ანონსი

ევროპის უძლიერესი საფეხბურთო ლიგებიდან ახალ 1996-97 წლების სეზონს პირველნი საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბები ხსნიან. დღეს მარათონული ასპარეზობის, რომელსაც ფინიში მაისში ექნება, პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან „ნიცა"-„ოსერი", „სტრასბურგი"-„პსჟ", „ნანტი"-„მონაკო", „ბასტია"-„რენი", „ლილი"-„მეცი", „ბორდო"-„ჰავრი", „ოლიმპიკი"-„ლიონი", „კანი"-„ლანსი", „გენგამი"-„მონპელიე", „ნანსი"-„კაენი".

უკანასკნელ წლებში ფრანგული საკლუბო ფეხბურთი აშკარა აღმავლობის გზაზეა. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა გასული, 1995-96 წლების სეზონი — ჯერ კიდევ ზაფხულში „სტრასბურგმა" და „ბორდომ" ინტერტოტოს თასზე იასპარეზეს წარმატებით და მათი წყალობით საფრანგეთმა ევროთასებზე რეკორდული რაოდენობის — რვა კლუბი გამოიყვანა. ამ რვიდან სამმა ნახევარფინალს უწია, ორმა — ფინალს. აქ კი, მართალია „ბორდო" „ბაიერნთან" დამარცხდა, მაგრამ პსჟ-მ ვენის „რაპიდს" მოუგო და თასის მფლობელთა თასს დაეუფლა.

წარმატება არნახული იყო, მაგრამ ამ გამარჯვებებს მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები მოჰყვა თან. აქ, ალბათ, უპრიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ მართალია საფრანგეთის პირველი დივიზიონი ერთ-ერთი უძლიერესი და უმდიდრესია ევროპაში, მაგრამ ფრანგული კლუბები ფინანსური თვალსაზრისით მაინც ვერ მივლენ ახლოს ინგლისის, იტალიის, ესპანეთის გუნდებთან, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც უკანასკნელ ხანებში ესპანეთისა და ინგლისის ფეხბურთში ტელევიზიამ უზარმაზარი თანხები დააბანდა და ისედაც ყოვლისშემძლე კლუბებს მთლად გაუხსნა ხელფეხი. საფრანგეთის გუნდებიდან დღესდღეობით, ალბათ, მხოლოდ პსჟ-ს „ოლიმპიკს" და „მონაკოს" შეუძლიათ ამ გიგანტებისთვის კონკურენციის გაწევა და ისიც გარკვეულ ზღვრამდე, დანარჩენების ფინანსური შესაძლებლობები კი საკმაოდ შეზღუდულია. ამას დაუმატეთ ყბადაღებული „ბოსმანის საქმე", რომელმაც ფეხბურთელთა მიგრაცია ევროკავშირის და არა მხოლოდ მის ფარგლებში ძალზე გააადვილა და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ გასული, წარმატებული სეზონის შემდეგ რეკორდული რაოდენობის ფეხბურთელებმა დატოვეს ფრანგული კლუბები. სამაგიეროდ, ფრანგები სხვა პოლიტიკას აწარმოებენ — აფრიკის, აღმოსავლეთ ევროპის იაფი ბაზრებიდან მრავალი ნიჭიერი ფეხბურთელი მიიწვიეს და ასე შეივსეს დანაკლისი.

გაცხოველებით მიდიოდა ვაჭრობა სეზონთაშორის პერიოდში შიდა ფრანგულ ბაზარზეც. საბოლოო ჯამში ზოგიერთი კლუბი ახალ სეზონს შარშანდელისგან აბსოლუტურად განსხვავებული შემადგენლობით იწყებს. ამ მხრივ ყველას მაინც „ბორდომ" აჯობა. უეფას თასის ფინალი ჯერ დამთავრებულიც არ იყო და „ბორდო", ფაქტობრივად, ფეხბურთელების გარეშე დარჩა — გუნდიდან წავიდნენ როგორც ლეგიონერები — ვიჩგე და ფრიც-ჰანსენი, ისე ფრანგები — დიუგარი, ლიზარაზიუ, ზიდანი, იუარი, დიუტიუელი... კლუბის მეპატრონეები გაყიდვას მორჩნენ, ფული ჩაიჯიბეს და მერე ყიდვას შეუდგნენ — გუნდში ათზე მეტი ახალი ფეხბურთელი მოვიდა. მათგან ყველაზე მეტად აღსანიშნავნი არიან არგენტინელი ფორვარდი კლაუდიო ბიაჯო „სან-ლორენცოდან", „რენის" ნახევარმცველი სტეფან ზიანი და, რა თქმა უნდა, ჟან-პიერ პაპენი — უძღები შვილი იტალიასა და გერმანიაში გატარებული ოთხი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ოცნებობს, რომ ჩემპიონატში 15 გოლი გაიტანოს და თავის ახალ გუნდს ევროთასების საგზურების მოპოვებაში დაეხმაროს. კლუბის მფლობელებიც მიიჩნევენ, რომ ახალ გუნდს ძალუძს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა და ძველზე უკეთესადაც კი. კიდევ უფრო დიდი ამბიციებით არიან აღვსილნი პირველ დივიზიონში დაბრუნებული მარსელის „ოლიმპიკის" ხელმძღვანელები. გუნდმა იყიდა გერმანიის ნაკრების მეკარე ანდრეას კეპკე, ბულგარელი იორდან ლეჩკოვი, იტალიის ნაკრებისა და „პარმას" ცენტრალური მცველი ლორენცო მინოტი, კიდევ ერთი იტალიელი ალბერტო მარუში, ტუნისელი მეხდი ბენ სლიმანი, „ნანტის" ფეხბურთელი, ეროვნული ნაკრების წევრი რაინოლდ პედროსი და ახალ სეზონს ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის რანგში ხვდება. თუმცა, ფავორიტებზე თუ მიდგება საქმე, ჩემპიონობის მთავარი კანდიდატი მაინც, ალბათ, „პარი-სენ-ჟერმენია". პარიზელთა რიგებშიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა — გუნდი დატოვეს ჯორკაეფმა, ბრავომ, ნუმამ, კოლეტერმა, დიენგმა, სამაგიეროდ, იაპონიიდან ჩამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონი, ბრაზილიელი ლეონარდო, პორტუგალიიდან მცველი კენედი, „ნანტიდან" გადმოვიდა კოე. ცვლილებაა გუნდის ხელმძღვანელობაშიც — ბილბაოს „ატლეტიკში" გადასული ლუის ფერნანდესის ნაცვლად მთავარ მწვრთნელად იმუშავებს პსჟ-სა და პორტუგალიის „ბენფიკას" ყოფილი ფეხბურთელი, ბრაზილიელი რიკარდო.

მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა „ოსერმაც". ქვეყნის ჩემპიონის რიგები დატოვეს ლორენ ბლანმა, კორეტინ მარტენსმა, კრისტოფ კოკარმა. თუმცა, ასეთ რამეებს გუნდის უცვლელი მწვრთნელი გი რუ კარგა ხანია შეჩვეულია და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მწვერვალზე აღზევებული „ოსერი" ახალ სეზონშიც ძალზე დიდი ძალა იქნება. სამწუხაროდ, ალბათ იგივეს ვერ ვიტყვით „ნანტზე". ამ გუნდსაც უცვლელი ხელმძღვანელი ჰყავს — ჟანკლოდ სიუდო — რომანტიული, შემტევი ფეხბურთის მიმდევარი მწვრთნელი, მაგრამ ბოლო ორ სეზონში „ნანტმა" ისეთი დანაკლისები განიცადა, რომ საეჭვოა, წლევანდელ ჩემპიონატში მაღალი ადგილებისთვის იბრძოლოს — გუნდიდან შარშან წასულ ლოკოსა და კარამბუს წელს დაემატნენ პედროსი, უედეკი, კოე — ესენი ყველანი უმნიშვნელოვანესი ფიგურები იყვნენ მოედანზე. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ, სიუდოს უყვარს ახალი ტალანტების აღმოჩენა და მათთან მუშაობა. წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს „მონაკოც" — ეროვნული ნაკრების წევრები ტურამი და მადარი შესაბამისად იტალიის „პარმასა" და ესპანეთის „დეპორტივოში" წავიდნენ, ხოლო გალისიის გუნდში „მეცის" კამერუნელი მეკარე სონგო'ო და „მონპელიეს" მცველი ჟერომ ბონისელიც გადავიდნენ.



ვინსენ გერენი (მარცხნივ), ერიკ დიმეკო (მარჯვნივ) და მეკარე ფაბიან ბარტეზი ეროვნული ნაკრების იმ რამდენიმე ფეხბურთელთა შორის არიან, რომლებიც ჯერ კიდევ საფრანგეთის ლიგაში თამაშობენ

უეფას თასის გათამაშების მონაწილე „მონპელიე" მთლიანობაში კმაყოფილი უნდა იყოს ზაფხულის ნავაჭრით — გუნდში რამდენიმე კარგი ოსტატი მოვიდა, რომელთაგან აღსანიშნავია ფრანკ სოზე „სტრასბურგიდან" და ვილიამ პრიუნე „ბორდოდან", რომელიც გუნდში „მანჩესტერ იუნაიტედის" გავლით მოხვდა. სამაგიეროდ, „სტრასბურგი" ჩავარდა ცუდ დღეში. ელზასელთა კლუბი, „ბორდოსი" არ იყოს, თითქმის ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა — გუნდიდან წავიდნენ სოზე, ლებეფი, მოსტოვოი, კელერი, გოელი, რეჯიუ. ახალწვეულებიდან კი, ალბათ, მხოლოდ „ბასტიის" თავდამსხმელის, როდრიგესის და პსჟ-ელი ნუმას გამოყოფა შეიძლება.

შარშან საპრიზო ადგილებზე გასული გუნდებიდან ბაზარზე ნაკლებად იაქტიურეს „ლანსმა" და „მეცმა". ამ კლუბებში ცვლილებები უმნიშვნელოა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ „მეცის" მიდრეკილებებს დაცვითი ფეხბურთისადმი, ამ გუნდისთვის კამერუნელი მეკარის, სონგო'ოს წასვლა დიდი დანაკლისი უნდა იყოს.

იმის გათვალისწინებით, თუ რა ცვლილებები მოხდა კლუბებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალ სეზონში ჩემპიონობის მთავარი კანდიდატები პსჟ, „ოლიმპიკი" და „მონაკო" იქნებიან. მეორე ეშელონი, რომლებიც უეფას საგზურისთვის იბრძოლებენ, ალბათ, „ოსერი", „მონპელიე", „ლანსი", „ბორდო" და შეიძლება „ნანტი" ვიხილოთ. რაც შეეხება აუტსაიდერებს, პირველ დივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლა, მოსალოდნელია, რომ „ლილს", „ნანსს", „კანს", „ბასტიას" და „ჰავრს" შორის გაჩაღდება.

**გიორგი ბერიკაშვილი**

### საფრანგეთის კლუბების მიერ განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

| ფეხბურთელი | ამპლუა | ქვეყანა | საიდან წავიდა | სად ითამაშებს |
|---|---|---|---|---|
| სოზე | მცველი | – | სტრასბურგი | მონპელიე |
| პრიუნე | მცველი | – | ბორდო | მონპელიე |
| მაე | მცველი | – | პსჟ | რენი |
| ზიანი | ნახევარმცველი | – | რენი | ბორდო |
| ბიაჯო | თავდამსხმელი | არგენტინა | სან-ლორენცო | ბორდო |
| დოგონი | თავდამსხმელი | – | ბორდო | სტრასბურგი |
| როდრიგესი | თავდამსხმელი | – | ბასტია | სტრასბურგი |
| ლებეფი | მცველი | – | სტრასბურგი | ჩელსი |
| ჯორკაეფი | თავდამსხმელი | – | პსჟ | ინტერი |
| ლეონარდო | ნახევარმცველი | ბრაზილია | კასიმა ანტლერსი | პსჟ |
| კოე | მცველი | – | ნანტი | პსჟ |
| ნუმა | თავდამსხმელი | ნიგერია | პსჟ | სტრასბურგი |
| დიენგი | მცველი | – | პსჟ | სამპდორია |
| კენედი | მცველი | პორტუგალია | სპორტინგი | პსჟ |
| კეპკე | მეკარე | გერმანია | აინტრახტი | ოლიმპიკი |
| პედროსი | ნ. ხევარმცველი | – | ნანტი | ოლიმპიკი |
| ლეჩკოვი | ნ.ხევარმცველი | ბულგარეთი | ჰამბურგი | ოლიმპიკი |
| მინოტი | მცველი | იტალია | პარმა | ოლიმპიკი |
| გრაველენი | თავდამსხმელი | – | გენგამი | ოლიმპიკი |
| ლიზარაზიუ | მცველი | – | ბორდო | ბილბაო |
| ბლანი | მცველი | – | ოსერი | ბარსელონა |
| იუარი | მეკარე | – | ბორდო | ერკულესი |
| მარტენსი | ნახევარმცველი | – | ოსერი | დეპორტივო |
| მოსტოვოი | ნახევარმცველი | რუსეთი | სტრასბურგი | სელტა |
| მადარი | თავდამსხმელი | – | მონაკო | დეპორტივო |
| სონგო'ო | მეკარე | კამერუნი | მეცი | დეპორტივო |
| უედეკი | თავდამსხმელი | – | ნანტი | ესპანიოლი |
| ზელიჩი | მცველი | ავსტრალია | აინტრახტი | ოსერი |
| სიბერსკი | თავდამსხმელი | – | ლილი | ოსერი |
| ფურნიე | ნახევარმცველი | – | მიუნჰენგლადბახი | გენგამი |
| ვიჩგე | ნახევარმცველი | ჰოლანდია | ბორდო | აიაქსი |
| ფრიც-ჰანსენი | მცველი | დანია | ბორდო | ჰამბურგი |
| პაპენი | თავდამსხმელი | – | ბაიერნი | ბორდო |
| დიუგარი | თავდამსხმელი | – | ბორდო | მილანი |
| ზიდანი | ნახევარმცველი | – | ბორდო | იუვენტუსი |
| ტურამი | მცველი | – | მონაკო | პარმა |

შენიშვნა: საფრანგეთის მოქალაქეებს ქვეყანა მითითებული არა აქვთ.

# სხვადასხვა



## საოჯახო კვალიფიკაციის ამაღლების კუნძული

თურმე, კუნძულ ოკინავაზე შემონახულია ერთი ძველთაძველი ტრადიცია. თუ ცოლ-ქმარს განუწყვეტელი უსიამოვნება აქვთ, თუ ოჯახი დანგრევის პირასაა მისული, ისინი მიჰყავთ შუა ზღვაში მდებარე ერთ პატარა უკაცრიელ კუნძულზე, რომელსაც „სიკვდი-



ლის კლდე" ენოდება და იქ ტოვებენ გარკვეული ხნით. ერთი ციცქნა უსიცოცხლო კუნძულზე არსებობის უმძიმესი პირობები მეუღლეებს აიძულებს, დაივიწყონ მათ შორის არსებული უთანხმოება და ერთობლივად იბრძოლონ გადარჩენისთვის, როცა ცოლ-ქმარი შინ ბრუნდება, უმეტეს შემთხვევაში, გაყრა ფიქრადაც კი აღარ მოსდით ხოლმე.

## ბედმა გაუღიმა!



თურმე, დანიელი ბილ იორგენსონი მოხვდა ავიაკატასტროფაში, გადმოხტა ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიდან და აღმოჩნდა ხის კენწეროზე ისე, რომ ნეკიც კი არ დაშავებია. ხეზე მან სული მოითქვა, გონს მოეგო, ცოტა დაისვენა და მიწაზე დაეშვა, მაგრამ იქ მას უეცრად თავს დაესხა ძაღლი და ისე დაკბინა, რომ ბედის ნებიერი იორგენსონი საავადმყოფოში მოათავსეს!

## იტალიელი შერეკილი ანუ ველოსიპედით ფრენა აკრძალულია!



თურმე, იტალიელმა პროფესორმა ტინორელიმ გააკეთა გამოგონება, რომელიც, როგორც ეგონა, მოუტანდა სახელს, აღიარებას და ფულსაც, მაგრამ სინამდვილეში იგი დააჯარიმეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, გაუფრთხილებელი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისა და ქალაქის ქუჩის თავზე სახიფათო სიტუაციის შექმნისთვის. საქმე ის არის, რომ პროფესორმა გამოიგონა „მფრინავი ველოსიპედი". პროპელერი ტრიალებდა პედლების მეშვეობით, ფრთების სიგრძე 4 მ-ს შეადგენდა, ამწევ ძალას კი ქმნიდა ჰელიუმით სავსე რეზინის ბალონი. პირველი საცდელი გაფრენა წარმატებით მიმდინარეობდა, ტინორელი ამაყად ფარფატებდა ცაში. მაგრამ უეცრად ვიღაც ვიგინდარამ პნევმატური თოფი ესროლა ბალონს და გახვრიტა. წამოვიდა ტინორელი მიწისკენ ბზრიალ-ბზრიალით და რის ვაი-ვაგლახით დაჯდა. იძულებითი დაჯდომის ადგილას მას ყვავილებიანი ბავშვებისა და სასულე ორკესტრის ნაცვლად, პირგამეხებული პოლიციელი შეეგება.

## სტრესი და ჟურნალისტიკა

თურმე, ჟურნალისტების ნერვული გადაძაბვა არათუ არ ჩამოუვარდება, არამედ კიდეც აჭარბებს იმას, რასაც განიცდიან ასტრონავტები კოსმოსში ფრენისას. ასეთი განცხადება გააკეთეს ექიმებმა „იუნაიტედ პრეს ინტერნეშენელის" სააგენტოს თანამშრომელთა ყოველწლიურ შეკრებაზე. „საკმარისია შეიხედოთ ნებისმიერ რედაქციაში, რომ მოწმე გახდეთ განუწყვეტელი სტრესული სიტუაციებისა — აღნიშნა ექიმმა მარგარეტ ჩეზნიმ — ძნელია, დაასახელო სხვა საქმიანობა, სადაც ასე ხშირია ცაიტნოტები და სიტუაციები, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებელ გადაწყვეტას". მან განაცხადა, რომ ფსიქიკური გადაძაბვა ჟურნალისტებში არაიშვიათად იწვევს გულსისხლძარღვთა და კუჭის დაავადებებს, კუნთოვანი სისტემის მოშლას და ალერგიებს. ეს სავალალო შედეგი თავიდან რომ აიცილოთ, რედაქციიდან გამოსვლის შემდეგ პროფესიული საქმეებიდან სხვა რამეზე უნდა გადაერთოთ — ასეთი რჩევა მისცეს „იუპის" თანამშრომლებს სპეციალისტებმა.

## დარტანიანის რეკორდი მოხსნილია!

თურმე, ფრანგული ჟურნალის „ეკიპის" კორესპონდენტ კსავიე ლაბრეშს ეჭვი შეეპარა, რამდენად შესაძლებელია 12 საათში დაფარო 220 კილომეტრი ცხენზე ამხედრებულმა, როგორც ეს დარტანიანმა და მისმა მეგობრებმა გააკეთეს, რათა დედოფლის სამკაული დროზე ჩამოეტანათ. 1624 წლის შემდეგ, როცა დიუმას რომანში აღწერილი ამბები ხდებოდა, ზუსტად ამ მარშრუტით არავის ულია და არც რეკორდის გახსნაზე უფიქრია ვინმეს.

და აი, ფრანგმა ჟურნალისტმა გადაწყვიტა, გაემეორებინა თავმომწონე გასკანელის მარშრუტი ქალაქ სენ-ვალერი — სიურსომიდან პარიზამდე. მან ოთხი ცხენი გამოიცვალა სწორედ იმ ადგილებში, სადაც მისი „წინამო-



რბედი" იცვლიდა, პარიზში დაბრუნებული დაღლილობისგან კინაღამ ცხენიდან ჩამოვარდა, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია, მოხსნა დარტანიანის რეკორდი. ჟურნალისტმა მუშკეტერს სულ რაღაც 6 წუთით აჯობა!

## „მატყუარა" ბიზნესი

თურმე, საყოველთაოდ ცნობილ გინესის რეკორდის წიგნში ტყუილიც წერია. გინესის წიგნი აღწერს ადამიანების დაახლოებით 5000 არაჩვეულებრივ ნამოქმედარსა თუ მიღწევას. და ყოველ წელს რეკორდის ამ უგრძეს ნუსხაში განზრახ შეაქვთ ერთი არასასურველი, გამოგონილი რეკორდი. ყოველი მკითხველი, რომელიც აღმოაჩენს მას, გამომცემლისგან ჯილდოდ იღებს გინესის წიგნის სპეციალურ სასაჩუქრო ეგზემპლარს.

## ლოთობ? იხტუნე პარაშუტით!

თურმე, ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდის სასამართლოს წინაშე წარსდგა ვინმე კენ მიტჩელი, 27 წლის. მას ბრალად ედებოდა ავტომანქანის გატაცება. სასამართლოზე გაირკვა, რომ ეს დანაშაული მან ...ხომ...ლებში ...ედინა და რომ საერთოდ ... სიყვარული და პატივისცემა ... ნდა სპირტიანი სასმელისა. მ... მართლემ მიტჩელს ერთობ უ... ული სასჯელი მიუსაჯა — პა... შუტით 30-ჯერ გადმოხტომა ... იძულებითი სამუშაოები. მოსა... რთლემ ასე ახსნა თავისი ვერ... ქტი: ექსტრემალურ პირობე... მოხვედრილი ახალგაზრდა ... ლებული გახდა თავი დაანებ... სმას...

## კროსვორდი

შვეულად: 1. წუხილი ვისიმე, რისამე გამო; 2. საფრანგეთის, იტალიის რესტორნ... და კაფეებში: ოფიციანტი, ლაქია; 3. ტყავის თხელი ფენა რისამე ზედაპირზე; 4. ქა... იაპონიაში; 5. უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი, „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაცი... ავტორი; 6. კოლოფი, რომელსაც იაპონელები მუდამ ჯიბით ატარებენ; 7. წყნარი ოკეა... კუნძულება, აშშ-ის სამფლობელო; 8. ბრინჯის არაყი; 9. ძველებური ერთსატენიანი შაშ... 13. ნამდვილს მიმსგავსებული საგნები; 14. დაზვერვის საიდუმლო წარმომადგენელი უც... სახელმწიფოს გარკვეულ რაიონში; 17. მდინარე, ერთვის სპარსეთის ყურეს; 18. ... ან სექცია, სადაც იყიდება ჩაი, შაქარი და მისთ; 21. მოსალოდნელი საფრთხე, საშიშრო... 24. წონის საზომი ერთეული ძველ რომში; 25. ადამიანთა სიძულვილი, კაცთმოძულე... 26. მეცნიერება, რომელიც სწავლობს მანქანებისა და ცოცხალი ორგანიზმების ... ინფორმაციის მიღებას, შენახვასა და გაცემას; 30. ხის ალვირი; 31. კუნძული წყნარ ოკეა... ეკუთვნის ჩინეთს; 33. XIX საუკუნის ნორვეგიელი პოეტი და ჟურნალისტი; 34. ერთგ... არაყი, გავრცელებულია განსაკუთრებით ინგლისსა და აშშ-ში; 35. ხშირი წიწვოვანი ... ზოლი ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში; 43. აზიის სახელმწიფ... დედაქალაქი; 45. შენობის შიგნითა ნაწილი, არქიტექტურულად და მხატვრულად გა... რმებული; 47. ტბა ჩინეთში; 49. სამხრეთის ქვეყნების ბუჩქი ერთგვარი, შეიცავს ეთერ... იყენებენ პარფიუმერიაში; 50. დაბა ბურიატიის ავტონომიურ რესპუბლიკაში; 51. მდი... რუსეთის ფედერაციაში, ერთვის ჩუდის ტბას; 55. ზღვების, ტბებისა და მისთ. ფსკე... მცხოვრები ორგანიზმების ერთობლიობა; 56. გამოქვაბული ესპანეთში; 60. ფილოსო... ური მოძღვრება მორალის, ზნეობის შესახებ; 61. მდინარე ირლანდიაში, ერთვის წმ... გიორგის სრუტეს; 63. ჭრილობა, წყლული; 65. იგივეა, რაც თავბრუ; 67. სახლში სამეურ... დანიშნულების სათავსი; 68. ფრანგი მესტამბე, გამომცემელი; 69. ისრაელში სხვად... ქვეყნიდან ებრაელთა გადასახლების პროცესი;

თარაზულად: 10. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი აშშ-ში; 11. უღი... ნეტარება ბუდისტური მისტიკური მოძღვრების მიხედვით; 12. უებარი საშუალება, რო... ლიც თითქოს ყველა შემთხვევაში შველის ადამიანს; 15. დაბალი ერთწლოვანი ბარკო... მცენარე; 16. კაზინოს მოსამსახურე, რომელიც თვალყურს ადევნებს თამაშს; 18. წყვი... ესპანური ცეკვა სიმღერისა და კასტანიეტების აყოლებით; 19. უეცარი გრძნობა ... შიშისა; 20. ვედიზმის მიხედვით: ჭექა-ქუხილისა და ქარიშხლის ღმერთი; 22. საერთა... რისო ხელშეკრულების დამტკიცება სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ ... ფულის ერთეული ჩინეთში; 27. ერთგვარი ნაყინი; 28. ძველი სემიტების ნაყოფიერ... წარმართული ღვთაება; 29. ქალაქი მოლდოვაში; 32. დიპლომატიური რანგი; 33. მოძ... ბული წამოძახილი: „გაუმარჯოს!", „იცოცხლოს!"; 36. ნოტიო და ჩახურებული ფ... 37. სპეციალური ნაგებობა თვითმფრინავების სადგომად; 38. ქალაქი საფრანგეთში ... მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში; 40. ბალჩეული მცენარე გოგ... ბრთა ოჯახისა; 41. ვულკანიდან ამოფრქვეული გამდნარი და გავარვარებული მას... არქიტექტურული კომპოზიციის ერთ-ერთი სახეთაგანი; 44. სახელმწიფო აფრიკაში ... ქალაქი დასავლეთ ფლანდრიის პროვინციაში (ბელგია); 48. საზოგადოების ზედა ... „რჩეული" საზოგადოება; 51. დიდი, უძლეველი სურვილი, წადილი; 52. კლდოვანი ... კანადაში; 53. ადამიანის აზროვნების ორგანო; 54. XIX ს. უნგრელი კომპოზიტორ... საჭმელ-სასმელი; 58. ასტრონომიის დარგი, რომელიც მთვარეს სწავლობს; 5... საუკუნის ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი; 62. თურქი მწერალი და ჟურნალისტ... იგივეა, რაც ფელამუში; 66. ნახევარკუნძული ადრიატიკის ზღვაში; 68. XIX ს. ... მწერალი; 70. ბელგიელი ორიენტალისტი, ქართველოლოგი, არმენოლოგი; 71. ... საზომი, სტანდარტი; 72. სოფელი თელავის რაიონში.

შეადგინა ბ. ტეტელოშვილმა



# რუსთაველი „გარდაქმნილ" საქართველოში

### „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა"

ცხოვრების წესი ამგვარი
დღითიდღე ქრება, იშლება,
რადგან ნაძრახი სიცოცხლე —
ნაძრახად აღარ ითვლება.

### „რასაცა გასცემ შენია"

დაბეჯითებით ვაპირებ
სახალხოდ იმის მტკიცებას,
რომ შოთა არ გულისხმობდა
უომრად მიწის მიცემას.

### „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები"

განურჩევლად რომ აუშვეს
ჭკვიან-სულელი მონები,
მსმელ-მჭამელ, ჭურ{ლის მმტვრე-
ველი,
სინდისის არა მქონები,
ხან უსაქმურად რომ ყრიან,
ხან „წამლით" განაბოლები,
ან იმ წესით რომ შრომობენ,
როგორც მუხის ქვეშ ღორები,
მიტომ გვჭირს „თავისუფლება"
სუნით გულშესაღონები.

### „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე"

ბრძოლა, ძველთან შედარებით,
ბევრად არი ახლა რთული,
წინათ ხმალი რომ შვებოდა,
იმას შვება ახლა ფული,
რადგან სხვა მასალით არი,
კარვის კალთა ჩახლართული.

### „ლეკვი ლომისა სწორია"

მაშინ რა იყო, არ ვიცი,
იმ ეპოქამდე შორია,
მაგრამ დღეს „დედალ-მამალი"
არათუ თანასწორია,
მამალი დაგლახებული
და თავზე დანასკორია.
მისი საცნობი ნიშანი
აღარც ხმა, არც ფაფარია,
ხვადის უხეში ქოჩორი
მომხიბლავ ქალს აფარია,
ჭაბუკის თავსამკაული
დიაცის თავსაფარია.
გოგო თამბაქოს ახრჩოლებს,
ბიჭი სუნამოს შმორია,
ლეკვების სუსტი ტვინები
სატანას დაუტორია.
(მამრის „სპეცმონყობილობამ"
ლამის დაკარგოს მნიშვნელი,
რადგან სისხლს აღარ უჩქროლებს
მდედრი წინასწარ შიშველი).
და თუ ამ ტემპით „გაერთდა"
რაც წარმოშობით ორია,
თუ დამახინჯდა სექსდარგის
პრაქტიკა და თეორია,
მძიმე შედეგთან მიგვიყვანს
საშიში ეს ისტორია,
რადგან სადაც კი ლეკვები
ასეთი წესით „სწორია",
იქ უკვე ლომი მკვდარია,
ანდა ცოცხალი მძორია.

რუსლან მიქაბერიძე

რედაქტორ-გამომცემლები
პავლე მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი
მორიგე რედაქტორი გიორგი ასანიშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.